

საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი

დეკემბერი 2022

გამოცემა №2 / 2022

დირიჟორი გიგინია, პაატა ჯავახიშვილი

საკონსტიტუციო სამართალმცოდნეობა: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა

ანა ფირცხალაშვილი

საკუთრების სოციალური ფუნქციის სამართლებრივი განვითარება

გიორგი თუმანიშვილი

საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე და ბრალდებულის პროცესუალური გარანტიები

თამარ გეგელია

პროსტიტუციის ქართული რეჟიმი და მისი დარღვევა

არჩილ მებრეველი

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ხელშეკრულების იდეის „კონსტიტუციურ შეთანხმებად“ გარდაქმნის ერთი მიზანი

ირაკლი ლეონიძე, გიორგი ჩიკვილაძე

კომლის საკუთრების საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების მნიშვნელობა და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიმოხილვა

საქართველოს გრიგოლ რობაქიძის
საკონსტიტუციო სახელობის
სასამართლო უნივერსიტეტი



**საქართველოს საკონსტიტუციო
სსსმართლო**



**ბრიტოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტი**

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე:
მერაბ ტურავა

სარედაქციო საბჭოს წევრები:

- რინერ არნოლდი
- დიმიტრი ბეგენავა
- ევან ბოცირიძე
- გიორგი დგებუაძე
- ჯეისონ დესანტო
- კონსტანტინე კორკაელია
- კლავს კრავსი
- ბენიკ ლოლაძე
- მორა ლორთქიფანიძე
- ვახუშტი მენაბდე
- გიორგი მირიანაშვილი
- ეკვარდ ვახე
- თეიმურაზ თულუში
- ანა ფირცხალაშვილი
- ეპროლანინ ფრედერიქსონი
- გიორგი ჩხეიძე
- გიორგი ხუბუა

რედაქტორი - გიორგი დგებუაძე

ბამოცენაზა მუშაობდნენ - გიორგი ლომთაძე, გიორგი ფყვიძე

სტილისტი - ევა ჩიკაშვა

წინამდებარე სტატიების თარგმნა და რედაქტირება დაფინანსდა პროექტით „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“, რომელიც თანადაფინანსებულია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ, პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის II 2019-2023 ფარგლებში. მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა ჩაითვალოს რომელიმე მხარის ოფიციალურ პოზიციად.

ჟურნალში ნაშრომები განთავსებულია Creative Commons Attribution (CC BY) 2.0 ლიცენზიით. სალიცენზიო პირობები ხელმისაწვდომია აქ: <https://creativecommons.org/licenses/by/2.0/legalcode>



წინასიტყვაობა



თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის იდეა თავისთავად მოიაზრებს სამართლებრივი საკითხების შესახებ აქტიური და ღია განხილვის მექანიზმის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, კრიტიკული, რაციონალურ მსჯელობაზე დაფუძნებული მიგნებების ძიებას, ასევე, მეორე მხრივ, პროფესიულ წრეებსა და ფართო საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას. ყოველივე ეს განამტკიცებს საზოგადოების ნდობას

სამართლის დარგის მიმართ და სიცოცხლისუნარიანობას სძენს არსებულ კონსტიტუციურ წესრიგს.

„საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“ წარმოადგენს საერთაშორისო-რეფერირებად, ავტორიტეტულ აკადემიურ პლატფორმას, რომელიც ქართველ მეცნიერებს, იურიდიული პროფესიის პრაქტიკოსებსა და ახალგაზრდა მკვლევარებს ანიჭებს შესაძლებლობას, ფართო საზოგადოებას გააცნონ საკუთარი ნაშრომები და დაიმკვიდრონ ადგილი კვლევითი საქმიანობის მიმართულებით. ამასთანავე, გამოცემა ღირებული წყაროა სტუდენტებისა და იურიდიული პროფესიის სფეროს წარმომადგენლებისთვის, მიიღონ ინფორმაცია და გაიღრმავონ ცოდნა მიმდინარე, აქტუალური სამართლებრივი საკითხების თაობაზე.

„საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის“ წინამდებარე გამოცემა აერთიანებს ქართველი ავტორების ექვს აკადემიურ ნაშრომს. კერძოდ, ჟურნალში თავმოყრილია ქართველი მკვლევარების ნაშრომები შემდეგ საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე: საკონსტიტუციო სამართალწარმოების დისციპლინის სწავლების თავისებურებები (პროფესორ დიმიტრი გეგენავასა და ასოც. პროფესორ პაატა ჯავახიშვილის ავტორობით), საკუთრების უფლების სოციალურ-სამართლებრივი გააზრება (პროფესორ ანა ფირცხალაშვილის ავტორობით), ბრალდებულის პროცესუალური გარანტიების მნიშვნელობა მედია საშუალებების მიერ სისხლის სამართლის საქმეების გაშუქებისას (ასოც. პროფესორ გიორგი თუმანიშვილის ავტორობით), პროსტიტუციის მარეგულირებელი წესების რეფორმირების პერსპექტივა (ასოც. პროფესორ თამარ გეგელიას ავტორობით), საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი ანალიზი (ასოც. პროფესორ არჩილ მეტრეველის ავტორობით) და კომლის საკუთრების რეგულირების პრობლემატიკა საქართველოში (ირაკლი ლეონიძისა და გიორგი ჩიკვილაძის ავტორობით).

ამასთანავე, წინამდებარე გამოცემაში მოცემულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2021 და 2022 წლებში გამოტანილი სამი პრეცედენტული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილების მიმოხილვა. კერძოდ, ჟურნალი

წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 („თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“), 2022 წლის 24 ივნისის №3/5/1341, 1660 („თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“) და 2022 წლის 22 დეკემბრის №3/6/813 („აღექსანდრე მელქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) გადაწყვეტილებების მიმოხილვას.

პირველ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული საკითხის კონსტიტუციურობა. კერძოდ, სადავო ნორმების ნაწილი ადგენდა ბრალდებულის ვალდებულებას, ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე იმ შემთხვევაში თუ სასამართლოში ჩვენების მიცემას გადაწყვეტს, მეორე მხრივ კი, სადავო იყო წესი, რომელიც გამორიცხავდა სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ, მხარეების შეთანხმების გარეშე, კითხვის დასმის შესაძლებლობას. №3/5/1341,1660 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა დაკავებული ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენების წესის კონსტიტუციურობის თაობაზე. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო ნორმის მიხედვით, დაკავებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდება გირაოს უზრუნველყოფამდე, ყველა შემთხვევაში, იწვევდა ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნას. 2022 წლის 22 დეკემბრის №3/6/813 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი ნორმის კონსტიტუციურობა, რომელიც განსაზღვრავდა ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესს და ადგენდა, რომ ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

იმედს გამოვთქვამ, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის“ წინამდებარე გამოცემა ღირებულ წვლილს შეიტანს სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებასა და კვლევაზე დაფუძნებული დისკუსიის წარმართვის პროცესში. გასულ წელს, განახლების შედეგად „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის“ სარედაქციო საბჭოს შემადგენლობას დაემატა რამდენიმე გამორჩეული ქართველი და უცხოელი მეცნიერ-მკვლევარი ევროპიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. განახლებული და უფრო წარმომადგენლობითი სარედაქციო საბჭო ქმნის გამოცემის განვითარების საინტერესო შესაძლებლობას, რომლის განხორციელება ერთმნიშვნელოვნად დადებითი შედეგის მომტანი იქნება როგორც სამართლის დარგის მკვლევარების, ასევე იურიდიული პროფესიის სწავლების პროცესისთვის საქართველოში.

პროფესორი **მერაბ ტურავა**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
ღიმიტრი გეგენავა, პაატა ჭავჭავაძე	
საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი	
განათლების ახალი გამოწვევა	7
აბსტრაქტი	7
I. შესავალი	8
II. საკონსტიტუციო სამართალწარმოების ადგილი სასწავლო კურიკულუმში ...	9
III. საკონსტიტუციო სამართალწარმოება v. საკონსტიტუციო კონტროლი:	
თემატური გლვარი	10
IV. საკონსტიტუციო სამართალწარმოება: საგნის შედეგები და შეფასების	
გეთოდები	13
V. დასკვნა	15
ანა ფირცხალავაძე	
საკუთრების სოციალური ფუნქციის სამართლებრივი განვითარება	17
აბსტრაქტი	17
I. შესავალი - გააზრებისთვის	18
II. საკუთრების უფლების სოციალური ფუნქციის იდეის ისტორიული	
განვითარება	20
III. საკუთრების უფლების სოციალური ფუნქციის შინაარსი	22
IV. ქართული და გერმანული საკონსტიტუციო სამართალი და სასამართლო	
პრაქტიკა საკუთრების სოციალურ ფუნქციასთან მიმართებით	25
V. დასკვნა	28
გიორგი თუმანიშვილი	
საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების	
თაობაზე და ბრალდებულის პროცესუალური გარანტიები	31
აბსტრაქტი	31
I. შესავალი	32
II. მედიის როლი და გეგავლენა სისხლის სამართლის პროცესში	33
III. სამართლიანი პროცესის უფლება	38
IV. უდანაშაულობის პრეზუმფცია	39
V. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება	43
VI. დაბალანსებული საინფორმაციო პოლიტიკის სტანდარტები	49
VII. დასკვნა	53
თამარ გეგელია	
პროსტიტუციის ქართული რეჟიმი და მისი დარაჯები	55
აბსტრაქტი	55

I. შესავალი	55
II. პროსტიტუციის რეჟიმები	59
III. პროსტიტუციის აკრძალვით დაცული სამართლებრივი ინტერესი	65
IV. პროსტიტუციის ქართული რეჟიმი	68
V. დასკვნა.....	72

არჩილ მეტრეველი

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლგადიდებულ ეკლესიას შორის ხელშეკრულების იდეის „კონსტიტუციურ შეთანხმებად“ გარდაქმნის ერთი მიზანი

ბაბტრაქტი	73
აბსტრაქტი	73
I. შესავლისთვის – ძირითადი ფაქტები და მოკლე ქრონოლოგია.....	74
II. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დასადები შეთანხმებისთვის „კონსტიტუციური“ სტატუსის მინიჭების ფორმალური არგუმენტები.....	78
1. სახელშეკრულებო მოწესრიგების უპირატესობა.....	80
2. ხელშეკრულებისთვის „კონსტიტუციური“ სტატუსის მინიჭების აუცილებლობა.....	82
III. შეთანხმების „კონსტიტუციური“ სტატუსი, როგორც სახელმწიფოს საკანონმდებლო ძალაუფლების არიდების მექანიზმი	83
IV. დასკვნა.....	87

ირაკლი ლეონიძე, გიორგი ჩიკვილაძე

კომლის საკუთრების საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების მნიშვნელობა და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი

ბაბტრაქტი	89
აბსტრაქტი	89
I. შესავალი	89
II. კომლის საკუთრების მოწესრიგებელი ნორმები	91
III. კომლის საკუთრების შეგადგენლობა.....	95
IV. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი კომლთან მიმართებით	100
V. ლიბერტის მიწის რეგისტრაციის რეფორმა და კერძო საკუთრების აღდგენის კონცეფცია	105
VI. მედიაცია კომლის მესაკუთრეთა უფლების დაცვის საკითხისთვის.....	111
VII. დასკვნა	114

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიმოხილვა

ბაბტრაქტი	117
აბსტრაქტი	117
2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება	117
2022 წლის 24 ივნისის №3/5/1341, 1660 გადაწყვეტილება	121
2022 წლის 22 დეკემბრის №3/6/813 გადაწყვეტილება	123

საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა

აბსტრაქტი

ქართული სინამდვილის გათვალისწინებით, სამართალში გამეფებული ტრადიციონალიზმი, ხშირად ზედმეტი დამოკიდებულება სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებისადმი, სიახლისადმი გაუთვითცნობიერებელი შიში, მნიშვნელოვნად აფერხებს დისციპლინების ევოლუციას. არადა, სამართლებრივი განათლება, საკუთრივ სამართლის მსგავსად, დინამიკური პროცესია და მუდამ განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სამართალწარმოების დისციპლინის სწავლება საქართველოში პრობლემური ასპექტებით ხასიათდება. აღნიშნულის მიზეზი ის გარემოებაა, რომ მას ხშირად მატერიალურსამართლებრივ სფეროდ აღიქვამენ და უმეტესად ხსენებული საგანი უნივერსიტეტთა დიდ ნაწილში სამართლის დარგობრივი მახასიათებლის ცვლილების გამო ისწავლება. ამასთან, საკონსტიტუციო სამართალწარმოების კურიკულუმში, როგორც წესი, ინტეგრირებულია საკონსტიტუციო კონტროლისა თუ შედარებითი საკონსტიტუციო მართლმსაჯულების საკითხები, რაც შედეგობრივად პრობლემური შეიძლება იყოს „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლის“ მიზნებისთვის. ამის გამო მეტად აქტუალურია მისი სამართლებრივი მხარე და განათლების კვლევების თავისებურებები, რომლებიც ამ შინაარსის სათანადოდ მიწოდებას, შესაბამისი შედეგების მიღწევას განაპირობებს. აქედან გამომდინარე, ნაშრომში განხილული იქნება, როგორც საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლების თემატური მხარე, ისე საკითხები, რომლებიც საკონსტიტუციო სამართალწარმოების დისციპლინის უშუალოდ კურიკულუმში ინტეგრირებას გულისხმობს.

* სამართლის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი [d.gegenava@sabauni.edu.ge]

** სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი [paata.javakhishvili@tsu.ge]

I. შესავალი

სამართლებრივი განათლება, საკუთრივ სამართლის მსგავსად, ძალზე ტრადიციული მიდგომებით გაჯერებული, თუმცა, იმავდროულად, დინამიკური პროცესია და მუდმივად განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.¹ მაღალფარდოვანი და ამაღლებული მიზნების მიუხედავად, მისი უმთავრესი დანიშნულება პრაქტიკოსი იურისტის მომზადებაა, რასაც მოითხოვს კიდევ თანამედროვე შრომის ბაზარი.² სამწუხაროდ, ქართული სინამდვილის გათვალისწინებით, სამართალში გამეფებული ტრადიციონალიზმი, ხშირად ზედმეტი მიჯაჭვულობა სწავლა-სწავლებისა და შეფასების კლასიკური, ზოგჯერ მოძველებული მეთოდებისადმი, სიახლისადმი გაუთვითცნობიერებელი შიში მნიშვნელოვნად აფერხებს პროგრამებისა და დისციპლინების ევოლუციას. სამართლის პრაქტიკა კი გამოწვევების შესაბამისად უსწრაფესად ვითარდება და აკადემიური სივრცე ფიზიკურად ვერ უწყობს ფეხს,³ რის გამოც ხშირია იმედგაცრუება და პრაქტიკასთან პირველი შეხებით გამოწვეული სასოწარკვეთაც. ამ მხრივ საინტერესოა საკონსტიტუციო სამართალწარმოების, როგორც საგანმანათლებლო დისციპლინის, სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები და რა თქმა უნდა, მისი სწავლების პროცესში გამოწვევები ასევე საკმაოდ ბევრია.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების შინაარსობრივი და თემატური მხარე პრობლემურია, რადგან მას ხშირად მატერიალურსამართლებრივ სფეროდ აღიქვამენ საკონსტიტუციო კონტროლისა თუ შედარებითი საკონსტიტუციო მართლმსაჯულების გავლენით. ასევე აღსანიშნავია, რომ ხსენებული საგნის სწავლება ლამის „იძულებით“, მხოლოდ სამართლის დარგობრივი მახასიათებლის ცვლილებით დაიწყეს უნივერსიტეტთა აბსოლუტურ უმრავლესობაში.⁴ ამასთან, იგი პირდაპირ უკავშირდება ადამიანის უფლებების გააზრებისა და რაც მთავარია, დაცვის მექანიზმების

¹ David R. Barnhizer, 'The Purposes and Methods of American Legal Education' (2011) 36(1) Journal of the Legal Profession 1-2; Cruz Reynoso and Cory Amron, 'Diversity in Legal Education: A Broader View, A Deeper Commitment' (2002) 52(4) Journal of Legal Education 491.

² სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, კვლევის ანგარიში, მომზადებულია კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითის“ მიერ (თბილისი, 2021); ნათია ხანთაძე, იურიდიული პრაქტიკის პროგრამები საქართველოში: შეფასება და რეკომენდაციები (თბილისი 2019).

³ მართალია, ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არაა და ზოგადად სამართლის გამოწვევაა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, პაუნდის თქმისა არ იყოს, „სამართალი წიგნებში“ და „სამართალი პრაქტიკაში“ ხშირად განსხვავდება ერთმანეთისგან. Roscoe Pound, 'Law in Books and Law in Action' (1910) 44(1) American Law Review, 12-36) ამის მიუხედავად, ისინი იმდენად არ უნდა დაშორდეს ერთმანეთს, რომ ერთი მხოლოდ ფიქციად იქცეს და მეორე - სასოწარკვეთ რეალობად.

⁴ სამართლის დარგობრივი მახასიათებელი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით მტკიცდება და შესაბამისად, სავალდებულოა ყველა უნივერსიტეტისათვის, რომელიც სამართლის შესაბამის პროგრამას ახორციელებს.

ცოდნა-გამოყენების შესაძლებლობას.⁵ ამის გამო ძალზე აქტუალურია მისი სამართლებრივი მხარე და განათლების კვლევების ნიუანსები, რომლებიც ამ შინაარსის სათანადოდ მიწოდებას, შესაბამისი შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, ნაშრომში განხილული იქნება, ერთი მხრივ, საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლების შინაარსობრივი მხარე, თემატური შემადგენლობა, ხოლო მეორე მხრივ, ის ნიუანსები, რომლებიც ამ საგნის უშუალოდ კურიკულუმში ინტეგრირებას და სწავლებას გულისხმობს.

II. საკონსტიტუციო სამართალწარმოების ადგილი სასწავლო კურიკულუმში

იურიდიული პროფესია რეგულირებადია,⁶ შესაბამისად, საქართველოში იურიდიული განათლებაც რეგულირებადია⁷ და სამართალში აკადემიური კვალიფიკაცია სახელმწიფოს განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ ექცევა.⁸ აღნიშნული შესაბამისი შეზღუდვებსა და დამატებით სტანდარტს მოიაზრებს როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე აქტების დონეზე.⁹ უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში, 2011 წელს დამტკიცდა „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებელი“¹⁰, რომელმაც განსაზღვრა სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (განსაკუთრებით ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისთვის) სავალდებულო ძირითადი პრინციპები, ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების თვალსაზრისით (ჩაშლილი 5 დეტალიზებულ კრიტერიუმად).¹¹ აღნიშნული დოკუმენტი საკმაოდ მოცულობითად გადმოსცემდა საკითხებს, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სამართლის ბაკალავრს უნდა სცოდნოდა,

⁵ საქართველოში ადამიანის უფლებათა სამართლის სწავლება უმაღლესი განათლების საფეხურზე, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში (2021) <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2021121616234346487.pdf>> [15.11.2022].

⁶ მუხლი 2, ქვეპუნქტი „ჰ“²⁴, საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ <<https://www.matsne.gov.ge/document/view/32830?publication=99>> [15.11.2022].

⁷ ibid, მუხლი 2, ქვეპუნქტი „ჰ“³⁴; მუხლი 75, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

⁸ ibid, მუხლი 76, პუნქტი პირველი.

⁹ ibid, მუხლი 76 და მუხლი 77.

¹⁰ დარგობრივი მახასიათებლით (მისით დადგენილი სწავლის შედეგებით) აღწერილია შესაბამის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ცოდნა, უნარები ან/და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის სირთულის ხარისხი. იხ. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სახელმძღვანელო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (2022) 45 <shorturl.at/cdkvw> [15.11.2022].

¹¹ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 11 ივნისის N224 ბრძანება „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“.

თუმცა მათ შორის არ იყო საკონსტიტუციო სამართალწარმოება. ამის მიზეზი ბევრი რამ შეიძლება ყოფილიყო – დაწყებული საკონსტიტუციო სასამართლოს მზარდი, თუმცა იმ პერიოდისთვის შედარებით მცირე, 15 წლიანი გამოცდილებით, სფეროს მიმართ ნაკლები ინტერესითა და მისი მცოდნე პრაქტიკოსებისა თუ მკვლევრების სიმცირით დამთავრებული. 2020 წელს დამტკიცდა ახალი დარგობრივი მახასიათებელი, რომელმაც თვისობრივად შეცვალა იქამდე არსებული სტანდარტი ყველა მიმართულებით, გაფართოვდა სავალდებულოდ ასათვისებელ საკითხთა წრე, რომელმაც გაითვალისწინა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაც (სამართლის ბაკალავრიატის დონეზე).¹²

საკონსტიტუციო სამართალწარმოება სხვადასხვა ფორმით აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამებში და ამ ვალდებულების დარღვევა, ბუნებრივია, პროგრამის შეფასებაზე უარყოფითად აისახება, თუმცა, ბუნებრივია, ჩარჩო დოკუმენტი ვერ განსაზღვრავს იმ შინაარსობრივ დეტალებს, რასაც საკუთრივ აღნიშნული დისციპლინა უნდა მოიცავდეს.

III. საკონსტიტუციო სამართალწარმოება v. საკონსტიტუციო კონტროლი: თემბურის ზღვარი

საკონსტიტუციო სამართალწარმოება, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, სამართალწარმოების დამოუკიდებელი ფორმაა, რომლის მეშვეობითაც საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს.¹³ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება უზრუნველყოფილია პროცესუალური ნორმებით, რომელთა ერთობლიობაც საკონსტიტუციო სამართალწარმოების შინაარსობრივი შემადგენელია. ამ უკანასკნელს ბევრი საერთო აქვს სამართალწარმოების სხვა ფორმებთან, თუმცა იგი რიგი თავისებურებებითაც გამოირჩევა,¹⁴ რაც საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციფიკური სამართლებრივი ბუნებიდან¹⁵ გამომდინარეობს. საკონსტიტუციო სამართალწარმოების

¹² სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“, III, 3.1.1.

¹³ მუხლი 60, პუნქტი პირველი, საქართველოს კონსტიტუცია, იხ., <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [15.11.2022].

¹⁴ გიორგი კახიანი, საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და პრაქტიკის ანალიზი (გამომცემლობა „მერიდიანი“ 2011) 289.

¹⁵ იხ., Alec Stone Sweet, ‘Constitutional Courts, Yale Law School Legal Scholarship Repository’, (2012), 817; Donald P. Kommers, Russel A. Miller, ‘Das Bundesverfassungsgericht: Procedure, Practice and Policy of the German Federal Constitutional Court’, Journal of Comparative Law, Vol. 3, No. 2, (2008),

ერთიან დეფინიციას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. მკვლევართა ნაწილი საკონსტიტუციო სამართალწარმოებას განმარტავს როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის კანონით დადგენილ წესს.¹⁶ კონსტიტუციონალისტთა ნაწილი კი დეფინიციის ნაცვლად ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხებზე, რომლებსაც საკონსტიტუციო სამართალწარმოების ცნება მოიცავს.¹⁷ განსხვავებული და არაერთგვაროვანი მიდგომის მიუხედავად, საბოლოო ჯამში, საკონსტიტუციო სამართალწარმოება შეიძლება განიმარტოს როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების წესი და პროცედურა (ანუ საკონსტიტუციო კონტროლის პროცედურული და არა მატერიალური მხარე).

საკონსტიტუციო სამართალწარმოების საფუძველი საქართველოს კონსტიტუციაა, დამატებით კი პროცედურული წესები განისაზღვრება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონითა¹⁸ და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე საკონსტიტუციო სამართალწარმოება ორგანულადაა დაკავშირებული საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციის განხორციელებასთან. თუმცა ამ ინსტიტუტებს შორის არსებული ურთიერთკავშირის მიუხედავად, არ არის მართებული მათი ცნებების უნიფიკაცია. პირიქით, საკონსტიტუციო სამართალწარმოებისა

196; Georg Vanberg, 'Legislative-Judicial Relations: A Game-Theoretic Approach to Constitutional Review', Florida State University, American Journal of Political Science, Vol. 45, N2, (2001), 347; Christian Starck, 'Constitutional Review in the Federal Republic of Germany', Translated by J. Ignaski, Notre Dame International and Comparative Law Journal, Vol. 2, (1984), 87.

¹⁶ კახიანი, supra სქოლიო 14, 289.

¹⁷ ბესიკ ლოლაძე, ზურაბ მაჭარაძე, ანა ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება (თბილისი 2021) 347.

¹⁸ 2018 წლამდე ასევე მოქმედებდა „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელსაც, წესით, ცალკე უნდა განესაზღვრა საკონსტიტუციო სამართალწარმოების საკითხები, თუმცა სინამდვილეში, იგი მხოლოდ ნაწილობრივ აწესრიგებდა სამართალწარმოებას, მეტიც ორგანულ კანონთან თემატური გადაფარვაც კი ჰქონდა. მოწესრიგებათა კოლიზიასთან დაკავშირებით იხ. დიმიტრი გეგენავა, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, (თბილისი 2012); კახიანი, supra სქოლიო 14.

¹⁹ მუხლი პირველი, პუნქტი პირველი, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ <<https://www.matsne.gov.ge/document/view/32944?publication=32>> [15.11.2022].

და საკონსტიტუციო კონტროლის ცნებათა ურთიერთმიმართების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია თავად საკონსტიტუციო კონტროლის შინაარსის განხილვა და საკონსტიტუციო სამართალწარმოებისგან მისი ძირითადი თავისებურებების გამოყოფა. ამასთან, აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია იმიტომაც, რომ ქართული უნივერსიტეტების ნაწილი საკონსტიტუციო სამართალწარმოების საკითხებს საკონსტიტუციო კონტროლთან ინტეგრირებულად ასწავლის, რაც, ბუნებრივია, შესაძლებელია, თუმცა აუცილებლად საკითხავია, რამდენად გადის ესა თუ ის კურიკულუმი და საგანმანათლებლო დისციპლინა შედეგობრივად „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლის“ ჩანაფიქრზე – სამართლის ბაკალავრმა აუცილებლად იცოდეს საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დისციპლინის სახელწოდებაში „საკონსტიტუციო სამართალწარმოების“ ასახვა ავტომატურად აკეთებს აქცენტს პროცედურულ საკითხებზე, რაც, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს პრაქტიკის გათვალისწინებით, როგორც აღმოჩნდა, სერიოზული გამოწვევაა (შინაარსობრივად ამ ყოველივეს გათვალისწინება უნივერსიტეტების ნაწილს გაუძნელდა).²⁰

საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებული თემატური საკითხების განსაზღვრა ისე, რომ ჩამონათვალი იზოლირებული იყოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების ცნებისგან რთულია, თუმცა მაინც შესაძლებელი. საკონსტიტუციო კონტროლი შინაარსობრივად მოიცავს შემდეგ საკითხებს: კონსტიტუციის უზენაესობა და საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის მექანიზმი, საკონსტიტუციო კონტროლი და პოლიტიკა, საკონსტიტუციო კონტროლის, საკონსტიტუციო ზედამხედველობისა და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ურთიერთმიმართება, საკონსტიტუციო კონტროლის მოდელები, საკონსტიტუციო კონტროლის სახეები, საკონსტიტუციო კონტროლის წყაროები, საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება, საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში, საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირება, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სტატუსი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ბუნება.²¹ აღნიშნული საკითხები

²⁰ მაგალითისთვის იხ., საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 2 თებერვლის სხდომის ოქმი N53927; საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის სხდომის ოქმი N50839.

²¹ Marco Goldoni, 'At the Origins of Constitutional Review: Sieyès' Constitutional Jury and the Taming of Constituent Power' (2012) 32(2) Oxford Journal of Legal Studies 211; Schnitz Rudolf Dürr, 'Improving Human Rights Protection on the National and The European Levels - Individual Access to Constitutional Courts' (Studi i Si Anticole 2015) 42; Georg Vanberg, 'Legislative-Judicial Relations: A Game-Theoretic Approach to Constitutional Review', Florida State University (2001) 45(2) American Journal of Political

არ უნდა იქნეს გათვალისწინებული დისციპლინათა იმ კატეგორიაში, რომელიც უშუალოდ საკონსტიტუციო სამართალწარმოებაზე ფოკუსირდება. საკონსტიტუციო კონტროლის სწავლება არსობრივად უფრო სამართლის სამაგისტრო პროგრამის დონეა,²² ვინაიდან შინაარსობრივად შედარებით სამართლებრივ ასპექტებს მოიაზრებს და ანალიტიკისა და უკვე არსებული ცოდნის სხვა სიღრმეს საჭიროებს. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკონსტიტუციო კონტროლის საკითხები (შედარებით-სამართლებრივ პერსპექტივაში) განისაზღვროს სამართლის სამაგისტრო დონეზე, ბაკალავრიატის ეტაპზე კი ისწავლებოდეს უშუალოდ საკონსტიტუციო სამართალწარმოება, რომელიც მისცემს როგორ პროცედურულ საკითხთა შესახებ ცოდნას, ისე შესაბამის უნარებს, რომელთა გამომუშავებასაც სათანადო დრო და რაც მთავარია, უშუალოდ საპროცესო თემატიკაზე მეტი კონცენტრირება სჭირდება.

IV. საკონსტიტუციო სამართალწარმოება: საგნის შედეგები და შეფასების მეთოდები

ნებისმიერი საგანმანათლებლო დისციპლინისთვის უმნიშვნელოვანესია ინფორმაცია და ცოდნა, რომელიც საგნის წარმატებით დაძლევის შემდეგ სტუდენტს უნდა დარჩეს და შემდეგ პრაქტიკაში გამოიყენოს.²³ ამ პროცესში კი განსაკუთრებული დატვირთვა აქვს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ცოდნა უშუალოდ საგნის შინაარსსა და მისით გაცხადებულ მიზნებს შეესაბამებოდეს. სამწუხაროდ, აკრედიტაციის საბჭოს პრაქტიკა ამტკიცებს, რომ საკონსტიტუციო კონტროლისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების თემატური აღრევა, ასევე მატერიალურსამართლებრივი საკითხებით პროცესუალურის გადაფარვა საკმაოდ ხშირია.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლების მიზანია, საბოლოო ჯამში, სამართლის ბაკალავრმა იცოდეს საკონსტიტუციო სამართალწარმოება და რაც მთავარია, შეძლოს მასში მონაწილეობის მიღება (იურიდიული საქმიანობაც ხომ დიდწილად პირდაპირ უკავშირდება სასამართლოებში

Science 347; Arnold Reiner, 'Constitutional Courts of Central and European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Ideas' (2003) 18 Tulane European and Civil Law Forum 109.

²² სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“, III, 3.2.

²³ დეკლან კენედი, სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა (ლ. ბაქრაძის თარგმანი, ლ. ბაქრაძისა და ა. ქიტიაშვილის რედაქტორობით, თბილისი 2014) 8-12.

წარმომადგენლობასა და სამართალწარმოების პროცესს).²⁴ შესაბამისად, მისი შინაარსი სრულად უნდა კონცენტრირდებოდეს მხოლოდ საპროცესო-სამართლებრივ თემატიკაზე, კერძოდ, საკონსტიტუციო სამართალწარმოების სამართლებრივი ბუნება, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპები, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების წესი, საკონსტიტუციო სამართალწარმოების სტადიები – კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაცია, არსებითად განსახილველად მიღება, არსებითი განხილვა, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების განხორციელების პროცესუალური ასპექტები და ა.შ.

სრულიად შესაძლებელია საგნისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი საკონსტიტუციო სამართალწარმოება ინტეგრირებულია საკონსტიტუციო კონტროლთან), დამატებით ისწავლებოდეს საკონსტიტუციო კონტროლის თემატიკაც, თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს საკუთრივ სამართალწარმოების საკითხების შემცირების ან დამცრობის ხარჯზე. მათი ფორმალური გათვალისწინება სასწავლო სილაბუსში ვერ შეასრულებს ვერც სამართლის დარგობრივი მახასიათებლის და მით უმეტეს, ვერც თანამედროვე შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლების მიზანს.

ცოდნასთან ერთად, მნიშვნელოვანია, საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლის შედეგად სტუდენტს შეეძლოს ყოველივეს პრაქტიკაში გადატანა, ფლობდეს სათანადო უნარებს. ამ აუცილებელი უნარების დაჯგუფება რამდენიმე მიმართულებით შეიძლება: 1. საპროცესო დოკუმენტების შედგენა და დასაბუთება: აქ იგულისხმება როგორც კონსტიტუციური სარჩელი, ისე შესაგებელი (ამ სიტყვის ფუნქციური გაგებით, როგორც ის შეიძლება მიემართებოდეს გასაჩივრებული ნორმატიული აქტის მიმღები საკონსტიტუციო ორგანოს სამართლებრივი პასუხს), შუამდგომლობა, სასამართლო მეგობრის მოსაზრება და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ოფიციალური ფორმულარების შევსებას, არამედ დასაბუთების ხარისხობრივ მხარესაც (ერთგვაროვანი სასამართლოს პრაქტიკით, უფლებათა თეორიითა და სხვა მნიშვნელოვანი წყაროებით არგუმენტაცია); 2. სასარჩელო მოთხოვნის განსაზღვრა, უფლების დაცვის მექანიზმის შერჩევა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით; 3. ზეპირ მოსმენაზე (როგორც განმწესრიგებელი, ისე ძირითადი, არსებითი განხილვისას) პოზიციების დასაბუთებული წარმოჩენა, კითხვებისა და პასუხების ფორმულირება, სასამართლო დებატებში დამაჯერებლად მონაწილეობის ტექნიკა;

²⁴ ეკონომიკური საქმიანობის სახეები (მე-2 რედაქცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი 2016) 282 <https://www.geostat.ge/media/13408/NACE-Rev-2_Georgian_2016.pdf> [15.11.2022].

4. საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპების, საპროცესო საშუალებების გამოყენება პროცესის მიმდინარეობისას; 5. ეთიკური ნორმების დაცვა (რაც ასევე უნდა ინტეგრირდეს პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის კომპონენტში და იყოს გადამოწმებადი შესაბამისი შეფასების მეთოდით).

სწავლის შედეგების განსაზღვრას აზრი დაეკარგება და უბრალო ფორმალობად დარჩება, თუკი აღნიშნული არ გამყარდა შეფასების მეთოდებითა და კრიტერიუმებით, რომლებიც უზრუნველყოფს საგნის შინაარსით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. თუკი შეფასების მეთოდოლოგია ორიენტირებული იქნება თეორიული ცოდნის შეფასებაზე, ვერცერთი მიზანი მიიღწევა. საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლების ფარგლებში სტუდენტმა აუცილებლად უნდა შექმნას საპროცესო დოკუმენტები, უშუალო მონაწილეობა მიიღოს იმიტირებულ საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში - სწორედ ამ კომპონენტებზე მოდიოდეს შეფასებათა მოცულობითი წილი და რაც მთავარია, მიიღოს შესაბამისი უკუკავშირი.

V. დასკვნა

საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლების პრაქტიკა ეტაპობრივად ინერგება საქართველოში. მისი სავალდებულობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ნაბიჯია განვითარებისთვის, თუმცა აღნიშნული მარტივად განხორციელებადი ნამდვილად არაა. სამართლებრივი განათლებისა და პრაქტიკული საქმიანობისთვის მისი განსაკუთრებულობის მიუხედავად, სამწუხაროდ, როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური თვალსაზრისით, საგანმანათლებლო დისციპლინის სტრუქტურისა და დიზაინის ჩამოყალიბება ბევრ სიძნელეს შეეჩება. მათი უმრავლესობის გამოსწორება და შემდგომში მართებული მიმართულებით განვითარება სრულიად შესაძლებელია.

საკონსტიტუციო სამართალწარმოებისა და საკონსტიტუციო კონტროლის შინაარსი ერთმანეთისგან განსხვავდება, მათი აღრევა ეწინააღმდეგება სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიზანს, – სამართლის ბაკალავრმა იცოდეს საკონსტიტუციო სამართალწარმოება. ეს უკანასკნელი სრულად საპროცესოსამართლებრივი ხასიათისაა და კონცენტრირდება უშუალოდ საკონსტიტუციო კონტროლის პრაქტიკულ განხორციელებაზე. აქედან გამომდინარე, მისმა შინაარსმა სრულად უნდა მოიცვას სამართალწარმოების (და არა შედარებითი საკონსტიტუციო მართლმსაჯულების) თემატიკა. მართალია, მისი შესწავლა საკონსტიტუციო კონტროლის საკითხებთან ერთად შესაძლებელია,

თუმცა თემატური გადაფარვითა და მატერიალურსამართლებრივი მიმართულების წინ წამოწევით იგი არ უნდა დაკნინდეს. ამ კუთხით, მიზანშეწონილია, საკონსტიტუციო სამართალწარმოება ისწავლებოდეს ცალკე დისციპლინად.

ცოდნასთან ერთად აუცილებელია კურსდამთავრებულს ჰქონდეს სათანადო უნარები, რომელთა საშუალებითაც იგი შეძლებს უშუალოდ საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღებას (ყველა ეტაპზე შესაბამისი ფორმითა და მექანიზმების გამოყენებით). აღნიშნული კი პირდაპირ უკავშირდება ცოდნის შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს, რომლებიც პრაქტიკული დოკუმენტების შედგენასა და საპროცესო უნარების ზეპირ დემონსტრირებას უნდა მოიაზრებდეს. სხვაგვარად, შეუძლებელია სწავლის შედეგები გაიზომოს და იყოს რეალური, შრომის ბაზარზე ორიენტირებული. ამალღებული და მრავალფეროვანი მიზნების მიუხედავად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის უმთავრესი დანიშნულება სწორედ პრაქტიკოსი იურისტის მომზადებაა, რომელსაც უნდა შეეძლოს მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენება, რისი საჭიროებაც საკონსტიტუციო სამართალწარმოების შემთხვევაში კიდევ უფრო თვალნათელია.

საკუთრების სოციალური ფუნქციის სამართლებრივი განზომილება

„საკუთრება ავალდებულებს“ - ჰუგო ბინცჰაიმერი¹

აბსტრაქტი

საკუთრების უფლებას თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გარდა მისი სამართლებრივი განზომილებისა, მას აქვს პოლიტიკური, სოციალური და, გარკვეულწილად, მორალური განზომილებაც. სწორედ ამიტომ საკუთრების უფლების გააზრებისას შეუძლებელია, შეუმჩნეველი დარჩეს მისი მრავალწახნაგოვნება. საკუთრების სოციალური ფუნქცია კი, განსაკუთრებით კარგად, წარმოსახავს მის როლს თანამედროვე საზოგადოებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის, როგორებიცაა – სოციალური სამართლიანობა, ზოგადი ეკონომიკური თანასწორობა და სამართლიანი სოციალური პოლიტიკა.

სტატიაში განხილულია დებულების „საკუთრება ავალდებულებს“ არსი, საკუთრების უფლების სოციალური ფუნქციის იდეის ისტორიული განვითარება სამართლის ფილოსოფიის ტრილში, ასევე, პირველი ქართული კონსტიტუციის ჩანაწერი, რომელიც საკუთრების სოციალური გაგების, მისი სოციალური ბოჭვის თეორიის გამოხმაურებაა. წარმოდგენილ სტატიაში მსჯელობაა საკუთრების უფლების სოციალური ფუნქციის შინაარსის შესახებ. გარდა ამისა, სტატია ერთმანეთს ზოგადად ადარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკას და მიდგომებს საკუთრების სოციალურ ბოჭვასთან დაკავშირებით.

დასკვნის სახით, სტატია ამყარებს იდეას, რომ საკუთრების სოციალური ფუნქცია განაპირობებს ინდივიდუალური საკუთრების უფლების გარანტიებს, თუმცა, იმავდროულად, მის შეზღუდვას, რომელიც მოიპოვებს მთლიანად საკუთრების, როგორც ინსტიტუტის სოციალურ ფუნქციას და ასევე მთელ სოციალურ წესრიგს სახელმწიფოში.

* სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ის ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით [a.phirtsshalashvili@gmail.com]

¹ ჰუგო ბინცჰაიმერი, ცნობილი გერმანელი სოციალ-დემოკრატი, მოაზროვნე და იურისტი, რომლის სიტყვებიც ვაიმარის 1919 წლის კონსტიტუციის 153-ე მუხლში აღიბეჭდა. ხოლო მისი მოსწავლის სოციალ-დემოკრატი კარლ შმიტის ინიციატივით, ფორმულირება „Eigentum verpflichtet“ გერმანიის 1949 წლის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მეორე პუნქტის პირველ წინადადებად გაიწერა.

I. შესავალი - გააზრებისთვის

კერძო საკუთრება თანამედროვე საზოგადოების ძირითადი სამართლებრივი ინსტიტუტია. მისი რაციონალური განმარტება არის მრავალსაუკუნოვანი სოციალური თეორიის და ფილოსოფიური განსჯისა და მსჯელობის საგანი. საკუთრების უფლების გარეშე, შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას.“²

კერძო საკუთრებას, ბუნებრივად, თან სდევს მისი სოციალური ფუნქცია. საკუთრების სოციალური ფუნქციის თავდაპირველი, მარტივი გააზრებისთვის საკმარისია მისი დანახვა ყოველდღიურობის ფონზე. მიუხედავად საკუთრების უფლების საკმაოდ დიდი მნიშვნელობისა, შეიძლება, რომ ზოგიერთი სახის საკუთრებას ისეთი სოციალური დატვირთვა ჰქონდეს, რომელიც ეწინააღმდეგება მისი მესაკუთრის ინტერესებს ან/და სურვილებს.

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია არის საკუთრების უფლების შეზღუდვა, თუ ასეთი რამ კანონით არის გათვალისწინებული. მისი სოციალური ფუნქცია გამომდინარეობს იქიდან, რომ მესაკუთრეს აქვს სოციუმთან, საზოგადოებასთან კავშირი და მისი საკუთრება გარკვეულ გავლენას ახდენს მასზე. კერძო საკუთრების გარკვეულ სახეებს განსაკუთრებული სოციალური ფუნქცია გააჩნია, მაგალითად ტყეს, მიწას, უძრავ ქონებას და სხვა ისეთი დანიშნულების საკუთრებას, რომელიც შესაძლოა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს სხვა სოციუმის წევრებისათვის.

კერძო საკუთრების შეზღუდვა საზოგადოებრივი და სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, კონსტიტუციურსამართლებრივად შესაძლოა, გამართლებულად ჩაითვალოს, მაგალითად, კერძო საკუთრებაში არსებული სპეციფიკური შენობა-ნაგებობის დემონტაჟი ან მისი იერსახის შეცვლა საჭიროებს შესაბამის ნებართვას, თუ მას განსაკუთ-

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/2/384 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2007 წლის 2 ივლისი, II-5.

რებული კულტურული მნიშვნელობა გააჩნია. საკუთრების სოციალური ფუნქცია არის საკუთრების განკარგვით, სოციუმზე დადებითი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, გარკვეული ღონისძიებების ჩატარების დაშვება.

დებულება „საკუთრება ავალდებულებს“ არის მისი სოციალური ფუნქციის ძლიერი გამოხატულება და მას, სოციალური სამართლიანობის იდეასთან ერთად, აქვს მთელ საკანონმდებლო სისტემაზე გამჭოლი ქმედება. მაგალითად, სისხლის სამართლებრივი სასჯელის - ფულადი ჯარიმის ოდენობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პირის მატერიალური მდგომარეობა. თუ ერთი პირისთვის გარკვეული თანხით დაჯარიმება შესაძლოა, ძალიან მძიმე ტვირთი იყოს, ჯარიმის იგივე ოდენობა სხვა პირისთვის საერთოდ არ წარმოადგენდეს სასჯელს. შესაბამისად, საკუთრება, რომელიც პირს აქვს, ავალდებულებს მას, რომ გადაიხადოს, გასცეს მეტი. ისე როგორც საგადასახადო სამართლის მაგალითზე - დიფერენცირებული გადასახადების შემთხვევაში. პროგრესული გადასახადების სისტემა, განსხვავებით პროპორციული საგადასახადო სისტემისაგან, გაცილებით სამართლიანია დაბეგვრის სოციალურ კონტექსტში და იგი საჯარო სიკეთის - კერძო საკუთრების სამართლიანად გადანაწილებას უწყობს ხელს. *ოლივერ ვენდელ ჰოლმსი-უმცროსი*³ - „გადასახადები არის საფასური, რომელსაც ჩვენ ვიხდით იმისთვის, რომ გვექონდეს ცივილიზებული საზოგადოება.“ საკუთრების სოციალური ფუნქცია სარკისებრ აისახება პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის სისტემაში. საინტერესოა შემდეგი არგუმენტიც: გადასახადები აუცილებელია სამართლის უზენაესობის დამკვიდრებისა და შენარჩუნებისთვის, რომელიც იძლევა კერძო საკუთრების გარანტიას და, ვიწრო გაგებით, განსაზღვრავს, რა უნდა იქნეს მიჩნეული კერძო საკუთრებად. ამ არგუმენტიდან გამომდინარე, გამართლებულია, უფრო მეტი მოეთხოვოს ამ ყველაფრის დაფინანსებაში მონაწილეობა იმ პირს, რომელიც მეტ ქონებასა და შემოსავალს ფლობს, რადგან იგი უფრო მეტ სიკეთეებს იღებს სამართლებრივი სახელმწიფოსა და კერძო საკუთრების სისტემისაგან, ვიდრე ის, ვინც ნაკლები ქონებისა და შემოსავლის მფლობელია. აღნიშნული თეორია გერმანელ სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნით.⁴ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამართლისა და კანონის წინაშე თანასწორობა სოციალური ან სხვა ნებისმიერი ნიშნით, კონსტიტუციით არის აღიარებული და დაცული. სხვა შემთხვევა დისკრიმინაციად ითვლება, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება ძირითადი უფლებებით გარანტირებულ დისკრიმინაციის აკრძალვის

³ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

⁴ სოციალური დემოკრატიის კურსი, სოციალური სახელმწიფო და სოციალური დემოკრატია, წიგნი 2 (ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია 2009) თავი 7, 19.

პრინციპს. თუმცა პროგრესული გადასახადები, არა სამართლებრივი სახელმწიფოს სიკეთეებით უპირატესი სარგებლობის არგუმენტით, არამედ სხვა დასაბუთებით უფრო მყარი და დამაჯერებელია. აღნიშნული არგუმენტაცია სამართალში „პოზიტიური დისკრიმინაციის“ ტერმინით არის ცნობილი და იგი სახელმწიფოს პოზიტიური როლიდან გამომდინარეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს გააჩნია, პრივილეგიათა სისტემა საზოგადოების დისკრიმინირებული ჯგუფისათვის, რომელიც ამ ჯგუფს აძლევს გათანაბრების შანსს. აქედან გამომდინარე, საკუთრების სოციალური ფუნქცია აძლევს სახელმწიფოს „პოზიტიური მოქმედების“ საფუძველს, რომელიც არის მცდელობა იმისა, რომ მან, გამიზნული პოლიტიკით, მიაღწიოს სოციალურ ფენებს შორის თანასწორობას. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო მისი მოქმედებით, არ შეეცადოს ტოტალური თანასწორობის მიღწევას. ასეთ შემთხვევაში, კერძო საკუთრება დაკარგავს თავის არსს, სამართლებრივი სახელმწიფო იქცევა ტოტალიტარულ რეჟიმად, ხოლო სოციალური სახელმწიფოს ნაცვლად, მივიღებთ სოციალისტურ რეჟიმს. შესაბამისად, საკუთრების უფლებისადმი თანაზომიერი მიდგომა, სახელმწიფოს მიერ მისი მოქმედების ზედა და ქვედა ზღვრის დაცვა განაპირობებს, საკუთრების უფლების გავლით ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ რეჟიმს.

II. საკუთრების უფლების სოციალური ფუნქციის იდეის ისტორიული განვითარება

საკუთრების სოციალური ფუნქციის ცნება მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ და ფილოსოფიურ საფუძველებს. კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგებით, სოციალური ბოჭვა, ერთი მხრივ, იცავს, ხოლო, მეორეს მხრივ, ზღუდავს საკუთრების უფლებით დაცულ სფეროს.

იურიდიულ და სოციალურ ფილოსოფიაში, თემატიზაციის გარდა, სოციალური ბოჭვის თეორიის საფუძველები თვალნათლად არის ასახული ანტიკურ ფილოსოფიაში.⁵ საკუთრების სოციალური ფუნქციის თეორიის კვალი გვხვდება, მაგალითად, ანტიკური ხანის ისეთი მოღვაწეების ნაშრომებში, როგორცაა, მაგალითად, მარკუს ტულიუს ციცერონი. მისი ნაშრომები ემყარება საკუთრების ოკუპაციის თეორიას.⁶ ციცერონის თანახმად, „ყურადღება უნდა გავამახვილოთ საკუთრების საერთო სარგებელზე და ურთიერთსარგებელზე და მატერიალური სიკეთეები და

⁵ Anthony Arthur Long, *From Epicurus to Epictetus Studies in Hellenistic and Roman Philosophy* (Oxford University Press 2006) V(16).

⁶ Peter Lebrecht Schmidt, *interpretatorische und chronologische Grundfragen zu Ciceros Werk "De legibus"*, (Diss. Freiburg 1959) 330 ff.; *Die Abfassungszeit von Ciceros Schrift über die Gesetze*, Rom 1969.

მათი აღებ-მიცემობა, ადამიანებს შორის ასეთ შემთხვევაში, მათ უკეთეს ურთიერთობებზე ახდენს ზეგავლენას”.

რომის სამართალმა განუსაზღვრელი წვლილი შეიტანა კერძო საკუთრების არა მხოლოდ იდეურ განვითარებაში, არამედ მის სამართლებრივ ფორმირებაში. თუმცა რომში კერძო საკუთრების აღიარებას წინ უძღოდა საერთო (სახელმწიფო, თემის, ოჯახის) საკუთრების გარანტიები. ძველ რომში არსებობდა რამდენიმე სახის საკუთრება და იგი ერთმანეთისგან მესაკუთრის სოციალური ნიშნით განსხვავდებოდა. შესაბამისად, სხვადასხვა იყო საკუთრების დაცულობის ხარისხი და შეზღუდვის ლეგიტიმაციის ფარგლებიც. მაგალითად, თითქმის შეუზღუდავები იყვნენ *Dominium Quiritium* მესაკუთრეები (იგივე შეუზღუდავი/დომინიანტი საკუთრება) ხოლო ზოგიერთ სოციალურ ფენას, მაგალითად, *res mancipi* საერთოდ ეკრძალებოდა კერძო საკუთრების ფლობა.⁷ რომის კერძო სამართალი კარგად გამოხატავს, რაოდენ დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია კერძო საკუთრებისადმი სახელმწიფო რეგულაციებს და რაოდენ დიდი უთანასწორობის შექმნას უწყობს ხელს სოციალურ ფენებს შორის საკუთრების არასამართლიანი გადაანაწილება.

როგორც აღინიშნა, ადრეული საუკუნეებიდან ამ ინსტიტუტის რაციონალური გაგება არის საზოგადოების სოციო-ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საკუთრების გააზრების მოდერნული, რაციონალური გამართლების მცდელობა გვხვდება ჯონ ლოკის ნაშრომებში, რომელიც გამოქვეყნდა 1689 წელს.⁸

მე-19 საუკუნეში კი ძალიან აშკარა გახდა საკუთრების სოციალური ბოჭვის ზნეობრივი საკითხები. მაგალითად, *ფრიდრიხ იულიუს შტალის* სამართლის ფილოსოფიაში ნათქვამია: "საკუთრება განსაკუთრებული და ძირითადი მასალაა მოვალეობების მორალური შესრულებისთვის".⁹

⁷ Marie Theres Fögen, *Römische Rechtsgeschichten. Über Ursprung und Evolution eines sozialen Systems* (Taschenbuch, Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht 2002) 18.

⁸ John Locke, *Zwei Abhandlungen über die Regierung* (7. Auflage, Frankfurt/M 1998); HU: *Versuch über den menschlichen Verstand*. მათში იკითხება ის ძირითადი თეორია, რომელიც თანამედროვე კერძო საკუთრების უფლების სოციალური წარმოშობის და, იმავდროულად, მისი სოციალური ბოჭვის ძირითად სტრატეგიულ ლეგიტიმაციად დღესაც მისაღები და გამართლებულია. Bde., Hamburg 2006; E: „Essays über das Naturrecht“ in John Locke, *Bürgerliche Gesellschaft und Staatsgewalt*. Sozialphilosophische Schriften (Leipzig 1980); AL: „Plan zur Beseitigung der Arbeitslosigkeit“.

⁹ Friedrich Julius Stahl, *Die Philosophie des Rechts nach geschichtlicher Ansicht*. Band 1: *Genesis der gegenwärtigen Rechtsphilosophie*. Heidelberg 1830, zit. n. 3. Aufl. v. 1854. Band I: *Geschichte der Rechtsphilosophie*. S. 587.

III. საკუთრების უფლების სოციალური ფუნქციის შინაარსი

საინტერესოა, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტის აღიარების და შესაბამისი განკარგვის თავისუფლების ფონზე აუცილებელია, რომ ქონების გამოყენება არ ეწინააღმდეგება საერთო სარგებელს და უფრო მეტიც, კერძო საკუთრება უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, საკუთრების რა სახეობაზეა საუბარი. ყველა სახის საკუთრება ვერ იქნება აღნიშნულ კონტექსტში განხილული.

კერძო საკუთრების შემთხვევაში ნიშნავს, რომ ქონება მესაკუთრეს, იმავდროულად, ავალდებულებს: „მისი გამოყენება ამავე დროს უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას“. გერმანიის ძირითადი კანონის მუხ. 14 II. ამ ჩანაწერით, მფლობელისთვის დაწესებული სოციალური ობლიგაციის სახე და ზომა, რომელიც საკანონმდებლო ორგანომ უნდა განსაზღვროს, არსებითად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძლიერია შესაბამისი საკუთრების სოციალური დატვირთვა და, აქედან გამომდინარე, მისი სოციალური ფუნქცია. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ეს კონსტიტუციური ჩანაწერი არ შეიძლება იყოს სოციალური კავშირი, არ ამართლებს საკუთრების უფლების ისეთ გადამეტებულ შეზღუდვას, რასაც არ მოითხოვს საზოგადოების ფართო ინტერესები.

ნიშანი, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ უფლებისათვის, არის საკუთრების სოციალური ვალდებულება. ამ უკანასკნელს აქვს საკანონმდებლო ხელისუფლების მოქმედების ფართო მასშტაბი. მაგალითად, ამ მხრივ, აღნიშვნის ღირსი არის საცხოვრებლის ქირავნობის კანონი. ამ მიმართულებით საინტერესოა ქირავნობის გაზრდის საკანონმდებლო შეზღუდვა ან გაქირავების შეწყვეტის პირობები. ამ შემთხვევაში, გამქირავებლის კანონიერი ინტერესებიც, მაგალითად, პირადი სარგებლობის შემთხვევაში, ასევე კონსტიტუციურად დაცულია. საკუთრების სოციალური ფუნქცია, რა თქმა უნდა, არ ამართლებს დაუსაბუთებელ შეზღუდვას.

გერმანიის კონსტიტუციით გათვალისწინებული საკუთრების უფლება (მე-14 მუხლის მეორე პუნქტით) არის არა მხოლოდ მესაკუთრის უფლება, ფლობდეს და განკარგავდეს აღნიშნული საკუთრების ობიექტებს, არამედ იგი ითვალისწინებს თავისუფლების უფლების შეზღუდვას, რადგან მისი საკუთრება, პირადი სარგებლობის მოტანის გარდა, საერთო კეთილდღეობასაც უნდა ემსახურებოდეს. ამ მიმართულებით კანონმდებლობას აქვს ფართო დისკრეცია, რომ დაადგინოს საკუთრებით

სარგებლობის ფარგლები კერძო და საჯარო სარგებელს შორის.¹⁰

საკუთრების უფლების სოციალურ ფუნქციაში არ მოიაზრება მხოლოდ მატერიალური განზომილება. ისე როგორც სიტყვა „სოციალური“ საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალმხრივ ასპექტს გულისხმობს, საკუთრების უფლების სოციალური ღირებულებაც მოიცავს პოლიტიკურ, საერთაშორისო სამართლებრივ, გეოსტრატეგიულ, ეკონომიკურ სახელმწიფოებრივ და ასევე ეთიკურ ასპექტებს. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, კერძო საკუთრება არის, ერთი მხრივ, შეზღუდვის ხშირი ობიექტი, თუმცა, მეორე მხრივ, ამ შეზღუდვიდან გამომდინარე, დაცვის ღირსი. საკუთრების უფლების მორალური ასპექტის გამოვლენის მაგალითია კერძო სამართლებრივი ნორმა, რომელიც ითვალისწინებს, მჩუქებლის უფლებას, ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვის უფლებას ნივთის მფლობელისაგან, მისი უმადურობის ან ამორალური ქმედების გამო. აღნიშნული კავშირი ასახავს საკუთრების გადაცემის კავშირს ადამიანურ ურთიერთობებზე.

საკუთრების სახელმწიფოებრივ ან თუნდაც სტრატეგიულ, ან პოლიტიკურ ფუნქციაზე მეტყველებს სახელმწიფო პოლიტიკა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე კერძო საკუთრების გასხვისებისას. ისეთი საკუთრების ობიექტებზე, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული სოციალური და პოლიტიკური დატვირთვა, შესაძლოა, დაწესდეს შეზღუდვები. საქართველოს მაგალითზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ სასოფლო სამეურნეო მიწას აქვს მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია.

სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მჟღავნდება საკუთრების მიერ შესასრულებელი ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა. ამიტომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთიანად მოითხოვს როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლიც ითვალისწინებს საჯარო მიზნებისათვის საკუთრებაში ჩართვის შესაძლებლობას, კერძოდ კი, საკუთრების უფლების შეზღუდვას და საკუთრების ჩამორთმევას.¹¹

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) რესურსი. თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური საკითხია მისი ფასი. მოსახლეობის ზრდასთან და სოფლის მეურნეობის

¹⁰ Walter Leisner, *Sozialbindung des Eigentums* (1972); Felix Leinemann, *Die Sozialbindung des geistigen Eigentums* (1998); Lehmann, *Sachherrschaft und Sozialbindung?* (2004).

¹¹ პაატა კოლუაშვილი, ანა ფირცხალაშვილი, მიწის რეგულაციის უქონლობა დაუშვებელია, ინტერნეტ ანალიტიკური გამოცემა <<https://for.ge/view/33385/miwis-regulaciis-uqonloba-dauSvebelia.html>> [08.07.2014].

პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად, მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია.

სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი. რადგან მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ).¹²

გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა: „იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამომხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში.“¹³

არა მხოლოდ ამ კონკრეტულ, არამედ ყველა სხვა საკითხთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმების არსებობის გარეშე, საქართველო სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგება.¹⁴

საკუთრების უფლების ზედმეტად შეზღუდვა და აკრძალვა ზუსტად ისეთივე მავნებელია, როგორც რეგულაციის არარსებობა. ორივე მათგანს სახელმწიფოსა და საზოგადოებისადმი სავალალო შედეგებამდე მივყავართ. თუ ზედმეტი შეზღუდვა ავტოკრატიასა და შემდგომში დიქტატურას იწვევს, კერძო საკუთრების უფლების შესახებ კანონისა და სამართლებრივი რეგულაციების არარსებობა ანარქიამდე და, საბოლოოდ, სახელმწიფოს ჩამოშლამდე მიდის.

¹² Landesgesetzblatt Nr. 88/1994.

¹³ VerfGEG21, 73.

¹⁴ ანა ფირცხალაშვილი, „სასოფლო - სამეურნეო მიწა უცხოელებზე ისევ გასხვისდება“ (ინტერნეტ ანალიტიკური გამოცემა „ლიბერალი“, 2014) <<http://liberali.ge/blogs/view/5913/sasoflo--sameurneo-mitsa-utskhoelebze-isev-gaskhvisdeba>> [1.11.2020].

IV. ქართული და გერმანული საკონსტიტუციო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა საკუთრების სოციალურ ფუნქციასთან მიმართებით

კერძო საკუთრება კონსტიტუციურ რანგში, პირველად საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში, აყვანილი იქნა საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით, საქართველოს 21 წლის კონსტიტუციის 114-ე და 116-ე მუხლებით. კონსტიტუციის 116-ე მუხლში ვხვდებით ჩანაწერს, რომელიც საკუთრების სოციალური ფუნქციის გამოვლინებაა. ამ მუხლის მეორე წინადადებით, „მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე“.

პირველი ქართული კონსტიტუციის ეს ჩანაწერი არის საკუთრების სოციალური გაგების, მისი სოციალური ბოჭვის თეორიის გამომხატურება, რომელიც ასევე გვხვდება 1919 წლის ვაიმარის რესპუბლიკის კონსტიტუციაში¹⁵ და მოგვიანებით გერმანიის ძირითად კანონში სიტყვებით: „საკუთრება ავალდებულებს“¹⁶, რომელიც, თავის მხრივ, როგორც იდეურ წყაროს, საკუთრების სამართლებრივ და სოციალურ თეორიას ეყრდნობა.¹⁷

საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მეცამეტე თავი ეთმობა სოციალ – ეკონომიკურ უფლებებს, 114-ე მუხლში კი განმარტებულია:

„საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური, თუ კანონში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.“¹⁸

თანამედროვე სამართლის ფილოსოფიაში არსებობს საკუთრების უფლების ორგვარი გაგება (თუ არ ჩავთვლით საკუთრების სოციალისტურ გაგებას). სამართლის ლიტერატურაში¹⁹ ძირითადად ვხვდებით: პირველი – საკუთრების ლიბერალური, ბუნებითი სამართლის პრინციპებზე

¹⁵ § 153, Abs. 3 Verfassung des Deutschen Reichs vom 11 Februar 1919, Leipzig 1919.

¹⁶ მუხლი 14, პუნქტი 2, გერმანიის ძირითადი კანონი <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_gg/englisch_gg.html> [2.11.2022].

¹⁷ Friedrich Julius Stahl, Die Philosophie des Rechts. 2.Bd., Rechts- und Staatslehre auf der Grundlage christlicher Weltanschauung, 2.Abth: Die Lehre vom Staat und die Prinzipien des deutschen Staatsrechts (Heidelberg, Mohr 1846).

¹⁸ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია და საქართველოს სენატის დებულება (GIZ 2014) 42.

¹⁹ Otto Depenheuer (Herausgeber) Eigentum, Ordnungsidee, Zustand, Entwicklungen (Berlin/Heidelberg. 2005).

დაყრდნობილ კონცეფციას, და მეორე - საკუთრების პოზიტიურ და, იმავდროულად, სოციალურ ხედვაზე აგებულ კონცეფციას. საკუთრების ცნება ლიბერალური კონცეფციით, განიმარტება²⁰, როგორც ჯერ კიდევ „სახელმწიფოებრიობამდე“ არსებული ადამიანის უფლება. ამგვარი უფლებები სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობს, რადგან ის სახელმწიფოს არ შეუქმნია (ადამიანის უფლებათა ბუნებითი თეორია). საკუთრება ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია პირადი თავისუფლებისა. ამ თეორიის თანახმად, თუ სახელმწიფო ადამიანს არ ანიჭებს თავისუფლებას, სიცოცხლეს ან საკუთრებას და ეს უფლებათავისუფლებები თავისუფალია, მაშინ მათი შექმნაც არ უნდა იყოს სახელმწიფოზე დამოკიდებული, მის მიერ რეგულირებული.

ამ კონცეფციისაგან განსხვავებით, საკუთრების უფლებას პოზიტიურ-სოციალური სახელმწიფოს თეორიის მომხრეები შემდეგნაირად განმარტავენ: საკუთრების უფლება არის მესაკუთრის უფლება, ისარგებლოს, ფლობდეს და განკარგოს თავისი საკუთრება. საკუთრების უფლების ამ ფუნქციებიდან გამომდინარე, ამ პროცესის თანმდევი ის, რომ ერთი პირის საკუთრების უფლება, თავისთავად, ზეგავლენას ახდენს გარშემო მყოფებზე, საზოგადოების სხვა წევრებზე. სწორედ ამაზეა დაფუძნებული კანონმდებლის უფლებამოსილება (ან თუნდაც მისი კონსტიტუციური ვალდებულება), დაარეგულიროს საკუთრების სამართლებრივი მხარე. სწორედ ამ მსჯელობას ებმის გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მრავალი წლის მანძილზე განვითარებული თეორია.²¹

მნიშვნელოვანია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ხედვა საკუთრების უფლების სოციალური ბოჭვის, მისი სოციალური ფუნქციის თავისებურებების შესახებ. სასამართლოს აზრით, „სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მუღავნდება საკუთრების მიერ შესასრულებელი ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა. ამიტომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთიანად მოითხოვს, როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის“.²²

²⁰ Johann Eekhoff, „Soziale Sicherheit durch Eigentum, Abwägung zwischen Eigentumsschutz und Sozialpflichtigkeit“ in supra სქოლიო 19, 51, 56.

²¹ Hans-Jürgen Papier, „Der Stand des verfassungsrechtlichen Eigentumsschutzes“ in supra სქოლიო 19, 93.

²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაგაწყვეტილება საქმეზე № 1/2/384 „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2007 წლის 2 ივლისი.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, საზოგადოებრივი ინტერესებით საკუთრების შეზღუდვის ყველაზე სწორი და ეფექტიანი გზა გამოიხატოს, რაც მძიმე ტვირთად დააწვება სამეურნეო ბრუნვის მხოლოდ ერთ მონაწილეს. მიუღებელია ერთი ასეთი მონაწილის საკუთრების გარანტიამდე უარის თქმა ბრუნვის მეორე მონაწილის საკუთრების სასარგებლოდ. სასამართლოს „საკუთრების საზოგადოებრივი საჭიროება და შესაბამისად სოციალური ფუნქცია არ შეიძლება განისაზღვრებოდეს იმის მიხედვით, თუ ვინ არის მესაკუთრე სუბიექტი. საკუთრება, როგორც ფასეულობა, ავალდებულებს ნებისმიერ სუბიექტს – ეს სახელმწიფო იქნება თუ კერძო პირი. ეს ვალდებულება უშუალოდ საკუთრებიდან გამომდინარეობს, ამიტომაც, ვის ხელშიც არ უნდა აღმოჩნდეს სადავო ნორმით განსაზღვრული ობიექტები, სოციალური ტვირთისაგან ისინი ვერ გათავისუფლდებიან“.²³

ვაიმარის 1919 წლის კონსტიტუციაში (მუხ. 153, პუნქტი 3 WRV) სოციალური ბოჭვა აისახა შემდეგნაირად: „საკუთრება ავალდებულებს. მისი გამოყენება ამავე დროს უნდა ემსახურობდეს საზოგადოებრივ კეთილდღეობას.“

ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: "საკუთრება ავალდებულებს. მისი გამოყენება იმავდროულად საზოგადოებრივ სიკეთეს უნდა ემსახურობდეს. "

გერმანიაში სოციალური საბაზრო ეკონომიკის გარანტი არის ძირითადი კანონის მე-14 მუხლი. ამასთან, გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით, იგი პირდაპირ ხაზს უსვამს საკუთრების სოციალურ ვალდებულებას, ვინაიდან საკუთრება ავალდებულებს და მისი გამოყენება საერთო სარგებელს ემსახურება. ამიტომ საზოგადოებრივი, საჯარო ინტერესების ინდივიდუალურ ინტერესებზე პრიორიტეტულობა, სწორედ საკუთრების სოციალური ფუნქციიდან გამომდინარეობს.

საკუთრების სოციალური ფუნქციის განსაზღვრის ერთ-ერთი კრიტერიუმი ის, თუ რა დოზით არის წარმოების საშუალებების ფლობა საზოგადოებრივ/სახელმწიფო საკუთრებაში. სახელმწიფო, როგორც ხალხის ინტერესების წარმომადგენელი, ახორციელებს საკუთრების ზედამხედველობას.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამის პრეცედენტულ სამართალში, საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების გარანტირების გარდა, დაზუსტებულია მისი სოციალური ფუნქცია ლიბერალური წესრიგის ფონზე. იმავდროულად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/14/184,228 „საქციო საზოგადოებები – “საქგაზი” და “ანაჯგუფი” (ყოფილი “თბილგაზოაპარატი”) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, 2005 წლის 28 ივლისი.

სასამართლომ დაადგინა რომ მნიშვნელოვანია საკუთრების მზღუდავი რეგულაციების დაწესება ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით, დაუშვებელია მხოლოდ ადმინისტრაციული აქტებისა და პრეცედენტული სამართლის საფუძველზე და ასეთ შეზღუდვას სჭირდება საკანონმდებლო რეგულაციები.²⁴

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, „დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე სწორედ საკუთრების უფლების პატივისცემასა და დაცვას ეყრდნობა.“²⁵

მიუხედავად აღნიშნულისა, საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი უფლება, რაც მისი სოციალური ფუნქციით, მნიშვნელობით არის განპირობებული.²⁶ მესაკუთრე არ არის იზოლირებული, ის საზოგადოების შემადგენელი ნაწილია, რაც ნიშნავს იმას, რომ მას თავისი ინტერესების დაკმაყოფილება მხოლოდ სხვათა ინტერესების თანხვედრაში შეუძლია.²⁷

V. დასკვნა

საკუთრების სოციალური ფუნქცია განაპირობებს არა მხოლოდ ინდივიდუალური საკუთრების უფლების გარანტიებს და მის შეზღუდვას, არამედ მთლიანად საკუთრების, როგორც ინსტიტუტის სოციალურ ფუნქციას და ასევე მთლიანად სოციალურ წესრიგს სახელმწიფოში. ინდივიდუალურ, უშუალოდ მოქმედი საკუთრების უფლებას სახელმწიფო პოლიტიკად სწორედ კონსტიტუცია აქცევს. იგი არის ერთი მხრივ, ადამიანის საკუთრების უფლების გარანტი, ხოლო მეორე მხრივ, მისი სოციალური ფუნქცია განსაზღვრავს სოციალურ წესრიგს და სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის ორიენტირებს.

სახელმწიფო ერევა შემოსავლების განაწილებაში. აქ სრულიად ნათელია, თუ რომელ ღირებულებებს ენიჭება უპირატესობა. საკუთრების უფლება ბევრს არაფერს ნიშნავს დემოკრატიული სამართლის უზენაესობის

²⁴ BVerfG, Urteil vom 10. März 1981, Az. 1 BvR 92/71, BVerfGE 56, 249.

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N2/1/370,382,390,402,405 „საქართველოს მოქალაქეები – ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2007 წლის 18 მაისი. პარაგრაფი II-3.

²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/2/384 „საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2007 წლის 2 ივლისი. პარაგრაფი II-8.

²⁷ *ibid*, პარაგრაფი II-18.

გარეშე, რომელიც ამ უფლების სადარაჯოზე დგას, ხოლო დემოკრატიული სამართლის უზენაესობა, თავის მხრივ, მოქალაქეთა ღირსეული და დამოუკიდებელი ცხოვრების პირობაა.

შემოსავლების განაწილებაში ჩარევა, რომელიც, თავის მხრივ, მიღებული გადასახადებისა და შენატანების მეშვეობით იქმნება, საჭიროა ყველა ადამიანის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და საკუთრების უზრუნველსაყოფად. ამიტომ მისი პრიორიტეტების მიხედვით აკრეფა და შემდგომ გადანაწილება მეტყველებს სახელმწიფოს სოციალურ ორიენტაციაზე. აქედან გამომდინარე, სოციალური საბაზრო ეკონომიკისთვის საკუთრების დაცვა არის იმის წინაპირობა, რომ მან წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი სიკეთის უზრუნველყოფაში და ამის მეშვეობით შეასრულოს თავისი სოციალური ვალდებულებები. ეს არ ნიშნავს ადამიანთა საკუთრების უფლების უგულებელყოფას – იგი საკუთრების უფლების მხოლოდ აბსოლუტური პრიორიტეტულობის უარყოფაა.

საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე და ბრალდებულის პროცესუალური გარანტიები**

აბსტრაქტი

სისხლის სამართლის საქმეთა საჯაროდ განხილვა სამართლებრივსახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია. საზოგადოებას გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი, რომ იყოს ინფორმირებული მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით და შეაფასოს, თუ რამდენად მათი მოლოდინების შესაბამისად ხორციელდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულება. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების ღიაობა ემსახურება სწორედ საზოგადოების ინფორმირებულობის მოთხოვნას. გამომდინარე იქიდან, რომ სისხლის სამართლის საქმეთა დიდმა ნაწილმა შესაძლოა, არც კი მიაღწიოს სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპს და იგი შეწყდეს გამოძიების სტადიაზე, ამიტომ საზოგადოება დაინტერესებული არა მხოლოდ სასამართლო დარბაზში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვით და მათი შედეგებით, არამედ, გამოძიების ეტაპზე, სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებითაც. შესაბამისად, როგორც მედია საშუალებები, ისე საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები უზრუნველყოფენ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას და ამ უკანასკნელის ინფორმირების თაობაზე ლეგიტიმური ინტერესის დაკმაყოფილებას.

სისხლის სამართლის საქმეთა თაობაზე საზოგადოების არასწორად და დაუბალანსებლად ინფორმირებამ შესაძლოა, მნიშვნელოვანი გამოწვევების და საფრთხის წინაშე დააყენოს სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანობა, ბრალდებულის უფლებები და მართლ-

* სამართლის დოქტორი (ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პროფესორი [giorgi.tumanishvili@tsu.ge]

** სტატიის არასრული ვერსია გამოქვეყნდა გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალში პროფესორ, სამართლის დოქტორ, საპატიო დოქტორ ჰანერ ალვარტისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოცემის ფარგლებში <<https://www.dgstz.de/storage/documents/oqbe89cVixCfGYxMfucvQNH5swNjHu8Cy6hS.pdf>> [15.12.2022].

მსაჯულების ინტერესები. განსაკუთრებით, საფრთხე ექმნება უდანაშაულობის პრეზუმფციასა და ბრალდებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. შესაბამისად, სისხლის სამართალმწარმოებელ ორგანოებს და მედია საშუალებებს ჰმართებთ, გააცნობიერონ არსებული საფრთხეები და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ, სწორი საინფორმაციო პოლიტიკის განხორციელებას სისხლის სამართლის საქმისა და ბრალდებული პირების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისას.

წინამდებარე სტატიაში განხილულია მედიის როლისა და ზეგავლენის საკითხები სისხლის სამართლის პროცესში, მიმოხილულია ის რისკები, რაც შეიძლება, დაემუქროს ბრალდებულის პროცესუალურ გარანტიებს, მართლმსაჯულების ინტერესებს და შემუშავებულია ცალკეული რეკომენდაციები დაბალანსებული საინფორმაციო პოლიტიკის მიმართულებით.

I. შესავალი

მასობრივი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების ეპოქაში ფაქტობრივად შეუზღუდავია მოქალაქეთა წვდომა ინფორმაციებზე. ამის პარალელურად მუდმივად იზრდება მედიის ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს კრიმინალური შემთხვევების მიმართ, არაერთი მედია საშუალება დიდ ყურადღებას უთმობს კრიმინალურ ქრონიკებს და ცდილობს, ამით მოიპოვოს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი. თუმცა ამას შეუძლია, სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენოს როგორც ცალკეული პირების ღირსება, ისე მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და ამასთან, აქციოს მსხვერპლად პროცედურული სამართლიანობის წესები.¹ როგორც წესი, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე საზოგადოების ინფორმირებისას ხდება პროცესის მონაწილეთა იდენტიფიცირება და სტიგმატიზება ანდა პრეიუდიციული ხასიათის ინფორმაციის გავრცელების შედეგად ხდება ბრალდებულის მედიის მიერ, ჯერ კიდევ, სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე გასამართლება.

საფრთხეები, რაც შეიძლება დაემუქროს დაუბალანსებელი საინფორმაციო პოლიტიკის გამო სისხლის სამართლის პროცესსა და ბრალდებულის პროცესუალურ გარანტიებს, განსაკუთრებით საყურადღებო უნდა იყოს

¹ ჰაინერ ალვარტი, „საჯაროობის პრინციპი გერმანული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით“ კრებულში გიორგი თუმანიშვილი და სხვა, ევროპული და „საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე“ (გამომცემლობა „მერიდიანი“ 2019) 440.

პროკურატურისთვის და საგამოძიებო ორგანოებისთვის, რომლებიც რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე. წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია სისხლის სამართლის საქმეებზე საინფორმაციო პოლიტიკის წარმოების მნიშვნელობა და თავისებურებები, ასევე ხაზი გასმულია ზემოხსენებულ საფრთხეებზე და სარეკომენდაციო სახით ასახულია დაბალანსებული საინფორმაციო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

II. მედიის როლი და ზეგავლენა სისხლის სამართლის პროცესში

სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში მაღალია საზოგადოების ინფორმირებულობის ინტერესი სისხლის სამართალმწარმოებელი ორგანოების საქმიანობასთან და მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით. საზოგადოების წევრებს, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, უჩნდებათ განსაკუთრებული მოლოდინი სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების ორგანოების მიმართ, რომ, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს დამნაშავის გამოვლენა და მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა.² სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების საქვეყნობა ემსახურება სწორედ საზოგადოების ინფორმირებულობის მოთხოვნას.

სისხლის სამართალმწარმოებელი ორგანოები დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში საჭიროებენ საზოგადოების ნდობას და აღიარებას. ამისათვის ზემოაღნიშნული ორგანოების საქმიანობა და საქმიანობის შედეგები უნდა იყოს მოსახლეობისთვის გასაგები და მისაღები. სისხლის სამართალმწარმოებელმა ორგანოებმა საზოგადოების წევრების მხრიდან ნდობასა და აღიარებას შეუძლიათ მიაღწიონ მხოლოდ თავიანთი საქმიანობის საქვეყნობის გზით. ამრიგად, აღიარებისა და ნდობის მოპოვების წინაპირობაა საზოგადოების წევრებთან კომუნიკაცია და მათთვის ინფორმაციის მიწოდება.³

საქვეყნო სისხლის სამართალწარმოება დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სასამართლოში საქმის განხილვისას, არამედ გამოძიების ეტაპზეც. საზოგადოებას აინტერესებს არა მხოლოდ სასამართლო დარბაზში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა და მათი შედეგები, არამედ ისიც, თუ რამდენად გულმოდგინედ

² Patrick Schul, *Kriminalberichterstattung und Stigmatisierung aus strafrechtlicher und medienpsychologischer Sicht: Vorverurteilung und Öffentlichkeit* (Freie Universität Berlin 2017) 99.

³ Winfried Hassemer, „Grundsätzliche Aspekte des Verhältnisses von Medien und Strafjustiz“ (2005) 3(25) *Strafverteidiger* 167.

ასრულებს საკუთარ ფუნქციას სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო. აღნიშნული ინტერესი სრულიად გასაგებიცაა, რადგან საქმეთა დიდმა ნაწილმა შესაძლოა, არც კი მიაღწიოს სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპს და იგი შეწყდეს გამოძიების სტადიაზევე პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. შესაბამისად, გამოძიების პროცესის მიმდინარეობის გამჭვირვალობას შეუძლია, დააკმაყოფილოს საზოგადოების ინფორმირებულობის ლეგიტიმური ინტერესი. ამისათვის პროკურატურამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ გამოძიების პროცესი არ იყოს გასაიდუმლოებული და საზოგადოებრივი კონტროლის მიღმა. პროკურატურამ მოსახლეობის რეგულარული ინფორმირების გზით უნდა უზრუნველყოს გამოძიების პროცესის გარკვეულწილად გამჭვირვალობა, რათა, მისი საქმიანობის და მიღებული გადაწყვეტილებების კრიტიკასთან ერთად, მოიპოვოს საზოგადოების წევრების ნდობაც. შესაბამისად, პროკურატურის აქტიური ურთიერთობა საზოგადოებასთან და გამოძიების პროცესის დასაშვებ ფარგლებში გამჭვირვალობა წარმოადგენს ერთგვარ დემოკრატიულსახელმწიფოებრივ აუცილებლობას.⁴ საზოგადოებასთან კომუნიკაცია პროკურატურას გააჩნია არა უშუალოდ, არამედ არაპირდაპირი, შუალობითი გზებით, უფრო ზუსტად კი, მედიის საშუალებით. თანამედროვე პირობებში მოსახლეობასა და სისხლის სამართალმწარმოებელ ორგანოებს შორის კომუნიკაციის უმთავრესი საშუალება მედიაა. მართალია, სასამართლოში საქმის განხილვა, როგორც წესი, საქვეყნოა, თუმცა მედია მაინც წარმოადგენს მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების მთავარ და ხშირად ერთადერთ წყაროს. საქვეყნო სასამართლო პროცესებზე დასწრებას მხოლოდ ერთეული ადამიანები ახერხებენ. უმეტესობა კი ინფორმაციას იღებს მედიის საშუალებით. შესაბამისად, სისხლის სამართალმწარმოებელი ორგანოები, გამოძიების დაწყებიდან საქმის სასამართლოში განხილვის ჩათვლით, არიან დამოკიდებული მედიაზე, როგორც ინფორმაციის ძირითად გამავრცელებელზე, რათა მოიპოვონ საზოგადოების ნდობა და აღიარება.

მედიის მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე ინფორმაციის გავრცელებას აქვს ასევე დიდი მნიშვნელობა სასჯელის მიზნების განხორციელების მიმართულებითაც. მედია განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს სასჯელის ზოგადი პრევენციის განხორციელების კუთხით. მედიის გარეშე სასჯელის ზოგად პრევენციულ მიზნებს არსებითად გაუჭირდებოდა რეალიზაცია. შესაბამისად, სისხლის სამართალმწარმოებელი ორგანოები საკუთარი

⁴ Ralph Alexander Lorz and Julia Bosch, „Rechtliche Parameter für die Öffentlichkeitsarbeit der Justiz – Eine aktuelle Analyse aus Anlass des sog. „Mannesmann“ - Verfahrens“ (2005) Archiv für Presserecht 97.

ფუნქციის წარმატებით განსახორციელებლად არსებითად არიან დამოკიდებული მედიაზე.⁵

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მედიაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სისხლის სამართალწარმოების ორგანოების საქმიანობას და სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებას. მედიის ინტერესი კიდევ უფრო მაღალია გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მიმართ. მედიასაშუალებების მხრიდან სისხლის სამართლის პროცესის თაობაზე ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება გაგებულია მისი საზოგადოებრივი ფუნქციის განხორციელების ნაწილად, რადგან ამ გზით ექცევა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ.⁶ გარდა ამისა, მედია სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოებში მიმდინარე პროცესების გაშუქების გზით ასრულებს საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების გავრცელების ფუნქციასაც.⁷ ზოგადად კი, მედიის საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ, ადრესატთა ფართო წრისთვის მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე ინფორმაციის მიწოდების გზით, მოახდინოს ზეგავლენა ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესზე.⁸ მართალია, მედია წარმოადგენს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე ინფორმაციის გავრცელების ძირითად საშუალებას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მედია საჯაროდ მხოლოდ იმას და იმ ფორმით არ ავრცელებს, როგორც ეს სისხლის სამართალმწარმოებელ ორგანოებს სურთ და წარმოუდგენიათ. მედია სამართალმწარმოებელი ორგანოების თაობაზე სურათს საზოგადოებაში აყალიბებს საკუთარი წარმოდგენის შესაბამისად. მედია არ წარმოადგენს „მართლმსაჯულების ნოტარიუსს“,⁹ რადგან მედია მოქმედებს საკუთარი წესების მიხედვით. მედიის მიერ საჯაროდ გავრცელებული სურათი ხშირ შემთხვევაში შესაბამისობაშია საზოგადოების დიდი ნაწილის შეხედულებებთან აღნიშნული ორგანოების თაობაზე. იმისათვის, რომ საზოგადოებას გააჩნდეს რეალური წარმოდგენა და სურათი სისხლის სამართალმწარმოებელი ორგანოებისა და მათი საქმიანობის შესახებ, ზემოხსენებული ორგანოები ვერ დარჩებიან პასიურ როლში და ვერ იქნებიან დამოკიდებული მხოლოდ იმაზე, თუ რა ინფორმაციას გაავრცელებს მედია. ისინი იძულებული არიან, რომ აქტიურად იქონიონ

⁵ Anna Reike, Die Rolle der Staatsanwaltschaft in der Mediengesellschaft: Möglichkeiten und Grenzen staatsanwaltschaftlicher Öffentlichkeitsarbeit im Ermittlungsverfahren (Verlag Dr. Kovac 2012) 137.

⁶ *ibid*, 119.

⁷ Christine Danziger, Die Medialisierung des Strafprozesses: Eine Untersuchung zum Verhältnis von Medien und Strafprozess (BWV, Berliner Wissenschafts-Verlag 2009) 26.

⁸ Reike, *supra* სქოლიო 5, 119.

⁹ Winfried Hassemer, Warum Strafe sein muss: Ein Plädoyer (2. Auflage, Ullstein 2009) 111.

საზოგადოებასთან კომუნიკაცია მედიის საშუალებით და ამით მოახდინონ აქტიური ზეგავლენა საჯარო აზრის ფორმირებაზე. თუკი სისხლის სამართალმწარმოებელ ორგანოებს სურთ, რომ არ მოხდეს მათი საქმიანობის თაობაზე გავრცელებული ინფორმაციის მედიის მხრიდან დამახინჯება, მათაც აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი მიმდინარე საქმეებზე საზოგადოების ინფორმირებას და მიაწოდონ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიმდინარე პროცესების თაობაზე საზოგადოებას. მათ ისეთი ფორმით უნდა მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია, რომ იგი გასაგები იყოს ნებისმიერი არაიურისტი რიგითი მოქალაქისათვის.¹⁰

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესის თაობაზე მედია საშუალებებით ინტენსიურად ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლებელია სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენოს არა მხოლოდ ბრალდებულის მნიშვნელოვანი კონსტიტუციური და პროცესუალური გარანტიები (მაგ., სამართლიანი პროცესის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება), არამედ, ასევე, ზიანი მიაყენოს თავად სისხლის სამართლის პროცესის მიზნებს და პრინციპებს. შესაბამისად, მედიას შეუძლია სისხლის სამართლის პროცესისთვის სახიფათო როლი ითამაშოს.¹¹ მაგალითად, გამოძიების ეტაპზე მედიის გადაჭარბებული აქტივობით და მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის დეტალების მედიაში გაშუქებით, შესაძლებელია, დაირღვეს ბრალდებულის და პროცესში მონაწილე სხვა პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ასეთი ხელყოფის რისკები მაშინ დგება, როდესაც გამოძიების პროცესში მონაწილე ცალკეული პირების ვინაობას მედია ასაჯაროებს და მათ ბრალდებულებად მოიხსენიებს.¹² მედიისთვის სწორედ პერსონალური კომპონენტი თამაშობს მთავარ როლს, რადგან პიროვნების იდენტიფიკაცია წარმოადგენს საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მნიშვნელოვან პუბლიცისტურ ხერხს.¹³ მედიის მიერ ბრალდებულთა იდენტიფიკაციას შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს საზოგადოებაში მათი სტიგმატიზება. გამოძიების ეტაპზე არსებობს მხოლოდ ვარაუდი ცალკეული პირების მხრიდან, დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. აღნიშნული არის

¹⁰ Thiesmeyer Heinrich, „Anzeige von Strafjustiz vs. Medien und Öffentlichkeit“ (1964) Deutsche Richterzeitung 73; Reike, supra სქოლიო 5, 140.

¹¹ Claus Roxin, „Strafprozess und Medien in Einheit und Vielfalt der Rechtsordnung“ in Festschrift zum 30 jährigen Bestehen der Münchener Juristischen Gesellschaft, Vorstand der Münchener Juristischen Gesellschaft e.V. (C.H.Beck 1996) 97.

¹² Reike, supra სქოლიო 5, 115; პირადი მონაცემების კონსტიტუციურ დაცვასთან დაკავშირებით იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/3/407 „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2007 წლის 26 დეკემბერი.

¹³ Ewald Behrschmidt, Kriminalberichterstattung in der Tagespresse (Kriminalistik Verlag 1998) 337.

სისხლის სამართლის პროცესის ადრეული ეტაპი, რასაც, როგორც წესი, უნდა მოჰყვეს საქმის სასამართლოში არსებითი განხილვა. მედიის მიერ გავრცელებული სიუჟეტებით კი, ხანდახან, ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზევე ხდება ბრალდებულის ფაქტობრივად დამნაშავედ გამოცხადება, რაც ბრალდებულის პიროვნულ და საქმიან რეპუტაციას აყენებს დიდ ზიანს. მედიის მიერ ბრალდებულისთვის მიყენებული ზიანი, ცალკეულ შემთხვევაში, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასაც კი აღარ შეუძლია გამოსწოროს, რადგან მედიის საშუალებით უკვე განხორციელდა ბრალდებულის „საჯარო ინკვიზიცია“.¹⁴

გარდა ზემოაღნიშნულისა, მედიამ ტენდენციურად და მიკერძოებულად ფაქტების გაშუქებით, შეიძლება გამოძიების პროცესსაც მიაყენოს ზიანი. მაგალითად, მედიას შეუძლია, სამართალდამცავ ორგანოებს აიძულოს გამოძიების დაწყება.¹⁵ მედიის მიერ საზოგადოებაში გარკვეული გარემოებების გაზვიადებულად გაშუქებამ და საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით ინფორმაციის გავრცელებამ ისიც შეიძლება გამოიწვიოს, რომ პროკურატურამ ვეღარ გაუძლოს საჯარო წნეხს და დაიწყოს კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მაშინაც კი, როდესაც რეალურად არ არსებობდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი წინაპირობები.¹⁶ ასევე, გამოძიების ეფექტურად წარმოებას და სიმართლის დადგენას შეიძლება, ხელი შეუშალოს განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებებისა და მისი შედეგების მედიის მიერ გახმაურებამ, გამოძიების შედეგად გამოვლენილი პირების ვინაობის საჯაროდ გაცხადებამ. ამასთან, როდესაც ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზე მედიაში ინტენსიურად ხდება სისხლის სამართლის საქმის დეტალების გახმაურება და პირის დამნაშავეობასა თუ უდანაშაულობის თაობაზე საჯარო აზრის ფორმირება, ამან შესაძლოა, სერიოზული გავლენა მოახდინოს მოგვიანებით სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის თუ საქმეში მონაწილე მოწმეების მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაზე.¹⁷

¹⁴ Roxin, supra 11, 97; Christian-Alexander Neuling, Inquisition durch Information: Medienöffentliche Strafrechtspflegeim nichtöffentlichen Ermittlungsverfahren (Duncker & Humblot 2005) 30.

¹⁵ Tilmann Job, Prozessführung der Staatsanwaltschaft und Medien (2005) 3(25) Strafverteidiger 175.

¹⁶ Sabine Sasse, „Justiz und Medien“ in Thomas Schuler and Christian Scherz (Hrsg.), Rufmord und Medienopfer (Ch.Links Verlag 2007) 69.

¹⁷ Reike, supra სქოლიო 5, 118.

III. სამართლიანი პროცესის უფლება

სამართლიანი პროცესის უფლება წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანეს პრინციპს და, ამავდროულად, ბრალდებულის (მსჯავრდებულის, ასევე გამართლებულის) ერთ-ერთ ძირითად პროცესუალურ გარანტიას. სამართლიანი პროცესის უფლება ბრალდებულს ენიჭება სსსკ-ის მე-8 მუხლის პირველი ნაწილით. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. სამართლიანი პროცესის პრინციპი სათავეს იღებს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტიდან ანუ ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის კონსტიტუციური მოთხოვნიდან. პიროვნების ღირსების ხელშეუვალობის პრინციპიდან გამომდინარეობს ის, რომ დაუშვებელია ადამიანის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საქმიანობის უბრალო ობიექტამდე დეგრადირება. ადამიანის ღირსება შეილახება, თუკი პიროვნება რაიმე მიზნის მისაღწევი საშუალება გახდება. ღირსების დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს განსაკუთრებით სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას ეკისრება. ამიტომ, სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულს პროცესის აქტიური სუბიექტის სტატუსი უნდა გააჩნდეს, რაც, უპირველეს ყოვლისა, პროცესის მიმდინარეობასა და მის შედეგზე აქტიური ზემოქმედების სამართლებრივი შესაძლებლობების ქონას გულისხმობს. მაშასადამე, პროცესის სამართლიანობა გულისხმობს ბრალდებულისთვის შანსის მიცემას, ეფექტურად დაიცვას თავი მატერიალურად და პერსონალურად მასზე გაცილებით უკეთესად აღჭურვილი პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალდებებისგან. ზემოაღნიშნული გარანტია ვრცელდება როგორც სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, ისე გამოძიების ეტაპზე¹⁸, ამიტომ პროკურორმა გამოძიების სტადიაზევე უნდა იზრუნოს სამართლიანი პროცესის პრინციპიდან გამომდინარე გარანტიების უზრუნველყოფაზე.

გამოძიების ეტაპზე პროკურატურის გადაჭარბებული საინფორმაციო პოლიტიკითა და საინფორმაციო საშუალებების მიერ მიმდინარე გამოძიების თაობაზე ტენდენციურად საზოგადოების ინფორმირებით შექმნილ განწყობებს შეუძლია ბრალდებულს მოუსპოს საკუთარი უფლებების ეფექტურად დაცვისა და პროცესზე ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობები. ამგვარი საინფორმაციო პოლიტიკით გამოწვეული საზოგადოების განწყობები მოქმედებს, როგორც წესი, პროკურორის,

¹⁸ Judgment of the European Court of Human Rights N50541/08, 50571/08, 50573/08, 40351/09 “Ibrahim and others v. The United Kingdom”, 13 September 2016; Judgment of the European Court of Human Rights N25703/11 “Dvorski v. Croatia”, 20 October 2015; Judgment of the European Court of Human Rights N42371/02 “Pavlenko v. Russia”, 4 October 2010.

სასამართლოს და მოწმეების ობიექტურობასა და დამოუკიდებლობაზე, რაც საფრთხეში აგდებს სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფას.¹⁹ ამასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც აღიარებს, რომ არასათანადო (ბრალდებულის შეურაცხმყოფელმა) მედია კამპანიამ, გარკვეულ ვითარებაში, შესაძლოა ჩრდილი მიაყენოს სასამართლო პროცესის სამართლიანობას საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენის გზით და, შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაზეც, რომლებიც მოწვეული არიან ბრალდებულის ბრალეულობასთან დაკავშირებული გადანწყვეტილების მისაღებად.²⁰ სამართლიანი პროცესის პრინციპი შესაძლებელია დაირღვეს მაშინაც, თუკი პროკურატურა მიაწვდის მედიას ინფორმაციას კონკრეტული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე ისე, რომ არ მოახდენს ჯერ თავად ბრალდებულის ინფორმირებას არსებული ბრალდების შესახებ. თუკი ბრალდებული პირველად მედიისაგან შეიტყობს, რომ იგი ბრალდებულად არის ცნობილი, მას გაუჭირდება მედიისთვის მის მიმართ არსებული ბრალდების თაობაზე დასაბუთებული პასუხების გაცემა, რაც მას ფაქტობრივად მოუსპობს წარდგენილი ბრალდებისაგან სათანადოდ დაცვის შესაძლებლობას.²¹ შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს პრინციპმა ბრალდებული უნდა დაიცვას არა მხოლოდ პროკურატურის გადაჭარბებული საინფორმაციო პოლიტიკისგან, არამედ მისგან გამომდინარეობს ასევე პროკურატურის ვალდებულებაც, იქამდე მოახდინოს ბრალდებულის ინფორმირება მიმდინარე გამოძიების, მისი შედეგების და არსებული ბრალდების შესახებ, ვიდრე იგი აღნიშნულის თაობაზე მიაწვდის ინფორმაციას მედიას.

IV. უდანაშაულობის პრეზუმფცია

უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც უმნიშვნელოვანესი საპროცესო გარანტია ეფუძნება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ

¹⁹ Joachim Bornkamm, *Pressefreiheit und Fairneß des Strafverfahrens: die Grenzen der Berichterstattung über schwebende Strafverfahren im englischen, amerikanischen und deutschen Recht* (Nomos 1980) 207; Christian Altermann, *Medienöffentliche Vorverurteilung – Strafjustizielle Folgerungen für das Erwachsenen- und für das Jugendstrafverfahren? Eine rechtsdogmatische Analyse auf der Grundlage einer empirischen Erhebung (Experteninterviews)* (Duncker & Humblot 2009) 32.

²⁰ Judgment of the European Court of Human Rights N1 “Mustafa Kamel Mustafa (Abu Hamya) v. The United Kingdom”, 18 January 2011; Judgment of the European Court of Human Rights N30971/12 “Abdulla Ali v. The United Kingdom”, 14 December 2015.

²¹ Reike, *supra* სქოლიო 5, 96.

დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ამასთან ერთად, არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს (საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტი). უდანაშაულობის პრეზუმფციას, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების არსებით შემადგენელ ნაწილს, ვხვდებით აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, რომლის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნა გასათვალისწინებელია როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე საქმის სასამართლო განხილვის დროს. სასამართლოს მიერ პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სისხლის სამართალმწარმოებელი ორგანოების წარმომადგენლებმა და ასევე სასამართლომ თავი უნდა შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, რომლებიც ისეთ წარმოდგენას ქმნიან, თითქოს პირის ბრალეულობა უკვე დადგენილია.²² შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმფციასთან შეუსაბამო იქნება, თუკი მოსამართლე იმ განწყობით დაიწყებს საქმის განხილვას, რომ ბრალდებული უკვე დამნაშავეა. ამასთან, მოსამართლემ საქმის განხილვისას ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით, არ უნდა გამოხატოს აზრი. ასევე, სასამართლომ ბრალდებულის გამართლების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაშიც არ უნდა შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ბრალდებული დამნაშავეა.²³

როგორც აღინიშნა, უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნა უნდა გაითვალისწინონ ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს წარმომადგენლებმაც. საჯარო განცხადებებში მათ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, სასამართლო გადაწყვეტილების წინსწრებად არ უნდა დაარწმუნონ საზოგადოება იმაში, რომ ბრალდებული უკვე დამნაშავეა.²⁴

თუ რამდენად ვრცელდება უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნები კერძო პირებზე და მედია საშუალებებზე, ამასთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ნაწილი

²² Judgment of the European Court of Human Rights N9043/05 “Natsvlshvili and Togonidze v. Georgia“, 24 April 2014; Judgment of the European Court of Human Rights N39820/08, 14942/09 “Shuvalov v. Estonia“, 19 May 2012; Judgment of the European Court of Human Rights N20899/03 “G.C.P. v. Romania“, 20 December 2011; გიორგი თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ 2014) 80–81.

²³ Judgment of the European Court of Human Rights N57435/09 “Paulikas v. Lithuania“, 24 April 2017; Reike, *supra* სქოლიო 5, 99–100.

²⁴ “G.C.P. v. Romania“, *supra* სქოლიო 22.

ავტორებისა მიიჩნევს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფიცია ბრალდებულს იცავს არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების შეუსაბამო განცხადებებისგან, არამედ მედიის შეუსაბამო საინფორმაციო პოლიტიკისგანაც და, ამდენად, პრინციპის მოქმედებას ავრცელებენ ასევე მედიის საქმიანობაზეც. აღნიშნულ ავტორებს მიაჩნიათ, რომ სისხლის სამართლის საქმის თაობაზე ინფორმაციის საქვეყნოდ გავრცელება წარმოადგენს მედიის ხელში ბრალდებულის წინააღმდეგ ისეთივე ბასრ იარაღს, როგორც სახელმწიფო ორგანოების ხელში არსებული დამნაშავის დასჯის უფლებამოსილება.²⁵ თუმცა უმეტესობა ავტორების მიერ ასეთი მოსაზრება უარყოფილია. არ არის გაზიარებული მოსაზრება, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმფიციის მიზნად, ასევე, ბრალდებულის მედიისაგან დაცვას აღიარებს. აღნიშნული პრინციპის მიზანი დანახულია მხოლოდ ბრალდებულის სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებისგან და არა მესამე (კერძო) პირებისგან დაცვაში.²⁶

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ უდანაშაულობის პრეზუმფიციამ არ შეიძლება შეაფერხოს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო მიმდინარე გამოძიების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებაში. პრეზუმფიცია მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ სისხლის სამართლის საქმის ირგვლივ განცხადებები დიდი სიფრთხილით და შესაბამისი ფორმით უნდა გაკეთდეს. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს დემოკრატიულ საზოგადოებაში, შესაბამისი ორგანოების მხრიდან, საზოგადოების ინფორმირების ვალდებულებას, როდესაც საქმე მძიმე ბრალდებებს ეხება ან როდესაც გამოძიება დაწყებულია მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების სავარაუდო დანაშაულებრივ საქმიანობაზე. თუმცა ასეთ შემთხვევაშიც საჭიროა, რომ თანამდებობის პირებმა მედიასთან განცხადებები გააკეთონ მოზომილი ფორმით და პატივი სცენ უდანაშაულობის პრეზუმფიციის მოთხოვნებს.²⁷ პროკურატურის წარმომადგენლებმა მიმდინარე გამოძიებაზე საუბრისას მაქსიმალურად უნდა შეიკავონ თავი საქმის დეტალების გახმაურებისაგან და მედიასთან გაკეთებული განცხადებებიდან აშკარად უნდა გამომდინარეობდეს, რომ საქმე ეხება მხოლოდ პირის მიერ დანაშაულის სავარაუდო ჩადენას. როგორც უკვე აღინიშნა, პროკურატურის განცხადებები არ შეიძლება ისე იყოს ფორმულირებული, თითქოს პირის ბრალეულობა უკვე დამტკიცებულია.

²⁵ Florian Stapper, Namensnennung in der Presse im Zusammenhang mit dem Verdacht strafbaren Verhalten (Berlin-Verl. Spitz 1995) 67.

²⁶ Walter Berka, Medienfreiheit und Persönlichkeitsschutz: Die Freiheit der Medien und ihre Verantwortung im System der Grundrechte (Springer-Verlag 1982) 352; Winfried Hassmer, Vorverurteilung durch die Medien? (1985) 33 Neue Juristische Wochenschrift 1921.

²⁷ Judgment of the European Court of Human Rights N57435/09 “Paulikas v. Lithuania”, 24 April 2017.

უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, არ შეიძლება ბრალდებულმა მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესში განიცადოს სოციალურ-ეთიკური დისკრიმინაცია. ამის საფრთხე არსებობს მაშინ, როდესაც ხდება მედიაში ბრალდებულის ვინაობის გამხელა. შესაბამისად, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ბრალდებულის ვინაობის საჯაროდ გამხელა ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნას, რადგან ახდენს ბრალდებულის საზოგადოებაში სტიგმატიზებას²⁸. მათი მოსაზრებით, ბრალდებულის სტიგმატიზების აშკარა საფრთხეს შეიცავს, მედიით ბრალდებულის დანაშაულში მამხილებელ ინფორმაციასთან ერთად, მისი ვინაობის და გამოსახულების გავრცელება. მაშინაც კი, როდესაც პროკურატურა საჯარო განცხადებებში პირს დამნაშავედ არ მოიხსენიებს, ბრალდებულის საჯარო იდენტიფიკაცია იძლევა იმის საფუძველს, რომ სისხლის სამართლის საქმის თაობაზე გავრცელებული არასაკმარისი ობიექტური ინფორმაციის გამო, საზოგადოებამ პირი მიიჩნიოს დამნაშავედ.²⁹ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული მოსაზრება არ არის გაზიარებული და არაერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მოსაზრება წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის გამოყენების სფეროს არასათანადოდ გაფართოების მცდელობას, რასაც არ გააჩნია შესაბამისი დოგმატური საფუძველები.³⁰ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპმა უნდა გამორიცხოს მხოლოდ ის, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე პირი იქნეს დამნაშავედ მიჩნეული და არა ის, რომ პროკურატურას გააჩნდეს მედიასთან კომუნიკაცია და მოახდინოს საზოგადოების მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე ინფორმირება. როდესაც პროკურატურა საზოგადოებას ინფორმაციას აწვდის მოზომილად და შესაბამისი ფორმით, მაშინაც კი, თუ იგი ამხელს ბრალდებულის ვინაობას, არ ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია. პირის იდენტიფიკაცია იმაზე მითითებით, რომ მას გააჩნია ბრალდებულის პროცესუალური სტატუსი და არსებობს მხოლოდ ვარაუდი მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის თაობაზე, არ წარმოადგენს პროკურატურის მხრიდან პირის ბრალეულობის შესახებ განაცხადს. ასეთი განაცხადი, გარკვეულწილად, რომც უქმნიდეს საზოგადოებას პირის დამნაშავეობის შთაბეჭდილებას,

²⁸ მაგალითად, Peter Zielemann, *Der Tatverdächtige als Person der Zeitgeschichte* (Duncker & Humblot 1982) 80-81.

²⁹ Klaus-Dieter Höh, *Strafrechtliche Anonymitätsschutz der Beschuldigten vor öffentlicher Identifizierung durch den Staatsanwalt* (Diss. Bonn 1985) 13; Kristian Kühl, „Persönlichkeitsschutz des Tatverdächtigen durch die Unschuldsvormutung“ in Hubmann Heinrich (Hrsg.) *Festschrift für Heinrich Hubmann zum 70. Geburtstag*, Hans Forkel (Metzner Verlag 1985) 253.

³⁰ Neuling, *supra* სქოლიო 14, 248; Brigat Dalbkermeier, *Der Schutz des Beschuldigten vor identifizierenden und tendenziösen Pressemitteilungen der Ermittlungsbehörden* (Peter Lang 1993) 112.

იგი მაინც ჩაჯდება უდანაშაულობის პრეზუმფციის ჩარჩოებში. მაშასადამე, იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ პროკურატურის მხრიდან საჯარო განცხადებებში ბრალდებული პირის ვინაობის დასახელება თავისთავად არ წამოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევას, თუკი ამას თან არ სდევს პირის ბრალეულობაზე მითითება და ბრალდებულის ისეთი პერსონალური მონაცემების გამჟღავნება, რაც პირს საზოგადოების თვალში აქცევს აშკარა დამნაშავედ.³¹

V. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

როგორც აღინიშნა, პროკურატურის საჯარო განცხადებები მიმდინარე გამოძიების შესახებ და მედიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია ბრალდებული პირის თაობაზე, შეიცავს ბრალდებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფის არსებით რისკებს. პროკურატურის საინფორმაციო პოლიტიკამ და მედია საშუალებების მიერ ინფორმაციის აქტიურად გაშუქებას შეუძლია, გამოიწვიოს საზოგადოებაში ბრალდებულის სტიგმატიზება და ზიანი მიაყენოს როგორც მის საქმიან რეპუტაციას, ისე პირად ურთიერთობებს.

აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანია, დაკონკრეტდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შინაარსი. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ზოგადად, პირადი ცხოვრება გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო სფეროს. უფლება პირად ცხოვრებაზე კი, ერთი მხრივ, ნიშნავს ინდივიდის შესაძლებლობას, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება, ხოლო, მეორე მხრივ, იყოს დაცული და უზრუნველყოფილი მის კერძო სფეროში სახელმწიფოს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პირების ჩარევისგან“³². უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე ფართოა აღნიშნული უფლების ცალკეული ასპექტები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული

³¹ Reike, supra სქოლიო 5, 105.

³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/3/407 „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2007 წლის 26 დეკემბერი, II-4.

კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული „პირადი ცხოვრების უფლება ვრცელდება პერსონალური იდენტობის ყველა ასპექტზე, როგორცაა: პირის სახელი, ფოტო-, ან ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა; კონვენციის მე-8 მუხლში განსაზღვრული გარანტიის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს ყველა პირის პიროვნული განვითარება ჩარევის გარეშე, რაც გამოიხატება მის სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. შესაბამისად, არსებობს კვეთის წერტილები სხვა პირებთან, მათ შორის საჯარო კონტექსტშიც, რაც დაცულია პირადი ცხოვრებით, ხოლო ფოტოს გამოქვეყნებამ შეიძლება ხელყოს პირის პირადი ცხოვრება, მაშინაც კი, როდესაც იგი არის საჯარო ფიგურა.“³³

ამრიგად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიიდან გამომდინარეობს პირის უფლება ანონიმურობაზე. ანონიმურობა ნიშნავს იმას, რომ ცალკეული ინდივიდები დამოუკიდებლად იღებდნენ გადაწყვეტილებას საჯარო სივრცეში ამოუცნობად, არაიდენტიფიცირებულად ყოფნის თაობაზე.³⁴ ამიტომ, პირი უნდა იყოს დაცული სახელმწიფო ორგანოების ან მედიის მიერ მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი გარემოებების თაობაზე, საზოგადოების თვითნებურად ინფორმირებისგან. შესაბამისად, პირის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევას წარმოადგენს, როდესაც მედიის ან პროკურატურის მიერ ხდება ბრალდებულის ვინაობის გასაჯაროება.³⁵ ბრალდებულის ინტერესი, იყოს დაცული მისი ვინაობის გასაჯაროებისგან, გამომდინარეობს მისი ანონიმურობის უფლებიდან. ამასთან, პირის იდენტიფიცირებისთვის არ არის სავალდებულო, რომ გასაჯაროვდეს მისი ვინაობა. ცალკეულ შემთხვევაში პირის იდენტიფიცირებისთვის სრულიად საკმარისია მისი საცხოვრებელის, პროფესიის ან ასაკის დასახელებაც. პირის იდენტიფიცირებას აქვს ადგილი მაშინაც, როდესაც იგი იდენტიფიცირებადია მხოლოდ მის უახლოეს გარემოცვაში.³⁶

ანონიმურობის უფლების ნაწილს წარმოადგენს, აგრეთვე, პირის უფლება საკუთარ ფოტოზე. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიით პირი დაცულია მისი ნებართვის გარეშე ფოტო ან ვიდეოგადაღებისგან, ასევე, ასეთი მასალების გავრცელებისგან.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიის კიდევ ერთ ასპექტს წარმოადგენს სოციალიზაციის უფლება. ნებისმიერ მსჯავრდებულს

³³ Judgment of the European Court of Human Rights N40660/08, 60641/08 “Von Hannover v. Germany”, 7 February 2012.

³⁴ Gerald Neben, *Trivale Personenberichterstattung als Rechtsproblem. Ein Beitrag zur Grenzziehung zwischen Medienfreiheit und Persönlichkeitsschutz* (Duncker & Humblot 2001) 161.

³⁵ Peter Kotz, „Strafrecht und Medien“ (1982) 1 *Neue Zeitschrift für Strafrecht* 14.

³⁶ Udo Branahl, *Medienrecht, Eine Einführung* (5. Auflage, VS Verlag für Sozialwissenschaften 2006) 124.

უნდა გააჩნდეს იმის შანსი, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ, კვლავ დაიმკვიდროს თავისი ადგილი საზოგადოებაში როგორც საზოგადოების სრულფასოვანმა წევრმა. მედიას დანაშაულის ჩამდენი პირის თაობაზე ინფორმაციის ინტენსიური გაშუქებით შეუძლია, საფრთხე შეუქმნას პირის რესოციალიზაციას, რადგან რესოციალიზაციის პროცესი საზოგადოების თანამონაწილეობასაც გულისხმობს. მედიის მიერ ბრალდებულის (მსჯავრდებულის) თაობაზე ნეგატიური სურათის შექმნა კი აძლიერებს საზოგადოების დისტანცირებას ამ უკანასკნელისგან.³⁷ სოციალიზაციის უფლება ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბრალდებულისათვისაც. ინფორმაციის გავრცელებას იმის თაობაზე, რომ პირს გააჩნია ბრალდებულის პროცესუალური სტატუსი, ასევე შეუძლია, საფრთხე შეუქმნას ბრალდებულის სოციალიზაციის პროცესს. როგორც წესი, სამართლებრივად გაუთვითცნობიერებული საზოგადოების წევრები, ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზე, ბრალდებულს აიგივებენ დამნაშავესთან. შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოები ვალდებულები არიან, რომ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე განცხადებების გაკეთებისას გამოიჩინონ მაქსიმალური ყურადღება და თავიდან აარიდონ პირს ინფორმაციის გასაჯაროებიდან მომდინარე ძირითადი უფლებების ხელყოფის საფრთხე.³⁸

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ არის აბსოლუტური. დემოკრატია ეყრდნობა რა კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის არსებობას, „უფლებათა უმრავლესობის შეზღუდვა აუცილებელია, რადგან მათი რეალიზაცია ხშირად წარმოშობს ღირებულებათა კონფლიქტს... მაშინ როდესაც ინტერესების დაპირისპირება აუცილებელია, წარმოიშობა მათი ჰარმონიზაციის, სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობა“³⁹. „თანამედროვე სახელმწიფოს სტაბილურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის პრიორიტეტების სწორად და სამართლიანად განსაზღვრა, ხელისუფლებისა და ადამიანის ურთიერთობის გონივრულად დაბალანსებული სისტემის შექმნა. ეს, პირველ რიგში, გამოხატულებას პოვებს ყოველი კონკრეტული უფლების შინაარსისა და ფარგლების ადეკვატურ საკანონმდებლო განსაზღვრაში“. „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელი, კონსტიტუციით გათვალის-

³⁷ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N35, 202 (234, 235, 237) ე.წ. „ლებახის გადაწყვეტილება“, 1973 წლის 5 ივნისი.

³⁸ Friedrich Kübler, „Sozialisationsschutz durch Medienverantwortung als Problem richterlichen Normierens“ in Friedrich Kübler Medienwirkung und Medienverantwortung, Überlegungen und Dokumente zum Lebach-Urteil des Bundesverfassungsgerichts (Nomos-Verlagsgesellschaft 1975) 12.

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/1477 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2011 წლის 22 დეკემბერი, II-45.

წინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, ამასთან იმ პირობის სავალდებულო დაცვით, რომ უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი და პროპორციული გზით მოხდება“.⁴⁰

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება აღიარებულია საჯარო ინტერესად. როდესაც ადგილი აქვს ინფორმაციის გავრცელების საჯარო ინტერესისა და მისგან გამომდინარე ბრალდებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის შეფასებას, როგორც წესი, უპირატესობა ენიჭება დანაშაულის თაობაზე საზოგადოების ინფორმირების საჯარო ინტერესს. ის, ვინც კანონს არღვევს და თავისი ქმედებით ზიანს აყენებს სხვა ადამიანის ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეს ან ხელყოფს კოლექტიურ სამართლებრივ სიკეთეს, სისხლისსამართლებრივ სანქციებთან ერთად, მან ასევე უნდა ითმინოს ისიც, რომ მისი ქმედებით საზოგადოებაში გაღვივებული ინფორმირებულობის ინტერესი თავისუფალი კომუნიკაციის პირობებში მცხოვრებ საზოგადოებაში, კომუნიკაციის სხვადასხვა გზებით იქნება დაკმაყოფილებული. თუმცა საზოგადოების ინფორმირებულობის საჯარო ინტერესის უპირატესობა არ მოქმედებს შეუზღუდავად. დანაშაულისა და დანაშაულის ჩამდენი პირის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებით გამოწვეული ბრალდებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით. ბრალდებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა არ შეიძლება იმაზე ინტენსიური იყოს, ვიდრე ეს აუცილებელია საზოგადოების ინფორმირებულობის ინტერესის დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, ინფორმაციის გავრცელებით, ბრალდებულისთვის მიყენებული ზიანი უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის პროპორციული. შესაბამისად, ბრალდებულის ან დამნაშავის სახელის დასახელება, მისი სურათის გავრცელება ან სხვაგვარი იდენტიფიკაცია არ არის ყოველთვის ნებადართული. აღნიშნული განსაკუთრებით არის გასათვალისწინებელი არასრულწლოვნების ან ნაკლებად მძიმე დანაშაულების შემთხვევებში.⁴¹

⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/625,640 „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2016 წლის 14 აპრილი, II-29.

⁴¹ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N35, 202 (234, 235, 237) ე.წ. „ლებახის გადაწყვეტილება“, 1973 წლის 5 ივნისი.

პროკურატურამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს, თუ რომელ ინტერესს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ამავედროულად, უნდა გაითვალისწინოს, ინფორმაციის გავრცელებით გამოწვეული, ბრალდებულის პირად ცხოვრებაში ჩარევის ინტენსიურობა და ყველა ის ნეგატიური შედეგი, რაც მის საჯარო განცხადებებს შესაძლოა მოჰყვეს ბრალდებულისთვის.⁴² შეფასების კრიტერიუმებს შორის არის ბრალად წარდგენილი დანაშაულის სიმძიმე ან განსაკუთრებულობა. რაც უფრო გამოირჩევა დანაშაული თავისი მძიმე შედეგებით, ჩადენის ხერხით ან მისი მსხვერპლის განსაკუთრებულობით, მით უფრო მაღალია საჯარო ინტერესი ინფორმირებულობაზე და, შესაბამისად, მით უფრო გამართლებულია ბრალდებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა.

შეფასების შემდეგი კრიტერიუმია დანაშაულის ჩადენის თაობაზე პირის მიმართ არსებული ეჭვის ხარისხი ანუ რამდენად რელევანტური და დამაჯერებელი მტკიცებულებები არსებობს პირის წინააღმდეგ. რაც უფრო მაღალია პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ალბათობა, მით უფრო გამართლებულია მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა საჯარო ინტერესების დასაკმაყოფილებლად. თუმცა, მხოლოდ აღნიშნულ კრიტერიუმზე დაყრდნობით, გაუმართლებელია პროკურატურის მიერ ბრალდებულის ვინაობის გასაჯაროება და იდენტიფიცირება. მოხსენიებულ კრიტერიუმთან ერთად, სახეზე უნდა იყოს შეფასების სხვა კრიტერიუმებიც, რომლებიც ერთობლივად ამართლებენ ბრალდებულის ძირითადი უფლებების შეზღუდვას.⁴³

ინტერესთა შეფასებისას გასათვალისწინებელია ასევე თავად ბრალდებულის პიროვნება. როდესაც პიროვნების ვინაობის მიმართ არსებობს განსაკუთრებული საჯარო ინტერესი, შესაძლებელია, ეს გარემოება ამართლებდეს მედია საშუალებებში ბრალდებულის იდენტიფიცირებას. ამრიგად, ბრალდებულის საჯაროდ იდენტიფიკაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენს იგი ცნობად პირს. ცნობადი პირები არიან ისინი, ვინც საჯარო ცხოვრებას ეწევიან და მოქცეული არიან საზოგადოების ყურადღების ცენტრში. იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ აბსოლუტურად და შედარებით ცნობად პირებს. აბსოლუტურად ცნობად პირებს მიეკუთვნებიან ისეთი პირები, რომლებმაც საჯარო ინტერესი მიიპყრეს არა ერთჯერადი მოვლენის გამო, არამედ საკუთარი სტატუსისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად ექცევიან საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

⁴² Reike, supra სქოლიო 5, 75.

⁴³ Sabine Schröer-Schallenberg, Informationsansprüche der Presse gegenüber Behörden (Duncker & Humblot 1987) 136.

ასეთი პირები არიან, მაგალითისათვის, სახელმწიფოს მეთაურები, პოლიტიკოსები, ცნობილი მეცნიერები, ხელოვანები, მსახიობები და გამოჩენილი სპორტსმენები და ასევე სხვა ის პირები, რომლებმაც თავისი მოღვაწეობითა და მდგომარეობით საზოგადოებაში დაიმკვიდრეს განსაკუთრებული ადგილი.⁴⁴ მართალია, დაცულია ასეთი პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, თუმცა მათ, როგორც წესი, უნდა ითმინონ მათი პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოების და ფაქტების საჯაროდ გავრცელება.⁴⁵ შესაბამისად, აბსოლუტურად ცნობადმა პირებმა ასევე უნდა ითმინონ მათ მიერ დანაშაულის სავარაუდო ჩადენის ფაქტის, მათი ვინაობის დასახელებით საქვეყნოდ მედია საშუალებებით გავრცელება. რაც უფრო მაღალია საზოგადოებაში ასეთი პირების მიმართ ნდობა და სტატუსი, მით უფრო ნაკლებად არის დაცული მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.⁴⁶ აღნიშნული მიდგომის დასაბუთება ხდება იმ არგუმენტით, რომ აბსოლუტურად ცნობადი პირები თავად სხვადასხვა გზებით საჯაროს ხდიან საკუთარი პირადი ცხოვრების ცალკეულ დეტალებს და თავად ცდილობენ, მედიის გამოყენებით, საზოგადოებაში ცნობადობის მოპოვებას. ისინი, ვინც საკუთარი ქცევით, საჯარო ფუნქციით ან გამორჩეული საზოგადოებრივი მდგომარეობით განსაკუთრებულად იპყრობენ საზოგადოების ინტერესს, ვალდებული არიან, ითმინონ მათ მიმართ არსებული საჯარო ინტერესი.⁴⁷

განსხვავებით აბსოლუტურად ცნობადი პირებისგან, შედარებით ცნობად პირებს მიეკუთვნებიან ისეთი პირები, რომლებმაც მიიქციეს საჯარო ინტერესი რაიმე მოვლენიდან, მომხდარი ფაქტიდან გამომდინარე. ამიტომ, საჯარო ინტერესს მათ შემთხვევაში, იპყრობს არა თავად პიროვნება, არამედ გარკვეული მოვლენა, ხდომილება.⁴⁸ ამასთან დაკავშირებით, დაისმის კითხვა, თუ რამდენად წარმოადგენენ შედარებით ცნობად პირებს ისინი, რომლებიც დანაშაულის ჩადენამდე საზოგადოებისთვის არ იყვნენ ცნობილები და ჩადენილმა დანაშაულმა და მისმა ბრალდებულის სტატუსმა მიიქცია საზოგადოების ყურადღება. ამის თაობაზე არ არსებობს

⁴⁴ Peter von Becker, *Straftäter und Tatverdächtige in den Massenmedien. Die Frage der Rechtmäßigkeit identifizierender Kriminalberichte. Eine Untersuchung zur beispielhaften Konkretisierung von Medienverantwortung im demokratisch-sozialen Rechtsstaat* (Nomos 1979) 155; Dalbkermeier, *supra* სქოლიო 30, 67.

⁴⁵ Zielemann, *supra* სქოლიო 28, 102.

⁴⁶ Helmut Kerscher, *Gerichtsberichterstattung und Persönlichkeitsschutz, Eine empirisch-rechtspolitische Studie über Entstehung und Wirkung identifizierender Gerichtsberichterstattung* (Universität Hamburg 1982) 338.

⁴⁷ *ibid*, 339; Neben, *supra* სქოლიო 34, 243; Christoph Degenhart, „Das allgemeine Persönlichkeitsrecht, Art. 2 I iV mit Art. 1, I GG“ (1992) *Juristische Schulung* 361.

⁴⁸ Kerstin Gronau, *Das Persönlichkeitsrecht von Personen der Zeitgeschichte und die Medienfreiheit* (Nomos 2001) 46; Kerscher, *supra* სქოლიო 46, 336.

ერთგვაროვანი პოზიციები. იურიდიულ ლიტერატურაში ნაწილი ავტორებისა ბრალდებულ პირს არ მიიჩნევს შედარებით ცნობად პიროვნებად, ნაწილი კი მათ აღიარებს ასეთად.⁴⁹ აღიარებულია მესამე, შუალედური მოსაზრება, რომელიც ბრალდებულ პირებს ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ცალკეულ შემთხვევაში და არა ყოველთვის, მიიჩნევს შედარებით ცნობად პირებად. ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები ყოველი კონკრეტული შემთხვევა და ის განსაკუთრებული გარემოებები, რამაც საზოგადოების ინტერესი მიიპყრო. მაშასადამე, ბრალდებულის შედარებით ცნობადად აღიარება დამოკიდებულია კონკრეტული დანაშაულის მიმართ საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესზე.⁵⁰

VI. დაბალანსებული საინფორმაციო პოლიტიკის სტანდარტები

როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლის სამართლის საქმის თაობაზე ინფორმაციის გაშუქება დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან სამართლიანი სისხლის სამართლის პროცესისა და ბრალდებულის მნიშვნელოვანი გარანტიების უზრუნველყოფის კუთხით. ამიტომ მედია საშუალებებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა ცალკეული რისკების შეფასებისა და ანალიზის შედეგად, სწორად უნდა აწარმოონ ამ სფეროში თავისი საინფორმაციო პოლიტიკა. ამაში მათ დახმარებას გაუწევს ის სტანდარტები, რომლებიც შემუშავებულია საინფორმაციო პოლიტიკის სწორად დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

როდესაც მედიის მიერ დანაშაულის თაობაზე ინფორმაციის გაშუქებაზე საუბარი, ამ მხრივ გასათვალისწინებელია მაუწყებელთა ქცევის კოდექსი,⁵¹ რომელიც აძლევს მედია საშუალებებს სახელმძღვანელო რეკომენდაციებს. მნიშვნელოვანი ვალდებულება, რასაც კოდექსი მედია საშუალებებს განუსაზღვრავს, არის ზუსტი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა. კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია, მიაწოდოს აუდიტორიას სანდო და ზუსტი ინფორმაცია, არ დაუშვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება. შესაბამისად, მედია საშუალებებმა თავი უნდა შეიკავონ გადაუმოწმებელი და არასანდო ინფორმაციის გავრცელებისაგან. მათ

⁴⁹ Joachim Bornkamm, „Die Berichtserstattung über schwebende Strafverfahren und das Persönlichkeitsrecht des Beschuldigten“ (1883) Neue Zeitschrift für Strafrecht 102; Dalbker Meyer, supra სქოლიო 30, 73; Neuling, supra სქოლიო 14, 235.

⁵⁰ Gronau, supra სქოლიო 48, 338; Herwigh Engau, Straftäter und Tatverdächtige als Personen der Zeitgeschichte, Ein Beitrag zur Problematik identifizierender Mediendarstellungen (Peter Lang 1993) 192.

⁵¹ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0>> [15.12.2022].

მიერ სისხლის სამართლის საქმის შესახებ საზოგადოებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ გადამოწმებული და რეალური ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან, მედია განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. იგი ვალდებულია, დაიცვას ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმურ მოლოდინს შორის.⁵² დანაშაულის გაშუქებისას მაუწყებელმა არ უნდა მოახდინოს ბრალდებულის იდენტიფიცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი სახელი საზოგადოებისთვის ცნობილია ან საქმე საზოგადოებრივი ინტერესის მქონეა.⁵³ ამრიგად, პირადი ცხოვრების სფეროს მიკუთვნებული გარემოებები მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლებელია გახდეს საზოგადოებისთვის ცნობილი, თუ საზოგადოების ინფორმირებულობის ინტერესი აშკარად აღემატება პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ინტერესს.⁵⁴ ამასთან, აუცილებლად უნდა არსებობდეს ის მინიმალური მტკიცებულებები, რომლებიც გავრცელებული ინფორმაციის სისწორეს ადასტურებენ და მას საზოგადოების ინფორმირებისთვის მაღალ ღირებულებას ანიჭებენ.⁵⁵ დაუშვებელია ისეთი ფორმით ინფორმაციის გავრცელება, როდესაც ხდება ბრალდებული პირის აშკარად დამნაშავედ მოხსენიება. დაუშვებელია ასევე, საზოგადოებაზე შთაბეჭდილების მოსახდენად, აშკარად ცალმხრივი ან არასწორი ინფორმაციის გაშუქება. ინფორმაციის გაშუქებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, ასევე, დაცვის მხარის მიერ წარდგენილი არგუმენტები და ფაქტები.⁵⁶

მაშინ, როდესაც მედია აშუქებს არა საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებულ ინფორმაციას, არამედ სისხლის სამართალმწარმოებელი ორგანოების მხრიდან გავრცელებულ ინფორმაციას, ამ შემთხვევაში გაშუქებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია თავად სისხლის სამართალმწარმოებელი ორგანო და არა მედია საშუალება. ამ დროს მედია წარმოგვიდგება მხოლოდ ინფორმაციის გამტარის როლში, იგი ასრულებს ერთგვარ შუამავლის როლს საზოგადოების ინფორმირებასთან დაკავშირებით.⁵⁷ მედიას აქვს სრული საფუძველი იმისათვის, რომ ენდოს პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და გააშუქოს იგი იმ განწყობით, რომ პროკურატურა მოქმედებს კეთილსინდისიერად და არ აწვდის საზოგადოებას ისეთ ცნობებს, რაც საკმარისად არ არის

⁵² *ibid*, მუხლი 34.

⁵³ *ibid*, მუხლი 49, ნაწილი 3.

⁵⁴ Karl Egbert Wenzel, *Das Recht der Wort- und Bildberichterstattung* (5. Auflage, Verlag Dr. Otto Schmidt 2003) 151.

⁵⁵ გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება NVI ZR 51/99, 1999 წლის 7 დეკემბერი.

⁵⁶ *ibid*; Reike, *supra* სქოლიო 5, 216.

⁵⁷ Wenzel, *supra* სქოლიო 55, 136; Dalbkermeier, *supra* სქოლიო 30, 213.

გამყარებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით. მედია საშუალებებს შეუძლიათ, დაეყრდნონ პროკურატურის მონაცემებს და თავად აღარ აწარმოონ ჟურნალისტური გამოძიება, თუკი მათ განსაკუთრებული ეჭვის საფუძველი არ გააჩნიათ პროკურატურის მოქმედებების კანონიერების მიმართ. იგივენაირად, ჟურნალისტებს შეუძლიათ, გაავრცელონ ბრალდებულის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, თუკი ასეთ ინფორმაციას ჟურნალისტებთან თავად სამართალმწარმოებელი ორგანოების წარმომადგენლები ასახელებენ. მედია საშუალებებს შეუძლიათ, ჰქონდეთ სახელმწიფო ორგანოების მიმართ ნდობა, რომ სამართალმწარმოებელი ორგანოები ასეთ ინფორმაციას საზოგადოებას აწვდიან მხოლოდ საქმეზე არსებული მაღალი საჯარო ინტერესის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, საქმეში არსებული საკმარისი მტკიცებულებების, ბრალდებული პირის ვინაობის და ბრალდებულის უფლებების სათანადოდ შეფასებისა და გათვალისწინების შედეგად.⁵⁸ სისხლის სამართალმწარმოებელმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ მედია საშუალებებმა შესაძლოა, არ გაავრცელონ ზუსტად იგივე ფორმით და მოცულობით, მათი მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია. მედიისთვის დამახასიათებელია ინფორმაციის ისეთი ფორმით გავრცელება, რაც უფრო მეტ ეფექტს მოახდენს საზოგადოებაზე. ამიტომ სისხლის სამართალმწარმოებელმა ორგანოებმა, ინფორმაციის გავრცელებამდე, სწორად უნდა შეაფასონ არსებული რისკები და ამის შემდეგ აიღონ თავზე ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებლობა.⁵⁹

როგორც აღინიშნა, პროკურატურის აქტიური თანამშრომლობა მედიასთან და საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე დასაშვები და სასურველიცაა, თუკი, ამავდროულად, არ ხდება ბრალდებული პირის მაიდენტიფიცირებელი პერსონალური მონაცემების გახმაურება. ამით ხდება არა მარტო საზოგადოების ინფორმირებულობის ინტერესის დაკმაყოფილება, ამასთან საზოგადოების წევრებს ეძლევათ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს საქმიანობის შეფასების, კონტროლისა და კრიტიკის შესაძლებლობა. ამიტომ პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს.⁶⁰ პრობლემა და პირის უმნიშვნელოვანესი გარანტიების დარღვევის რისკები იჩენენ თავს მაშინ, როდესაც პროკურატურა და გამოძიების ორგანოები ახდენენ ბრალდებული პირის იდენტიფიცირებას. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება საჯარო და კერძო ინტერესები. ასეთ დროს სახელმწიფო ორგანოები ვალდებული

⁵⁸ Reike, supra სქოლიო 5, 217.

⁵⁹ ibid, 218.

⁶⁰ Lorz and Bosch, supra სქოლიო 4, 110.

არიან, სათანადოდ შეაფასონ დაპირისპირებული ინტერესები და გაითვალისწინონ ყველა სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები. დასადგენია, თუ რამდენად აღემატება საჯარო ინტერესი პირის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ინტერესს, თუ რამდენად ინტენსიური იქნება პირის ვინაობის გახმაურებით, მისი პირადი ცხოვრების სფეროში ჩარევა და რა ნეგატიური შედეგები იქნება ამას პირის მნიშვნელოვანი გარანტიების უზრუნველსაყოფად.⁶¹

საზოგადოების ინფორმირებისთვის, როგორც წესი, საკმარისია გამოძიების მსვლელობისა და განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციის გავრცელება, კერძოდ, საკმარისია ცნობების გავრცელება პირის დაკავების, დაპატიმრების, ჩხრეკის და მისთვის ბრალის წაყენების შესახებ. ამისგან განსხვავებით, თავიდან უნდა იქნეს არიდებული გამოძიების დეტალების შესახებ საზოგადოების ინფორმირება.⁶² ამასთან, პირისთვის წარდგენილი ბრალდების შესახებ ინფორმაცია უნდა გავრცელდეს მოზომილად და სწორად, ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული, საზოგადოების წევრების მხრიდან, პირის დამნაშავეობის შესახებ ნაადრევი და არასწორი დასკვნების გაკეთება. ამიტომ პროკურატურა და საგამოძიებო ორგანო უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივ გარემოებებზე საუბრით და უარი უნდა ითქვას გამოძიების შედეგების, ბრალდებულის პიროვნებისა და მისი ბრალეულობის შეფასებაზე, ვინაიდან მსგავსი შეფასებები დაკავშირებულია რისკებთან, რომ პირის ბრალეულობის თაობაზე არსებული უბრალო ეჭვი საზოგადოების წევრების მიერ აღქმული იქნება მისი დამნაშავეობის უტყუარ მტკიცებულებად.⁶³

მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო ორგანომ ან პროკურატურამ არ აწარმოონ საინფორმაციო კამპანია ცალმხრივად, მხოლოდ მედიის ჩართულობით. კომუნიკაციის პროცესში აუცილებლად ჩართული უნდა იქნეს ასევე ბრალდებული და მისი ადვოკატი. ბრალდებულთან დაკავშირებული ინფორმაციის მედიისთვის მიწოდებამდე, ბრალდებული ან მისი ადვოკატი უნდა იყოს ამის თაობაზე ინფორმირებული. როდესაც ბრალდებული არის ინფორმირებული მის შესახებ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თაობაზე, მას აქვს შესაძლებლობა, წინასწარ მოემზადოს საჯარო რეაქციებისა და მედიისთვის გასაკეთებელი მისი განცხადებებისთვის. ასევე ბრალდებულს უნდა მიეცეს იმისი შესაძლებლობაც, რომ ზეგავლენა მოახდინოს ისეთი ინფორმაციის

⁶¹ ბერლინის ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება N27A262.00, 2000 წლის 5 ოქტომბერი.

⁶² Roxin, supra სქოლიო 11, 108.

⁶³ Reike, supra სქოლიო 5, 229.

გასაჯაროების პროცესზე, რაც მის პიროვნებას შეეხება. ბრალდებულის ან მისი ადვოკატის ჩართულობის გარეშე არ უნდა წყდებოდეს, ცალმხრივად და მარტივად, ბრალდებულის პიროვნების თაობაზე რელევანტური ცნობების გასაჯაროების საკითხი. ამ უკანასკნელსაც უნდა ჰქონდეს აღნიშნულის თაობაზე საკუთარი პოზიციების და არგუმენტების წარმოდგენის შესაძლებლობა.⁶⁴

VII. დასკვნა

შეჯამების სახით შესაძლებელია ითქვას, რომ სისხლის სამართალ-მწარმოებელმა ორგანოებმა და მედია საშუალებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ სწორი საინფორმაციო პოლიტიკის განხორციელებას სისხლის სამართლის საქმისა და ბრალდებული პირების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისას. მიუხედავად საზოგადოების მაღალი ინტერესისა ცალკეული სისხლის სამართლის საქმეთა მიმართ, საჭიროა, მათი ინფორმირება მოხდეს დაბალანსებულად, რაც ასევე ბრალდებულისთვის მინიჭებული გარანტიებისა და მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებას გულისხმობს. ამასთან, განცხადებების გაკეთებისას, განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურატურის წარმომადგენლებს, რადგან მედია საშუალებები ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით ახდენენ საზოგადოების ინფორმირებას და, ამ შემთხვევაში, ინფორმაციაზე პასუხისმგებელი თავად სისხლის სამართალმწარმოებელი ორგანო და არა მედია საშუალება.

⁶⁴ ibid, 235.

პროსტიტუციის ქართული რეჟიმი და მისი დარაჯები

აბსტრაქტი

პროსტიტუციის ქართული რეჟიმით პროსტიტუცია აკრძალულია, ისჯება სექს-მუშაკი და არა კლიენტი. ასევე კრიმინალიზებულია მესამე პირთა ქმედება. სექს-სამუშაო დღემდე მორალურ ჭრილში განიხილება, კრიტიკის ადრესატი არის როგორც ამ მომსახურების მყიდველი ისე სექს-მუშაკი და ყველა კრიტიკოსი საკუთარი დაშვება-არდაშვების მორალური პრიზმიდან განსჯის მათ და ითხოვენ ან ერთის ან მეორის დასჯას. სტატიის მიზანი პროსტიტუციის რეჟიმების გადახედვა და მათ შორის საუკეთესო გამოცდილებების მქონე მოდელის შერჩევაა რაზე მსჯელობაც მნიშვნელოვანია პროსტიტუციის ქართული რეჟიმის შესაცვლელად, რომელიც ადამიანის უფლებების დამრღვევი და გაუმართლებელი საპოლიციო რეპრესიების წყაროა.

ამ სტატიის მიზანი პროსტიტუციის რომანტიზება არაა, არამედ ზიანის (რომელიც ამ სამუშაოს ახლავს თან) წყაროს იდენტიფიცირება და მისი შემცირების გზების ძიებაა, რათა უსაფრთხო გახდეს გარემო სექს-მუშაკებისთვის, რომ მათ ისარგებლონ ყველა იმ უფლებით რაც ადამიანებს გვაქვს კონსტიტუციით გარანტირებული.

საქართველოში პროსტიტუციის განმსაზღვრელი კანონმდებლობის კონსტიტუციურობის საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოში 2018 წელს დადგა, თუმცა სარჩელი დღემდე არ განხილულა. აღნიშნულის ფონზე წინამდებარე სტატიით შევეცდებით ჩვენი მცირე წვლილი შევიტანოთ პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაწყვეტის გზების ძიებაში.

I. შესავალი

ინდივიდს ვისთან და რა პირობებით ექნება სქესობრივი კავშირი, მხოლოდ ამ ურთიერთობაში მონაწილეთა გადასაწყვეტია. სახელმწიფოს მხრიდან პირად ურთიერთობაში ჩარევა, რომელიც ადამიანების ნებას ემყარება, არის გაუმართლებელი და არღვევს ადამიანის უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი ცხოვრება და მიიღოს მასთან დაკავშირებით

* სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული (აფილირებული) პროფესორი [tgegelia@cu.edu.ge]

გადაწყვეტილებები. სექსსამუშაო დღემდე მორალურ ჭრილში განიხილება, კრიტიკის ადრესატი არის როგორც ამ მომსახურების მყიდველი, ისე სექს-მუშაკიც, ყველა კრიტიკოსი საკუთარი დაშვება-არდაშვების მორალური პრიზმიდან განსჯის მათ ქმედებას და ითხოვს დასჯას.

საქართველოში პროსტიტუციის განმსაზღვრელი კანონმდებლობის კონსტიტუციურობის საკითხი დადგა, მოსარჩელებმა მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს პროსტიტუციის აკრძალვის კონსტიტუციურობის შესამოწმებლად,¹ თუმცა სარჩელი დღემდე არ განხილულა. კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმაც გამოხატა თავისი შეფასება, სასამართლოს მეგობრის სახით და მხარი დაუჭირა პროსტიტუციის ამკრძალავი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.² აღნიშნულის ფონზე წინამდებარე სტატიით შევეცდებით, ჩვენი მცირე წვლილიც შევიტანოთ პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაწყვეტის გზების ძიებაში.

პროსტიტუციის ქართული რეჟიმი, რომელსაც 1984 წლის კანონი³ განსაზღვრავს, არასოდეს გამხდარა ქართულ აკადემიურ ტექსტებსა თუ წრეებში კრიტიკისა და დისკუსიის საგანი. ეს სტატია მიზნად ისახავს რეჟიმის კრიტიკას და იმ ზიანის წარმოჩენას, რასაც სწორედ პროსტიტუციის რეგულაცია იწვევს და არა თავად პროსტიტუცია.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ბევრი ქვეყნის სამართალი რეფორმირდა.⁴ ამ პროცესში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი მეცნიერებს შორის, კრიმინალიზაციის შეზღუდვის კრიტერიუმებზე შეთანხმება იყო. ჰარტი-დევლინის დებატიც სწორედ ამ საკითხს მიემართებოდა.⁵ ჰარტის მოსაზრებამ, რომ უნდა მომხდარიყო მორალური დანაშაულების, მათ შორის, პროსტიტუციის დეკრიმინალიზაცია, ძლიერი მხარდაჭერა მიიღო სისხლის სამართლის დოქტრინაშიც.⁶

¹ კონსტიტუციური სარჩელი N1354 „ს.მ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2018 წლის 3 ოქტომბერი <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1426>> [16.05.2022].

² სასამართლოს მეგობრის მოსაზრება: ავტორი - საქართველოს სახალხო დამცველი N1354 „ა. ს.მ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2020 წლის 4 მარტი <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10230>> [16.05.2022].

³ მუხლი 1723, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, <<https://matsne.gov.ge/document/view/28216?publication=511>> [15.15.2022].

⁴ ავტორთა ჯგუფი, რედაქტორი თამარ გეგელია, სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლები (ღია საზოგადოების ფონდი 2021).

⁵ Herbert Lionel Adolphus, Law, Liberty, and Morality (Stanford University Press 1963); Patrick Devlin, The Enforcement of Morals (Oxford University Press 1959).

⁶ Tamar Gegelia, ‘The Real Impact of the Harm Principle on the Liberalization of Criminal Law’ (2021) 2 Central and Eastern European Legal Studies 171-203 <<https://eplopublications.eu/publication/digital-edition/real-impact-harm-principle-liberalization-criminal-law>> [15.12.2022].

კრიტიკის საგანი იყო სრულწლოვანთა პორნოგრაფიული მასალების ბრუნვის ამკრძალავი ნორმებიც, კონსერვატორები და რადიკალი ფემინისტები იყვნენ, მათ შორის, ვინც პორნოგრაფიის დასჯას ემხრობოდა,⁷ ხოლო ლიბერალი მეცნიერები დასჯას ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან ვერ ხედავდნენ პორნოგრაფიისგან დასაცავ სამართლებრივ ინტერესს, მაშასადამე, ზიანს, რაც გაამართლებდა კრიმინალიზებას.⁸ დღეს პორნოგრაფიის ცირკულაცია რეგულირებულია აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, თუმცა ის ისეთი აბსოლუტური და ყოველმომცველი აკრძალვა აღარაა, როგორც წლების წინ იყო.⁹ მორალური წარმოდგენების მიუხედავად, საზოგადოებები მივიდნენ იმ შეგნებამდე, რომ არ უნდა ისჯებოდეს ადამიანი მარიხუანის მოხმარებისთვის, განსხვავებული სექსუალური გემოვნებისა თუ ორიენტაციისთვის, სადომაზობისტური სექსუალური ურთიერთობებისთვის და ა.შ.¹⁰ მსგავსი მორალის დანაშაულები განდევნილია თანამედროვე სისხლის სამართლით განსაზღვრული დანაშაულების კატალოგიდან.¹¹ მორალური დანაშაულების გაუქმების პროცესი ნელი ნაბიჯებით, თუმცა წინ მიიწევს.

საქართველოს სისხლის სამართლის ფუნდამენტური გარდაქმნა 1960 წლის სსრკ კოდექსის გაუქმებითა და 1999 წელს დამოუკიდებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიღებით მოხდა. 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი კიდევ მრავალჯერ რეფორმირდა, არაერთი დანაშაული დეკრიმინალიზდა (მაგალითად, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცილისწამება) და ბევრიც პირიქით, კრიმინალიზდა (მაგალითად, წამება, ტრეფიკინგი, ბავშვთა პორნოგრაფია, ოჯახში ძალადობა და სხვა). მიუხედავად ამ ცვლილებებისა, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ჯერ კიდევ დიდი გამოწვევების წინაშეა ჰარმონიაში იყოს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან.¹²

რეფორმა არ შეხებია 1984 წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, რომელიც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის აჩრდილია თანამედროვე საქართველოში, ის დღესაც ეფექტური საპოლიციო რეპრესიების მექანიზმია მოქალაქეების წინააღმდეგ. ამ კანონს ლომის

⁷ Catharine A. Mackinnon, *Butterfly Politics, Hanging the World for Women* (2nd edition, Belknap Press, An Imprint of Harvard University Press 2019) 96-108.

⁸ Camille Paglia, *Fee Women Free Men* (Canongate Canons; Main - Canons edition 2018) 85-91.

⁹ პორნოგრაფიის არსებული რეგულაციების კრიტიკული ანალიზისთვის იხ. Paul Kearns, 'The Judicial Nemesis: Artistic Freedom and the European Court of Human Rights' (2012) 1 *Irish Law Journal* 56-92.

¹⁰ სხვადასხვა იურისდიქციაში მორალური დანაშაულების გაუქმების ისტორია და ანალიზის შესახებ იხ. ავტორთა ჯგუფი, *supra* სქოლიო 4, მეორე კარის 1-ლი თავი.

¹¹ *ibid.*

¹² *ibid.* უშანგი ბახტაძე, კრიმინალიზაციის პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი (საბაუნი 2021).

წილი აქვს პროსტიტუციის მილიციური რეჟიმის გამაგრებაში, რაც საქართველოშია.¹³ ასეთი კი ორი ძირითადი ნორმაა: პროსტიტუციისა და პოლიციელის მიმართ დაუმორჩილებლობა/შეურაცხყოფის ამკრძალავი ნორმა.

ლიბერალურ დემოკრატიებში მოქმედი სისხლის სამართალი კონსტიტუციური კონტროლის ქვეშაა. სისხლის სამართალი უნდა ემყარებოდეს ინდივიდუალური ავტონომიის პრინციპს და პატივს სცემდეს ადამიანის თავისუფლებას, ამიტომაც მხოლოდ მინიმალურ აკრძალვებს უნდა ადგენდეს ის, რაც მნიშვნელოვანი იქნება სამართლებრივი ინტერესის დასაცავად სხვათა ხელყოფისაგან.¹⁴ ზიანის პრინციპი,¹⁵ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებსაც მიემატება, მით უმეტეს, რომ 1984 წლის კანონით გათვალისწინებული სანქციები, თავისი არსით და ბუნებით, დიდწილად სისხლისსამართლებრივია. მაგალითად, საქართველოში მარიხუანის მოხმარებისთვის ადამიანის დასჯა დეკრიმინალიზდა, დასჯა არაა გამართლებული არც სისხლის სამართლის და არც ადმინისტრაციული წესით, რადგან ნარკოტიკის პირადი გამოყენება სხვას არ აზიანებს.¹⁶

ქართული კანონმდებლობით პროსტიტუცია ადმინისტრაციული წესით ისჯება, ხოლო მასში ხელშეწყობა სისხლის სამართლის წესით. კრიმინალიზაცია/დეკრიმინალიზაციის გამართლებისთვის გამოთქმული მოსაზრებები განსხვავდება ერთმანეთისგან იმისდა მიხედვით, მხარდაჭერი კონსერვატიული ჯგუფია, რადიკალი თუ ლიბერალი ფემინისტები. ლიბერალური მოსაზრება მის დეკრიმინალიზებას უჭერს მხარს, რაც ამ სტატიაშიც არის მხარდაჭერილი.

სტატიის მიზანი პროსტიტუციის რეჟიმების გადახედვა და, მათ შორის, საუკეთესო გამოცდილებების მქონე მოდელის შერჩევაა, რაც შეიძლება ერთგვარი სახელმძღვანელო იყოს პროსტიტუციის ქართული რეჟიმის შესაცვლელად, რომელიც ადამიანის უფლებების დამრღვევი და

¹³ თამარ დეკანოსიძე, გენდერული ძალადობა სექს-მუშაკების მიმართ და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერები (ღია საზოგადოების ფონდი / საია 2018).

¹⁴ John Stuart Mill, *On Liberty* (1st edition 1859, Batoche Books Limited 2001)13; Andrew Ashworth and Jeremy Horder, *Principles of Criminal Law* (Oxford University Press 2013) 28.

¹⁵ ზიანის პრინციპის ანალიზისთვის იხ. ავტორთა ჯგუფი, *supra* სქოლიო 4, მეორე კარის 1-ლი თავი; ბახტაძე, *supra* სქოლიო 12.

¹⁶ მარიხუანის მოხმარების კრიმინალიზების საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობა და-ადგინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/13/732 „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 30 ნოემბერი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3875278?publication=0>> [12.12.2022]; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/1282 „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2018 წლის 30 ივლისი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4283100?publication=0>> [12.12.2022].

გაუმართლებელი საპოლიციო რეპრესიების წყაროა. ამ სტატიის მიზანი პროსტიტუციის რომანტიზება არაა, არამედ ზიანის (რომელიც ამ სამუშაოს ახლავს თან) წყაროს იდენტიფიცირება და მისი შემცირების გზების ძიებაა, რათა უსაფრთხო გახდეს გარემო სექს-მუშაკებისთვის, რომ მათ ისარგებლონ ყველა იმ უფლებით, რაც ადამიანებს გვაქვს კონსტიტუციით გარანტირებული. სტატიის მიზანია ლიბერალური ფილოსოფიის ტრილში განიხილოს პროსტიტუციისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ქმედების დასჯადობის საკითხი, ეჭვქვეშ დააყენოს ქმედებათა კრიმინალიზების ლეგიტიმურობა და აჩვენოს მკითხველს, რომ ზიანი, რომელიც თან ახლავს ამ ქმედებებს, დაკავშირებულია არა აუცილებლად სექს-სამუშაოსთან, არამედ რეჟიმთან, რომელიც პროსტიტუციას კრძალავს. ამასთან, როდესაც სტატიაში პროსტიტუციის სრული დეკრიმინალიზების მხარდამჭერ პოზიციაზეა საუბარი, აქ მხოლოდ სრულწლოვანი სექს-მუშაკის ნებაყოფლობითი საქმიანობაა მხედველობაში.

II. პროსტიტუციის რეჟიმები

პროსტიტუციის არსი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, რასაც კონკრეტული ქვეყნის ისტორიული, სოციალური თუ კულტურული კონტექსტებით ხსნიან.¹⁷ პროსტიტუციის ყველაზე გავრცელებული განმარტება სექსუალური მომსახურების ყიდვაა.¹⁸ *Amnesty International* პროსტიტუციას მოიხსენიებს როგორც სექს-სამუშაოს და მას ასე განმარტავს: „სექსუალური მომსახურება (მათ შორის სქესობრივი აქტი) სრულწლოვან პირებს შორის, მათი თანხმობის პირობებში, ანაზღაურების გარკვეული ფორმით, მყიდველისა და გამყიდველის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად“.¹⁹

პროსტიტუციის საკანონმდებლო რეგულაცია განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ქვეყნების ნაწილი სჯის მას, ხოლო ნაწილი არა, თუმცა აქაც განსხვავდება მიდგომები.²⁰ იმისდა მიხედვით, თუ რა უდევს საფუძვლად დასჯადობას, რა ინტერესს იცავს აკრძალვა, დასჯადობის საზღვრებიც ამის მიხედვითაა უფრო ფართო ან უფრო ვიწრო.²¹

¹⁷ Stuart P. Green, *Criminalizing Sex: A Unified Liberal Theory* (Oxford University Press 2020) 296.

¹⁸ *ibid*, 298.

¹⁹ თარგმანი აღებულია კვლევიდან: გენდერული ძალადობა სექს-მუშაკების მიმართ და მართლ-მსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერები, 5. პირდაპირი წყარო ინგლისურ ენაზე *ib*: Amnesty International Policy on State Obligation to Respect, Protect and Fulfil the Human Rights of Sex Workers (Amnesty International 2016) <<https://www.amnesty.org/en/documents/pol30/4062/2016/en/>> [28.08.2022].

²⁰ Green, *supra* სქოლიო 17, 295.

²¹ *ibid*, 315-323.

პროსტიტუციის რეგულირების რამდენიმე მოდელი შეიძლება გამოიყოს: 1) ერთი მიდგომით პროსტიტუცია არალეგალურია და ისჯება სექსმუშაკი;²² 2) განსხვავებულ რეჟიმს ადგენს ე.წ. შვედური მოდელი,²³ მას ნეო-აბოლიციონიზმსაც უწოდებენ.²⁴ პროსტიტუცია არალეგალურია, თუმცა სექს-სამუშაოსთვის ისჯება არა სექსმუშაკი, არამედ მყიდველი და სხვა პირები - პროსტიტუციის ხელშემწყობები.²⁵ ამ მოდელის მიხედვით, სექსმუშაკი მსხვერპლია გარემოების, რომელსაც ექსპლუატაციას უწევს მყიდველი.²⁶ აღნიშნული მოდელის ლობისტები რადიკალი ფემინისტები არიან;²⁷ 3) სხვა მიდგომით, სექსსამუშაო და მასში მონაწილეების ქმედება სრულად დეკრიმინალიზებულია, სექსსამუშაო მინიმალურადაა რეგულირებული კანონით. სექს-მუშაკთა უფლებები კი სრულადაა დაცული²⁸ (მაგალითად, ახალი ზელანდია, ავსტრალია - ახალი სამხრეთ უელსი²⁹); 4) რეგულაციონიზმი ეს არის მიდგომა, სადაც პროსტიტუცია ლეგალურია და საქმიანობა მკაცრად რეგულირდება კანონით (მაგალითად, გერმანია, ნიდერლანდები).³⁰

²² ქვეყნები, სადაც ეს რეჟიმი: საქართველო, რუსეთი, ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები. გამონაკლისია ნევადას შტატი სადაც პროსტიტუცია ლეგალიზებულია. აშშ-ის მოდელის ანალიზისთვის იხ. Ronald Weitzer, 'Sex Work, Gender, and Criminal Justice' in Rosemary Gartner and Bill McCarthy (eds), *The Oxford Handbook of Gender, Sex, and Crime* (Oxford University Press 2014) 514-518; Cecilia Benoit et al., 'Unlinking Prostitution and Sex Trafficking: Response to Commentaries' (2019) 48 *Archives of Sexual Behavior* 1973-1980.

²³ ქვეყნები, სადაც ეს რეჟიმი: შვედეთი, ნორვეგია, საფრანგეთი.

²⁴ შვედური მოდელის კრიტიკისთვის იხ. Gillian M. Abel, 'A Decade of Decriminalization: Sex Work 'Down Under' but not Underground' (2014) 14(5) *Criminology & Criminal Justice* 588; Mariana Valverde, 'The Legal Regulation of Sex and Sexuality' in Rosemary Gartner and Bill McCarthy (eds), *The Oxford Handbook of Gender, Sex, and Crime* (Oxford University Press 2014) 642-644; Janet Halley et al., 'From the International to the Local in Feminist Legal Responses to Rape, Prostitution/Sex Work and Sex Trafficking: Four Studies in Contemporary Governance Feminism' (2006) 29(2) *Harvard Journal of Law & Gender* 396-397, 400; Polina Bachlakova, 'How the Nordic model in France changed everything for sex workers' (Open Democracy 2020) <<https://www.opendemocracy.net/en/beyond-trafficking-and-slavery/long-read-how-nordic-model-france-changed-everything-sex-workers/>> [28.08.2022].

²⁵ Katie Beran, 'Revisiting the Prostitution Debate: Uniting Liberal and Radical Feminism in Pursuit of Policy Reform' (2012) 30(1) *Law & Inequality* 49-52.

²⁶ Benoit et al., supra სქოლიო 22, 1910.

²⁷ მაგალითად, Mackinnon, supra სქოლიო 7, 162-179. აღნიშნული მოსაზრების კრიტიკისთვის იხ. Benoit, supra სქოლიო 22, 1918; იხ. ასევე: Alan Collins and Guy Judge, 'Client Participation in Paid Sex Markets Under Alternative Regulatory Regimes' (2008) 28(4) *International Review of Law and Economics* 297; Prabha Kotiswaran, 'Beyond the allures of Criminalization: Rethinking the regulation of sex work in India' (2014) 14(5) *Criminology & Criminal Justice* 570; Jane Scouler, 'What's Law Got to Do with It? How and Why Law Matters in the Regulation of Sex Work' (2010) 37(1) *Journal of Law and Society* 16-17.

²⁸ ახალი ზელანდიის მოდელის ანალიზისთვის იხ. Abel, supra სქოლიო 24, 580-587; Green, supra სქოლიო 17, 295.

²⁹ Benoit, supra სქოლიო 22, 1916.

³⁰ Molly Smith and Juno Mac, *Revolt Prostitutes, The Fight for Sex Workers' Rights* (Verso 2018) 176-189.

მიუხედავად იმისა, რომ პროსტიტუციის განსხვავებულ რეჟიმებს ადგენენ, ე.წ. შვედური მოდელი, რომელიც სჯის კლიენტს და მესამე პირებს (ხელშემწყობებს) და, მაგალითად, ლეგალიზების მოდელი (მაგალითად, ნიდერლანდები, გერმანია, ავსტრია), სხვადასხვა კვლევებმა აჩვენა, რომ ერთმანეთის მსგავსი შედეგები აქვთ რეალობაში, მათ შორის, ქუჩის პროსტიტუციის მარგინალიზება და სექს-მუშაკთა დიდი ნაწილის ლეგალური სისტემის მიღმა დატოვება.³¹

პროსტიტუციის ლეგალიზების (რეგულაციონიზმის) რეჟიმით ლეგალურია მხოლოდ გარკვეული ტიპის სექს-სამუშაოები და მკაცრად განსაზღვრული პირობებით.³² ამ რეჟიმის მიმართ გამოთქმული კრიტიკა მრავალგანზომილებიანია. მას სექს-ინდუსტრიის ნორმალიზებისთვის აკრიტიკებენ,³³ სექს-მუშაკების კვლავ კანონმიღმა დატოვებისა და მათთვის უსაფრთხო გარემოს ვერ უზრუნველყოფისთვის.³⁴ რეგულაციები სექს-მუშაკებისგან გადასახადებსა და რუტინულ სამედიცინო შემოწმებებს სავალდებულოდ ადგენს, რაც აუტანელ გარემოს ქმნის სექს-მუშაკებისთვის,³⁵ რის გამოც ისინი კვლავ არალეგალურ გარემოში ბრუნდებიან. ეს სისტემაც გაკრიტიკებულია, რადგან ის ემსახურება ისევ სხვის ინტერესებს და არა სექს-მუშაკებს,³⁶ მათი მნიშვნელობა კვლავ უგულებელყოფილია.

რაც შეეხება პროსტიტუციის შვედურ მოდელს, არაერთი კვლევით არის დადგენილი, თუ როგორ გააუარესა სექს-მუშაკების მდგომარეობა. პირობების დამძიმება გამოიხატება უსაფრთხო გარემოს გაქრობაში. კლიენტი მაღალი სანქციის შიშით ერიდება დიდი ხნით გამოჩენას, სექს-მუშაკს აღარ აქვს დრო კლიენტი დაათვალიეროს, გაესაუბროს და ისე დათანხმდეს მომსახურებაზე. ასეთ გარემოში კლიენტი თავად სთავაზობს სექს-მუშაკს პირობებს. კლიენტი ადგენს საფასურსაც, რაც გაცილებით მცირეა, ვიდრე მანამდე იყო.³⁷ კვლევების მიხედვით, სექს-

³¹ Laura Agustín, 'Sex and the limits of enlightenment: The irrationality of legal regimes to control prostitution' (2008) 5(4) Sexuality Research and Social Policy 74, 76, 82; Beran, supra სქოლიო 25, 50-52; Valverde, supra სქოლიო 24, 642-644; Lenore Kuo, 'Prostitution Policy: Revolutionizing Practice Through A Gendered Perspective' (2003) 30(3) The Journal of Sociology & Social Welfare 132.

³² Smith and Mac, supra სქოლიო 30, 178-179

³³ *ibid*, 188.

³⁴ Kuo, supra სქოლიო 31, 134.

³⁵ Smith and Mac, supra სქოლიო 30, 176-184. სავალდებულო სამედიცინო ტესტირებების დისკრიმინაციულობაზე ანალიზისთვის იხ. Kuo, supra სქოლიო 31, 129. იმავე ნაშრომში ავტორი წერს, რომ, მაგალითად, ნიდერლანდებში სამედიცინო ტესტირებები სავალდებულო არაა, თუმცა ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ვენერიული დაავადებების გავრცელების კუთხით, რასაც ავტორი აგრესიული საინფორმაციო კამპანიებით ხსნის. *ibid*, 131.

³⁶ Smith and Mac, supra სქოლიო 30, 184-185.

³⁷ *ibid*, 148.

მუშაკი იძულებულია, მეტი ხნით და ნაკლები ანაზღაურების სანაცვლოდ იმუშაოს.³⁸ მაგალითად, ნორვეგიაში სადაც პროსტიტუციის ე.წ. შვედური მოდელია, სექს-სამუშაოს სახლში შესრულება აკრძალულია კანონით, საერთო ოთახის დაქირავება სხვა სექს-მუშაკებთან ერთად, ასევე იკრძალება ე.წ. ბორდელის მოწყობის აკრძალვის ნორმით.³⁹ ასეთი აკრძალვების პირობებში სექს-მუშაკს სხვა პარტნიორი სექს-მუშაკების მეგობრული ზედამხედველობის იმედის გარეშე, მარტოს უწევს იზოლირებულ ადგილას კლიენტთან ურთიერთობა, რაც ასევე პრაქტიკით დასტურდება, როგორ ახალისებს სექს-მუშაკის დაყაჩაღებას, მის მიმართ სხვადასხვა ფორმის ძალადობას.⁴⁰ სხვა სანქციები, რაც სექს-სამუშაოს შესრულებისთვის შეიძლება დააწვეთ სექს-მუშაკებს, სახლიდან გამოსახლება, გამომუშავებული ფულის, შეძენილი ნივთების ჩამორთმევა, როგორც უკანონო შემოსავლის და მათი დეპორტაციაა.⁴¹ ასეთ სამართლებრივ გარემოში იმის თქმა, რომ შვედური მოდელით დეკრიმინალიზებულია სექს-მუშაკის ქმედება და ისჯება მხოლოდ კლიენტი, სინამდვილეს არ შეესაბამება.

სხვა კვლევის მიხედვით, მაგალითად შვედეთში, სექს-სამუშაო შიდა სივრცეში ნაკლებად ექცევა საპოლიციო კონტროლის ქვეშ⁴² განსხვავებით ქუჩის პროსტიტუციისგან.⁴³ ამიტომ შვედეთის მთავრობის განცხადება, რომ პროსტიტუცია შემცირდა, მკვლევართა შენიშვნით არაა ზუსტი, ის უბრალოდ უფრო ფარული გახდა, ამას ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიები, ინტერნეტი.⁴⁴ ამასთან, პროსტიტუციის შემცირებაც ვერ იქნება სექს-სამუშაოს კრიმინალიზების გამართლების მყარი არგუმენტი. შვედური მოდელის გასამართლებლად და ოპონენტების გასაჩერებლად, ვინც პროსტიტუციის ლეგალიზებას ემხრობა, ტრეფიკინგის ზრდასთან ამ რეჟიმების კორელაციასაც უთითებენ,⁴⁵ თუმცა ესეც მიზეზობრიობის აშკარა მტკიცებულებებით ვერ დასტურდება. ექსპლუატაციისთვის ნოყიერ ნიადაგს რეჟიმი ქმნის, რომელიც სექს-მუშაკს დაცვის გარეშე ტოვებს ან აიძულებს მკაცრ რეგულაციებს გვერდი აუაროს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კრიტიკა ახალი ზელანდიის მოდელის მიმართ არ მოიძებნა.

³⁸ Scoular, supra სქოლიო 27, 20.

³⁹ Smith and Mac, supra სქოლიო 30, 146-163.

⁴⁰ ibid, 146-163.

⁴¹ ibid, 146-163; Kuo, supra სქოლიო 31, 126.

⁴² შვედეთში 10 წლის განმავლობაში სექსის ყიდვისთვის სულ 500 კლიენტი დაისჯა. იხ. Scoular, supra სქოლიო 27, 19.

⁴³ Scoular, supra სქოლიო 27, 18-19. ანალიზისთვის ასევე იხ. Agustín, supra სქოლიო 31, 76; Beran, supra სქოლიო 25, 52-53.

⁴⁴ ამ საკითხის ანალიზისთვის იხ. Beran, supra სქოლიო 25, 51-52

⁴⁵ Max Waltman, Prohibiting Purchase of Sex in Sweden: Impact, Obstacles, Potential, and Supporting Escape, Working Paper No. 2010:3, Stockholm University Department of Political Science 21-22

გამორჩეული რადიკალი ფემინისტი, რომელიც აბსოლუტურ ბოროტებად აფასებს პორნოგრაფიას და სექს-ინდუსტრიას *მაკქინონია*,⁴⁶ რომელიც თავის უახლეს ნაშრომებშიც დიდ პატივს მიაგებს ხოლმე შვედურ მოდელს და იმის საილუსტრაციოდ, თითქოს როგორ შემცირდა ამ რეჟიმის ქვეყნებში ტრეფიკინგი და სექს-მუშაკების რაოდენობა, იმონმებს ხოლმე ძალიან ძველ კვლევებს, რომელთა სანდოობა უკვე მრავალჯერ საეჭვოდ შეფასდა.⁴⁷ ქართულ აკადემიურ ტექსტებშიც ნებადართული პროსტიტუციის ტრეფიკინგის ზრდასთან კავშირის საჩვენებლად ან საერთოდ არ იმონმებენ კვლევებს ან არასანდო მყარობები მითითებული.⁴⁸

საგულისხმოა, ახალი ზელანდია, სადაც პროსტიტუცია სრულად დეკრიმინალიზებულია, ტრეფიკინგის კერად არ გადაქცეულა.⁴⁹ ასევე არაერთმა სხვა კვლევამ დაადასტურა ის, რომ იმ იურისდიქციაში, სადაც პროსტიტუცია კრიმინალიზებულია, პროსტიტუცია არ შემცირებულა.⁵⁰

ზემოთ მოყვანილი ფაქტების და ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საბოლოოდ, ის რეალობა დადგა შვედური მოდელის ქვეყნებში, რომ კარცერული ფემინიზმით მხარდაჭერილი რეჟიმი, რომლის გაცხადებული მიზანი სექს-მუშაკების დაცვაა სექსუალური ექსპლუატაციისგან, რეგულაცია ვისაც უნდა იცავდეს სწორედ იმას ასუსტებს და ამცირებს. ამდენად, ეს რეჟიმი კონტრპროდუქტიულია და მხარდაჭერას არ იმსახურებს.

რაც შეეხება პროსტიტუციის სრულად დეკრიმინალიზების მოდელს ე.წ. ახალი ზელანდიის მოდელი, ეს რეჟიმი სექს-მუშაკის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, სოციალური სტიგმის და აქედან მომდინარე ზიანის შემცირებაზეა ორიენტირებული,⁵¹ ის არც ეკონომიკურ სარგებელზეა ორიენტირებული და არც ადამიანის პერსონალური ავტონომიის შემლახველ სამედიცინო

⁴⁶ კეტრინ მაკქინონი ტერმინს სექს-სამუშაო, ასევე არასწორად მიიჩნევს და საჯარო გამოსვლებში ირონიულად ახსენებს ხოლმე. მისი ავტორობით გამოცემული აკადემიური ტექსტებიდან ისე იკითხება, რომ მისთვის არ არსებობს ჰეტერონორმატიულ ურთიერთობებში თანასწორი სექსი და მით უმეტეს, თუ მასში ფულს უხდიან ქალს. პროსტიტუციასთან დაკავშირებით მისი შეფასებები, რომ ის ქალის ექსპლუატაციაა ერთმნიშვნელოვნია. მაგალითისთვის, იხილეთ მისი საჯარო ლექცია <<https://www.youtube.com/watch?v=zpYegz10qHA>> [17.05.2022]

⁴⁷ Mackinnon, supra სქოლიო 7, 177.

⁴⁸ მაგალითისთვის, იხ. ირინე ხერხეულიძე, „ტრეფიკინგში „მიწოდება – მოთხოვნის ბაზარი“ – რეალობა, საფრთხეები და მის შესამცირებლად მიმართული ტენდენციები“ (2018) 2 გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი 40-41, სქოლიო 21.

⁴⁹ კეტრინ მაკქინონი ახალი ზელანდიის მოდელის მანკიერების საჩვენებლად მხოლოდ იმას უთითებს, რომ ძალადობა და სოციალური სტიგმა არ შეუმცირებია, მტკიცებულებად კი 2008 წლის ანგარიშს უთითებს. Mackinnon, supra სქოლიო 7, 178. უნდა აღნიშნოს, რომ ახალ ზელანდიაში ახალი რეჟიმი 2003 წელს შევიდა ძალაში და 5 წელიწადში, რაც შესამჩნევი არ იყო, ახალი კვლევები (იხ. 52-ე სქოლიო) გაცილებით უკეთეს მდგომარეობას აჩვენებს.

⁵⁰ Kuo, supra სქოლიო 31, 125.

⁵¹ Smith and Mac, supra სქოლიო 30, 198.

ტესტირებებს ითვალისწინებს (როგორც ეს ლეგალიზების მოდელიშია). ის, ასევე არც კლიენტის და მესამე პირების კრიმინალიზებით აზიანებს სექს-მუშაკის უსაფრთხო გარემოს (როგორც ეს შვედური მოდელით ხდება). სრული დეკრიმინალიზების რეჟიმში სექს-სამუშაო დეკრიმინალიზებულია, არ ისჯება სექსის მომსახურების გამწვევი და არც ამ მომსახურების მიმღები, ასევე არ ისჯებიან მესამე პირებიც. ამ რეჟიმის პირობებში სექს-სამუშაოს ხელშემწყობების ინტერესი თითქმის არ არსებობს, სექს-მუშაკები თავად აორგანიზებენ საკუთარ ქმედებებს უშიშრად, რადგან არ არსებობს საპოლიციო ტერორი.⁵² რეჟიმი მცირე დოზით ადგენს რეგულაციებს და ისიც სექს-მუშაკის ინტერესებისთვის, ასეთი რეგულაციაა სექს-მუშაკისთვის, რომელიც სექს ინდუსტრიიდან გასვლას დააპირებს, დაუყოვნებლივ მიიღოს სოციალური დახმარება.⁵³ ასევე რეგულაცია, რომელიც კლიენტებს კონდომის გამოყენების ვალდებულებას უდგენს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სტიგმა და შეურაცხოვა ქუჩის სექს-სამუშაოს მიმართ კვლავ გამოწვევად რჩება, სტიგმის შემცირების და სექს მუშაკთა მხრიდან თავიანთი უფლებების დაცვის და შედეგების მიღწევის ისეთ მაგალითებზე უთითებენ მკვლევრები, რომელსაც ადგილი ვერ ექნებოდა ძველი რეჟიმის პირობებში.⁵⁴ რა თქმა უნდა, არც ახალი ზელანდიის რეჟიმია უნაკლო, მას მიგრანტების დაიგნორებისთვისაც აკრიტიკებენ, მაგრამ ყველა სხვა რეჟიმზე უფრო ჰუმანურია და ნაკლები ზიანი ახლავს მის მოქმედებას.⁵⁵ გარდა ამისა, ამ რეჟიმის ნაკლოვანება არაა რაღაც თანდაყოლილი რომ ვერ გამოსწორდეს.

⁵² ახალ ზელანდიაში პროსტიტუციის რეფორმის აქტის (Prostitution Reform Act 2003) მიღების შემდგომ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ქუჩებში სექს-მუშაკთა ვერბალური და ფიზიკური შეურაცხყოფა გამვლელების მხრიდან კვლავ ხდება, თუმცა მნიშვნელოვანი მიგნებაა, რომ სულ უფრო მეტი სექს-მუშაკი მიმართავს პოლიციას უფლებების დასაცავად, რაზეც პოლიციაც ადეკვატურად რეაგირებს. იხ. Lynzi Armstrong, 'Who's the Slut, Who's the Whore?: Street Harassment in the Workplace Among Female Sex Workers in New Zealand' (2016) 11(3) Feminist Criminology 295-296. კვლევის ავტორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმ ბევრი სიკეთისა, რაც დეკრიმინალიზაციის მოდელმა მოუტანა სექს-მუშაკებს, კიდევ ბევრია გასაკეთებელი სოციალური ნორმების შეცვლის თვალსაზრისით. პოლიტიკის გაძლიერება იმ მყარად გამჯდარი სტერეოტიპების შესაცვლელად, რაც ქალის და მისი სექსუალობის შესახებ არსებობს, მნიშვნელოვანია, რომ სრულიად უსაფრთხო გახდეს ქუჩა სექს-მუშაკებისთვის (და არა მხოლოდ მათთვის). *ibid.*, 298.

⁵³ Smith and Mac, *supra* სქოლიო 30, 196.

⁵⁴ Fraser Crichton, Decriminalising Sex Work in New Zealand: Its History and Impact, 21 August 2015 <<https://www.opendemocracy.net/en/beyond-trafficking-and-slavery/decriminalising-sex-work-in-new-zealand-its-history-and-impact/>> [21.01.2023].

⁵⁵ Smith and Mac, *supra* სქოლიო 30, 199.

III. პროსტიტუციის აკრძალვით დაცული სამართლებრივი ინტერესი

პროსტიტუციის კრიმინალიზაციის გამართლებისთვის სხვადასხვა მიზეზებს უთითებენ იმისდა მიხედვით, თუ რა იდეოლოგიისა თუ ფილოსოფიური ხედვისაა ავტორი.⁵⁶ ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, პროსტიტუციის დასჯა გამართლებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით,⁵⁷ რაც მნიშვნელოვანია ვენერიული დაავადებების გავრცელების პრევენციისთვის.⁵⁸ დასჯადობის გამართლებისთვის ასევე უთითებდნენ ოჯახის ინსტიტუტის დასუსტების საფრთხეს, გარყვნილების პროპაგანდას და სხვა⁵⁹. ეს შეხედულებები მორალისტურია, რაც მიუთითებს პროსტიტუციის აკრძალვის მორალურ საფუძველზე და რომ მისგან არაა დაცული სამართლებრივი ინტერესი სხვათა ხელყოფისგან.

რადიკალი ფემინისტური მოსაზრებით, პროსტიტუცია უნდა ისჯებოდეს ქალთა უფლებების დასაცავად, რადგან პროსტიტუციის დაუსჯელობა ქალისადმი ძალადობისა და მისი შეურაცხყოფის ნორმალიზებას ახდენს.⁶⁰ ამ მოსაზრების მხარდამჭერები ფემინისტების ერთი ნაწილია, ისინი სექს-მუშაკს მსხვერპლად განიხილავენ და მხარს უჭერენ პროსტიტუციის აკრძალვას.⁶¹ მათი აზრით, სანამ სექსის მიხედვით, სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა იარსებებს, სექს-სამუშაო მუდმივად იქნება ქალის ჩაგვრის და მისი გასაგნების ფორმა.⁶² მათი შეფასებით, პროსტიტუციისთვის თანდაყოლილია ქალის ექსპლუატაცია, ჩაგვრა, დეგრადირება⁶³ და სხვა ზიანი.⁶⁴ ამიტომაც ისინი მხარს უჭერენ პროსტიტუციის ხელშემწყობთა (კლიენტები, სუტენიორები) ქმედების კრიმინალიზებას. აქ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მათი მხარდაჭერილი ე.წ. შვედური მოდელი, ქალებს არ აძლიერებს, როგორც

⁵⁶ Green, supra სქოლიო 17, 313; Peter de Marneffe, *Liberalism and Prostitution* (Oxford University Press 2009) 3.

⁵⁷ Matthew Lippman, *Essential Criminal Law* (SAGE Publications 2013) 271; Green, supra სქოლიო 17, 313.

⁵⁸ კვლევების თანახმად, უსაფრთხო სექსის, კონკრეტულად კი პრეზერვატივების გამოყენების ინიციატივა სექს-მუშაკებისგან მოდის და თუკი დათმობაზე წასვლა უწევთ, მხოლოდ იმიტომ, რომ კლიენტი შეინარჩუნონ. იხ. Beran, supra სქოლიო 25, 27.

⁵⁹ Lippman, supra სქოლიო 57, 271; Green, supra სქოლიო 17, 313.

⁶⁰ Catharine A. MacKinnon, *Only Words* (Harvard University Press 1996) 37.

⁶¹ სხენებული მოდელი გაუმართლებელი პატერნალიზმის გამო გაკრიტიკებულია. იხ. Halley, supra სქოლიო 24, 400.

⁶² რადიკალი ფემინისტების არგუმენტებისთვის იხ. Benoit, supra სქოლიო 22, 1908.

⁶³ Andrea Dworkin, 'Prostitution and Male Supremacy' (1993) 1(1) *Michigan Journal of Gender & Law* 5-6; Catharine A. MacKinnon, 'Prostitution and Civil Rights' (1993) 1 *Michigan Journal of Gender & Law* 13-14.

⁶⁴ აღნიშნული არგუმენტების ანალიზისთვის იხ. Joanna N. Erdman, 'Harm Production: An Argument for Decriminalization' in Alice M. Miller and Mindy Jane Roseman (eds), *Beyond Virtue and Vice* (University of Pennsylvania Press 2019) 253; Marneffe, supra სქოლიო 56, 3-4; Scott A. Anderson, 'Prostitution and Sexual Autonomy: Making Sense of the Prohibition of Prostitution' (2002) 112(4) *Ethics, the University of Chicago Press Journals* 752-754; Beran, supra სქოლიო 25, 36-43.

ზემოთ აღინიშნა, უფრო პირიქით, კლიენტი გახდა სექს-მომსახურების პირობების დამდგენი, სწორედ მისი ძალაუფლება გაძლიერდა.

ფემინისტების მეორე ჯგუფი - ლიბერალი ფემინისტები, სქესთა შორის უთანასწორობის პრობლემას და პატრიარქალური კულტურის გავლენებს არ უარყოფენ, ასევე არ უარყოფენ ზიანს და საფრთხეებს, რომელიც თან ახლავს პროსტიტუციას, თუმცა ზიანს პროსტიტუციის რეჟიმს, სექს-მუშაკების კანონგარეშედ გამოცხადებასა და მათ კონტროლს უკავშირებენ, გამოსავლი კი გარემო პირობების შეცვლა მიაჩნიათ და არა საქმიანობის კრიმინალიზება.⁶⁵ ასევე, ამ პოზიციის მხარდამჭერთა აზრით, ყველა სექს-მუშაკის ერთი ქოლგის ქვეშ მოქცევა და მათი თავისუფალი გადაწყვეტილების ვერ დანახვა, არასწორია.⁶⁶ თავისუფალი ნება ამ სიტყვის იდეალური გაგებით იშვიათია, რაც თავისთავად არ გამორიცხავს თავისუფალ გადაწყვეტილებას.⁶⁷ როგორც არაერთ ავტორს აქვს სწორად შენიშნული, გადაწყვეტილება, რომელსაც ვიღებთ ცხოვრებაში, ხშირად არაა სასურველი, მაგრამ ეს თავისთავად არ გამორიცხავს ჩვენს თავისუფალ აგენტობას ავირჩიოთ.⁶⁸

რადიკალი ფემინისტების მხრიდან კოლექტიური სიკეთის - „ქალთა ღირსების“ დაცვის მოტივით პროსტიტუციის კრიმინალიზების მოთხოვნა, ინდივიდის, თუნდაც ერთი სექს-მუშაკი ქალის სურვილის და არჩევანის დაიგნორებაა, რაც ისევ და ისევ ამ ინდივიდს ვნებს, მას აზიანებს და შეურაცხყოფს, რაც არასწორია. ქალების დაცვა „მათივე საუკეთესო ინტერესების“ მოტივით ანტიფემინისტურია თავისი არსით.⁶⁹ ასეთი სპეციალური მზრუნველობა ქალების მიმართ ისტორიულადაც კონტრპროდუქტიული იყო.⁷⁰ სექსუალური ექსპლუატაცია ზიანთან არის დაკავშირებული, მისი კრიმინალიზების ლეგიტიმურობაში ეჭვი არავის შეაქვს და ეს ასეც არის, იქნება ეს ტრეფიკინგი თუ სექსობრივი დანაშაულების სხვა ფორმები, აკრძალულია საქართველოშიც და იმ ქვეყნებშიც სადაც პროსტიტუცია ლეგალურია. ასევე ლეგიტიმურია, იკრძალებოდეს ტრეფიკინგის მსხვერპლისგან, სექსუალური მომსახურების ყიდვა.

⁶⁵ ლიბერალი ფემინისტების არგუმენტებისა და ანალიზისთვის იხ. Anderson, supra სქოლიო 64, 757-758; Beran, supra სქოლიო 25, 30-36.

⁶⁶ Suzanne Jenkins, 'Exploitation: The Role of Law in Regulating Prostitution' in Suzanne Shelley, Day Sclater, Fatemeh Ebtehaj, Emily Jackson, Martin Richards (eds), *Regulating Autonomy: Sex, Reproduction and Family* (Hart Publishing; 1st edition 2009) 21-22.

⁶⁷ Nora Scheidegger, 'Balancing Sexual Autonomy, Responsibility, and the Right to Privacy: Principles for Criminalizing Sex by Deception' (2021) 22 *German Law Journal* 773.

⁶⁸ Robin West, 'Sex, Law, and Consent' in Franklin Miller and Alan Wertheimer (eds), *The Ethics of Consent: Theory and Practice* (Oxford University Press 2010) 237-238; Alan Wertheimer, 'What is Consent? And Is It Important?' (2000) 3 *Buffalo Criminal Law Review* 564.

⁶⁹ Kuo, supra სქოლიო 31, 121.

⁷⁰ Paglia, supra სქოლიო 8, 124.

მაგრამ, როდესაც ვსაუბრობთ პროსტიტუციაზე აქ საუბარია თავისუფალ სექს-სამუშაოს განწევრება ანაზღაურების სანაცვლოდ და არა იძულებამდე. სექს-მუშაკები ძალადობას ექვემდებარებიან სწორედ ცუდი რეჟიმის გამო, რომელიც ასევე აძლიერებს სოციალურ სტიგმას მათ მიმართ. ამასთან, ყველა სექს-მუშაკის გადაწყვეტილება ეკონომიკური სიდუხჭირით არ არის განპირობებული (თუმცა ასეთი ბევრია), ქვეყანას და კონტექსტს გააჩნია. კვლევებითაა ნაჩვენები რომ მაშინაც, როდესაც სექს-სამუშაოს შესრულების მთავარი მოტივატორი ეკონომიკური პრობლემებია, სექს-მუშაკებს არჩევანი აქვთ, რომ სხვა სამუშაო აირჩიონ.⁷¹ და თუკი სხვა არჩევანი არ აქვთ პროსტიტუციის რეჟიმის გამკაცრებით გაჩნდება ეს არჩევანი?

სექს-სამუშაოსა და სექსუალური ექსპლუატაციის ცნებების გაერთიანება არასწორია, ის სექსუალურ ექსპლუატაციას და სხვა ძალადობრივ პრაქტიკებს აბანაღურებს, ამასთან, ეს არ ეხმარება სექს-მუშაკების მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ პირიქით, აუარესებს მას. ხელოვნური და ყალბია თავისუფალი ნებით სექს-სამუშაოსა და ტრეფიკინგს ან გაუპატიურებას შორის ტოლობის დასმა. ამის თავად რადიკალ ფემინისტებსაც რომ სჯეროდეთ, შვედური მოდელით სექს-სამუშაოს მყიდველის/კლიენტის დაჯარიმებას რატომ დასჯერდებოდნენ? ტრეფიკინგისთვის და გაუპატიურებისთვის ეს ადეკვატური სასჯელი არაა.

შვედური მოდელი, მორალურ ინტერესებს დღეს კვლავ ზიანის ცნებაში აბრუნებს, დაცული სიკეთის (ჯანმრთელობა, ღირსება და სხვა უფლებები) გაფართოების ხარჯზე⁷² ან იმ ზიანზე მითითებით, რომელიც არა თავისთავად სექს-სამუშაოსთანაა კავშირში არამედ პროსტიტუციის რეჟიმთან.

ზიანი არ უნდა დავინახოთ იქ, სადაც ქმედება მასში მონაწილეთა თანხმობით ხდება და, შესაბამისად, არც დაზარალებული მხარე არსებობს. პროსტიტუციის გამომწვევი მიზეზები - სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული ფაქტორები, შეიძლება შეიცვალოს სხვა ალტერნატიული ძალისხმევებით, როგორცაა ქალების გაძლიერება ეკონომიკურად, სოციალურად და სხვა. პატრიარქატის დამარცხების პოლიტიკაში სისხლის სამართლის როგორც არა უკანასკნელი, არამედ უპირველესი საშუალების გამოყენება, კონტრპროდუქტიულია ისევ და ისევ იმ ჯგუფისთვის, ვისაც სამართალი იცავს.

⁷¹ Ronald Weitzer, *Legalizing Prostitution: From Illicit Vice to Lawful Business* (NYU Press 2011) 15; Nicola Mai Final Policy-Relevant Report, *Migrant Workers in the UK Sex Industry*, Institute for the Study of European Transformations (London Metropolitan University 2010) 43.

⁷² Michal Buchhandler-Raphael, 'Drugs, Dignity and Danger: Human Dignity as a Constitutional Constraint to Limit Overcriminalization' (2013) 80 *Tennessee Law Review* 301.

მეტ-ნაკლებად პროსტიტუციის ყველა რეჟიმს აქვს პრობლემები, მაგრამ ემპირიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ იმ ქვეყნებში სადაც პროსტიტუციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ამოსავალი წერტილი თავად სექსმუშაკების ჯანმრთელობა და უსაფრთხოებაა, ქცევაზე პოლიციური კონტროლი არ არსებობს, რადგან ქმედება სრულად დეკრიმინალიზებულია და რეგულაციები კი მინიმალური, სექსმუშაკები ავტონომიური აგენტები არიან, რომლებიც საკუთარ სამუშაო დროსა და პირობებს თავად აკონტროლებენ.⁷³

IV. პროსტიტუციის ქართული რეჟიმი

რაც შეეხება ქართულ სამართლებრივ გარემოს, საქართველოში პროსტიტუცია აკრძალულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172³ მუხლით, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით აკრძალულია პროსტიტუციისთვის ხელშეწყობა. ამდენად, ქართული რეჟიმი არაა პროსტიტუციის ლეგალიზების, არც დეკრიმინალიზების და არც შვედური მოდელის მსგავსად ნაწილობრივ კრიმინალიზების მოდელი. ქართული რეჟიმის მიხედვით, პროსტიტუციისთვის ისჯება სექს-მუშაკი და პროსტიტუციის ხელშეწყობი, ე.ი მესამე პირი, ხოლო კლიენტი არ ისჯება.⁷⁴ ამასთან, ქართულ კანონმდებლობაში პროსტიტუცია არაა განმარტებული და ერთი შეხედვით 172³-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული გადაცდომის სუბიექტი შეიძლება იყოს სექს-სამუშაოს როგორც გამყიდველი ისე მყიდველი, თუმცა პრაქტიკულად, მხოლოდ გამყიდველი ანუ სექს-მუშაკი ისჯება.⁷⁵ იმ პირობებში, სადაც პროსტიტუცია არაა განმარტებული, შეუძლებელია იმის წინასწარ განჭვრეტა, თუ რა ქმედებები იკრძალება მის ქვეშ, სექს-სამუშაო, რომელიც სექსუალურ პენეტრაციას გულისხმობს მხოლოდ, თუ სხვა სახის სექსუალური ხასიათის ქმედებებიცაა მასში მოქცეული. გაუგებარია, აკრძალვა მოიცავს თუ არა ისეთ შემთხვევას, რა დროსაც სექს-სამუშაოს მესამე პირი ყიდულობს არა თავისთვის, არამედ სხვა პირისთვის.⁷⁶ პრაქტიკულად ტერმინი ფართოდ განიმარტება და პროსტიტუციად ფასდება არა მხოლოდ სექსობრივი კავშირი, არამედ მოსამზადებელი ქმედებებიც, როგორიცაა კლიენტის დაყოლიების ცდა

⁷³ Abel, supra სქოლიო 24, 590; Valverde, supra სქოლიო 24, 644-645.

⁷⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143³-ე მუხლით კრიმინალიზებულია ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა და არა პროსტიტუციით.

⁷⁵ დეკანოსიძე, supra სქოლიო 13, 22-23.

⁷⁶ პროსტიტუციის ტერმინოლოგიურ ბუნდოვანებაზე და მის ქვეშ სავარაუდოდ მოაზრებულ ქმედებათა მრავალფეროვნებაზე მეტი ინფორმაციისთვის იხ. Green, supra სქოლიო 17, 299-303.

და პირობებზე შეთანხმება. ასეთი ტერმინოლოგიური ბუნდოვანების ფონზე კი ძალიან დიდი საფრთხეა დისკრიმინაციული საპოლიციო და სასამართლო პრაქტიკა, რაც ადამიანის თავისუფლების კიდევ მეტ შემთხვევაში გაუმართლებელ შეზღუდვას გამოიწვევს.

რას იცავს პროსტიტუციის აკრძალვით ქართული მოდელი? სექსმუშაკის სექსუალურ ავტონომიას, მის ღირსებას ანდა ჯანმრთელობას აშკარად არა, რადგან ასეთ შემთხვევაში პროსტიტუციისთვის დაისჯებოდა არა სექს-მუშაკი, არამედ კლიენტი. ქართული მოდელი პროსტიტუციისა უფრო იმ იდეოლოგიას ემყარება, რომ სექს-სამუშაო „საზოგადოების ზნეობას“ ეწინააღმდეგება, ამას ქართული კანონმდებლობის სისტემური განმარტებაც ცხადყოფს. პროსტიტუცია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ქმედებაა, ხოლო პროსტიტუციისთვის ხელშეწყობა დასჯადია სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით, თუმცა მისგან დაცულია არა სექს-მუშაკის უფლებები ექსპლუატაციისგან, არამედ საზოგადოებრივი ზნეობა და ჯანმრთელობა. ასეთი მიდგომა იმ სოციალური განწყობის ანარეკლია, რომელიც სექს-სამუშაოს „გარყვნილების“, „ოჯახის დასუსტების“ და „დაავადებების“ გამავრცელებლად მიიჩნევს.

რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას - პროსტიტუციისთვის ხელშეწყობას, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოების ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავითაა გათვალისწინებული, რაც პირდაპირ მიუთითებს ამ დანაშაულისგან დაცულ ინტერესზეც.

როდესაც პროსტიტუცია იძულების ფორმას ეჭვგარეშეა რომ აკრძალული უნდა იყოს, რადგან ირღვევა პროსტიტუციაში ჩაბმული ადამიანის სექსუალური თავისუფლება და სხვა უფლებები. მაგრამ, როდესაც პროსტიტუციის აკრძალვაზე საუბარი (ადმინისტრაციული გადაცდომა), აქ ნებაყოფლობითი საქმიანობა იგულისხმება⁷⁷ და ასეთ დროს პირის დაცვა და მით უმეტეს დასჯა დესპოტური პატერნალიზმია, რაც ხელყოფს ადამიანის პერსონალურ ავტონომიას, თავად განკარგოს საკუთარი ცხოვრება და გადაწყვიტოს რა არის მისთვის უმჯობესი.

სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლის მიზანია დაიცვას სექსმუშაკი სუტენიორების ექსპლუატაციისგან და ორგანიზებული დანაშაულებისგან,⁷⁸ თუმცა მსგავსი ნორმა სრულიად საპირისპირო ფუნქციას ასრულებს

⁷⁷ Amnesty International Policy, supra სქოლიო 19.

⁷⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლის კრიტიკისთვის იხ. ავტორთა ჯგუფი, რედაქტორი ბაჩანა ჯიშკარიანი, სქესობრივი დანაშაულები (იურისტების სამყარო 2020) 135-136.

ქართულ რეალობაშიც. ზემოთ სხვადასხვა რეჟიმების ანალიზისას არაერთი კვლევა იქნა დამოწმებული, რომელმაც ცხადყო, რომ სექს-მუშაკს სუტენიორების მხრიდან ექსპლუატაციისგან იცავს პროსტიტუციის სწორი რეჟიმი.

სექსმუშაკების მდგომარეობა საქართველოში მძიმეა, მათი სამუშაო არაა უსაფრთხო აკრძალვების პირობებში, ისინი ხშირად ხდებიან კლიენტის მხრიდან მოტყუებისა და ძალადობის მსხვერპლი, მაგრამ პოლიციას ვერ მიმართავენ დახმარებისთვის, რადგან მათი საქმიანობა უკანონოა და მხილების ეშინიათ, სხვა მიზეზი ისაა, რომ პოლიციის მიმართ ნდობა არ აქვთ.⁷⁹

კვლევებით არის დადგენილი, რომ საქართველოში სექს-მუშაკები ხშირად ხდებიან საპოლიციო ტერორისა და ძალადობის მსხვერპლი, პოლიციური კონტროლის ინსტრუმენტები.⁸⁰ პროსტიტუციის ქართული რეჟიმი სექს-მუშაკს უმწეო მდგომარეობაში აგდებს, როგორც კლიენტის ისე მოძალადე პოლიციელებისგან მომდინარე საფრთხის წინაშე ის სრულიად დაუცველია. საგულისხმოა, რომ საქართველოს სახალხო დამცველი სასამართლო მეგობრის შეფასებაში გამოთქვამს ეჭვს რომ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმება შერჩევით ხდება, რაზეც 2016-2019 წლებში ამ ნორმით დაჯარიმებულთა მცირე რაოდენობის სტატისტიკას იმონებს.⁸¹ აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში სექს-მუშაკების დასჯის ყველაზე გავრცელებული მეთოდი პოლიციელისადმი დაუმორჩილებლობაა,⁸² აღსანიშნავია რომ ამ ადმინისტრაციული გადაცდომისთვის სანქცია მეტია (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი ითვალისწინებს 2000 ლარიდან 3000 ლარამდე ოდენობით ჯარიმას ან 15 დღემდე პატიმრობას) ვიდრე პროსტიტუციისთვის და შესაძლოა ეს ნორმა უფრო ეფექტურ საპოლიციო ტერორის მექანიზმად ამიტომაც იქცა. იმავე დოკუმენტში ომბუდსმენი მხარს უჭერს პროსტიტუციის ამკრძალავი ნორმის გაუქმებას ადამიანის უფლებებთან შეუთავსებლობის გამო. ნორმის არაკონსტიტუციურობას კანონის განსაზღვრულობის (რადგან პროსტიტუცია არაა განმარტებული) და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან მიმართებით აფასებს.

⁷⁹ დეკანოსიძე, supra სქოლიო 13, 31.

⁸⁰ ibid, 30; გიორგი ჩუბინიძე და სოსო ჭაუჭიძე, სექს-შრომა თბილისში: ინფორმალიზაცია, აგენტობა და განსხვავებული გამოცდილებები, კრებულში ჩაგრულთა ხმები: კვლევა, ხელოვნება და აქტივიზმი სოციალური ცვლილებებისთვის (EMC 2014) 51. 'სექს-მუშაკების საჭიროებების გამოვლენისა და დისკრიმინაციის გამომწვევი ფაქტორების კვლევა' (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი 2014) 18-19. ნინო თარხნიშვილი, პროსტიტუცია - რისი ეშინიათ სექს-მუშაკებს? (რადიო თავისუფლება 10 მაისი 2019) <<https://www.radiotavisupleba.ge/a/29933421.html>> [11.05.2022].

⁸¹ სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, supra სქოლიო 2.

⁸² დეკანოსიძე, supra სქოლიო 13, 28.

რაც შეეხება პროსტიტუციასთან დაკავშირებულ ქმედებებს, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით დანაშაულია, ობიექტური მხარის ელემენტი - ხელშეწყობა, ისეთი ფართოა, რომ ფარავს ყველა ქმედებას, რაც შეიძლება კავშირში იყოს პროსტიტუციის ხელშეწყობასთან. ამ ნორმის მიხედვით, სექს-მუშაკი თავის დასაცავად ვერ იყოლიებს პირად მცველს, მძღოლს, ვერ დაიქირავებს ბინას უსაფრთხო სამუშაო პირობებისთვის. პირები, რომლებიც სექს-მუშაკის კმაყოფაზე ცხოვრობენ, შესაძლოა, სისხლისსამართლებრივი წესით დაისაჯონ.⁸³ ამდენი აკრძალვისა და საფრთხის გამო სექს-მუშაკები ხდებიან სუტინიორების ზედამხედველობის ქვეშ, რომლებიც კარგად ორგანიზებული სქემის მიხედვით ხელმძღვანელობენ შემდეგ ბიზნესს, სექს-მუშაკი კი ხშირად იძულებულია, რომ იმუშაოს.⁸⁴ ე.ი. ამკრძალავი ნორმები არათუ ხელს უშლის სუტინიორების ჩართულობას სექს-მუშაკების საქმიანობაში, არამედ პირიქით, ხელისშემწყობია. კანადაში, სადაც პროსტიტუცია ლეგალურია, მისი ხელშეწყობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით იკრძალებოდა 2013 წლამდე, სანამ კანადის უზენაესმა სასამართლომ საქმეში - ბედფორდი კანადის წინააღმდეგ, ეს ნორმა არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.⁸⁵ სასამართლომ განაცხადა, რომ ნორმა, რომელიც სექს-მუშაკს უკრძალავს კლიენტთან კომუნიკაციას, ბინის დაქირავებას, პირადი უსაფრთხოებისთვის მცველის აყვანას თუ სხვა მსგავს ქმედებებს, არღვევდა სექს-მუშაკის უფლებას, იზრუნოს საკუთარ ჯანამრთელობაზე და იყოს უსაფრთხო.⁸⁶

ამდენად, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ პოლიციური ტერორი და სექსმუშაკათა მიმართ ძალადობა, ეს ის საერთო მახასიათებლებია, რაც იმ რეჟიმებს აერთიანებთ, სადაც პროსტიტუცია კრიმინალიზებულია ანდა მკაცრად რეგულირებული. საქართველოში აუცილებელია პროსტიტუციის რეჟიმის რეფორმა. სხვა ქვეყნების გამოცდილებებზე დაკვირვებით, შესაძლებელია ახალი ზელანდიის კანონმდებლობისა და პრაქტიკის მხედველობაში მიღება, რომლის შემუშავების დროს სექს-მუშაკების ინტერესი იქნა გათვალისწინებული, მათი ნამდვილი საჭიროებები და არა რომელიმე პოპულისტური ჯგუფის მიკერძოებული და მორალისტური იდეოლოგია. სწორედ ამიტომ, რომ ახალ ზელანდიაში მომუშავე სექს-მუშაკები გაუმჯობესებულ გარემო პირობებზე საუბრობენ ხოლმე რეჟიმის

⁸³ მსგავსი კრიტიკული ანალიზისთვის იხ. ავტორთა ჯგუფი, *supra* სქოლიო 78, 135-136.

⁸⁴ კრიმინალური სუბკულტურა რომ პროსტიტუციის ამკრძალავი ნორმის თანამდევი შედეგია, საკითხის ანალიზისთვის იხ. Lippman, *supra* სქოლიო 57, 270.

⁸⁵ Canada (Attorney General) v. Bedford, SCC 72, 3 S.C.R. 1101. 2013 <<https://scc-csc.lexum.com/scc-csc/scc-csc/en/item/13389/index.do>> [16.05.2022].

⁸⁶ გადაწყვეტილების ანალიზისთვის იხ. Erdman, *supra* სქოლიო 64, 252-259.

შეფასებისას.⁸⁷ საქართველოშიც უნდა დეკრიმინალიზდეს სრულად პროსტიტუცია, უნდა შეიქმნას სექს-მუშაკების უფლებების დაცვის ქმედითი მექანიზმები და პოლიცია ადეკვატურად რეაგირებდეს სექს-მუშაკების შევიწროვებაზე.

V. დასკვნა

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პროსტიტუციასთან დაკავშირებული ქართული რეგულაცია ვერ იცავს სექს-მუშაკის ჯანმრთელობასა და პირად უსაფრთხოებას. რასაც „წარმატებით“ აკეთებს, ეს მხოლოდ პოლიციის დისკრედიტაცია და სექსმუშაკების მარგინალიზებაა. საქართველომ, სხვა ქვეყნების მსგავსად, კომპლექსურად უნდა გაიაზროს არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და სექს-მუშაკების ნამდვილი ინტერესების გათვალისწინებით, გაატაროს სწორი პოლიტიკა, რომელიც მათი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვაზე იქნება ორიენტირებული. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას (სრულწლოვანთა პროსტიტუციისთვის ხელშეწყობა), ის რა ფორმითაც და მოცულობითაც სჯის ქმედებებს, შესაცვლელია, რადგან მორალის დანაშაულია და არ გააჩნია მის დასჯადობას გამართლების საფუძველი, ის არ იცავს არავის ინტერესს, გარდა ძალზე აბსტრაქტული ფასეულობისა - მოსახლეობის ზნეობა. ამავე მიზეზით, უნდა გაუქმდეს პროსტიტუციის ამკრძალავი ნორმაც, რომელიც სექს-მუშაკების საპოლიციო კონტროლისა და დამცირების იარაღია.

⁸⁷ Crichton, supra სქოლიო 54.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს
მართლმადიდებელ ეკლესიას შორის
ხელშეკრულების იდეის „კონსტიტუციურ შეთანხმებად“
გარდაქმნის ერთი მიზანი

აბსტრაქტი

2001 წელს, საქართველოს კანონმდებლობაში გაჩენილმა ახალმა სამართლებრივმა ინსტიტუტმა - „საქართველოს კონსტიტუციურმა შეთანხმებამ“ მნიშვნელოვანი კრიტიკა დაიმსახურა როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე კომპეტენტური საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან. ამ კრიტიკული შეფასებების ერთ-ერთი მთავარი ობიექტი მისთვის მინიჭებული „კონსტიტუციური“ სტატუსი იყო. წინამდებარე სტატიის ფარგლებში ავტორი გვთავაზობს საკუთარ დაკვირვებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის „ხელშეკრულების“ იდეის „კონსტიტუციურ შეთანხმებად“ გარდაქმნის ერთი მიზნის შესახებ.

სტატიის სტრუქტურა შემდეგი სახითაა აგებული. პირველი შესავალი თავი მოკლედ აღწერს „ხელშეკრულების“ იდეის „კონსტიტუციურ შეთანხმებად“ გარდაქმნის ქრონოლოგიას (1994 – 2001 წლები) და სხვადასხვა საეტაპო მნიშვნელობის სამართლებრივი აქტის (პროექტის) თუ დოკუმენტის მოხმობით, ცენტრალური მსჯელობისთვის აუცილებელ წინამძღვრებს გვთავაზობს. მეორე თავში წარმოდგენილია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შეთანხმებისთვის „კონსტიტუციური“ რანგის მინიჭების იდეის მხარდამჭერი ფორმალური არგუმენტები და მათი კრიტიკული ანალიზი, რაც საავტორო თეორიისთვის საჭირო სივრცეს ათავისუფლებს. მესამე თავში, სათანადო წყაროების მოშველიებით, დასაბუთებულია წინამდებარე სტატიის ცენტრალური თეზისი, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული შეთანხმებისთვის „კონსტიტუციური“ სტატუსის მინიჭების ერთი მიზანი (რეალური შედეგი) ამ სამართლებრივი აქტისა და შესაბამისი ურთიერთობისთვის სახელმწიფოს ექსკლუზიური საკანონმდებლო ძალაუფლების არიდება იყო. სტატიის დასკვნით

* სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის „რელიგიის თავისუფლების ინსტიტუტის“ დირექტორი [a.metreveli@ug.edu.ge]

ნაწილში კი სისტემურად არის შეჯამებული ყველა წარმოდგენილი ფაქტი და განვითარებული მსჯელობა.

გასათვალისწინებელია, რომ სტატია მომზადებულია მიმდინარე კვლევის ფარგლებში, რომელიც საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი განზომილების მრავალმხრივ შესწავლას ისახავს მიზნად. უშუალოდ ამ სტატიისთვის გამოყენებული იქნა აღნიშნული კვლევის მოცემულ ეტაპზე მოძიებული და დამუშავებული წყაროები. შესაბამისად, ავტორი ითვალისწინებს, რომ მასში შესაძლოა, სრულად არ იყოს მითითებული ყველა წყარო, მათ შორის, ის დოკუმენტები, რომლებიც ავტორმა აქ განვითარებული მსჯელობისთვის სათანადოდ არ მიიჩნია და ისინიც, რომლებიც ჯერ მოძიებული და დამუშავებული არ არის. მიუხედავად ამისა, ავტორს სჯერა, რომ წარმოდგენილი წყაროები, წინამდებარე სტატიის ფარგლებში დასმული საკითხისა და მისი მხარდამჭერი არგუმენტების გასამყარებლად, არსებითად საკმარისია.

I. შესავლისთვის - ძირითადი ფაქტები და მოკლე ქრონოლოგია

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის¹ სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისა და საქართველოს სახელმწიფოსთან მისი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით, ამ ორ სუბიექტს შორის ხელშეკრულების დადების იდეა საჯაროდ პირველად 1994 წელს გამოჩნდა. 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში რელიგიური ექსტრემიზმისა თუ შეუწყნარებლობის გახშირებულმა გამოვლენამ და, ამავდროულად, შესაბამის სფეროში სათანადო კანონმდებლობის არარსებობამ, საქართველოს ხელისუფლებას რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალური კანონის მიღებისკენ უბიძგა.² კანონპროექტზე მუშაობა 1992 წელს დაიწყო³ და ორი წლის შემდეგ, 1994 წელს საქართველოს პარლამენტმა გამოაქვეყნა საქართველოს რესპუბლიკის კანონის

¹ ტექსტის გამარტივების მიზნით, „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის“ აღსანიშნად, სპეციალური ციტირებების ან მითითების გარდა, შემდგომში ყველგან გამოყენებული იქნება ტერმინი „ეკლესია“.

² ამის საფუძველს, თავის მხრივ, წარმოადგენდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილის N183-ე დადგენილება „რელიგიის საქმეთა საკითხების შესახებ“.

³ პაატა ზაქარეიშვილი, „რატომ ხელშეკრულება და არა კანონი?“ კრებულში ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი გია ნოდია, ეკლესია, სახელმწიფო და რელიგიური უმცირესობები საქართველოში: გვემუქრება თუ არა რელიგიური ფუნდამენტალიზმის საფრთხე (გამომცემელი მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD) 2000) 16.

პროექტი „აღმსარებლობისა და რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ“.⁴ კანონპროექტის მე-6 მუხლის თანახმად, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა ცალკე ხელშეკრულებით რეგულირდებოდა.⁵

მნიშვნელოვანია, რომ 1992-1995 წლების მოწვევის პარლამენტს აღნიშნული კანონპროექტი არ განუხილავს, ხოლო 1996 წელს, უკვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული ახალი კანონპროექტიდან „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“, ხელშეკრულების შესახებ ჩანაწერი საერთოდ გაქრა.⁶ მოგვიანებით, 1997 წელს იუსტიციის სამინისტრომ შესწორებები შეიტანა მითითებულ კანონპროექტში და ეკლესიის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის მიზნით, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ“ სპეციალური კანონის ინიციატივა წარმოადგინა (მუხლი 8).⁷

ამგვარად, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით, რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის შემუშავების მცდელობის ფარგლებში 1994 წელს გაჩენილი ხელშეკრულების იდეა, 1996 წელს უარყოფილი იქნა, ხოლო, 1997 წელს ეკლესიის შესახებ სპეციალური კანონის ინიციატივით ჩანაცვლდა. თუმცა საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტს არც სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ ზოგადი კანონი და არც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ სპეციალური კანონი მიუღია.

1997 წელს საქართველოს კანონმდებლობაში კვლავ გაჩნდა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ორმხრივი ხელშეკრულების - ამჯერად უკვე შეთანხმების (კონკორდიუმის), საფუძველზე მოწესრიგების იდეა. კერძოდ, „კულტურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონით განისაზღვრა იმ ნორმატიული აქტების ნუსხა, რომელთა მიღებაც აუცილებელი იყო ამ კანონთან დაკავშირებით, მათ შორის სახელდება შეთანხმება (კონკორდიუმი) სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. აღსანიშნავია, რომ „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონი დღემდე მოიცავს ამ ნორმას.⁸

⁴ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი „აღმსარებლობისა და რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ“, საქართველოს რესპუბლიკა (5 მაისი, 1994) 1-2.

⁵ *ibid.*, 1.

⁶ ბაქარეიშვილი, *supra* სქოლიო 3, 17.

⁷ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის წერილი საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს, დანართი: „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, N01/52-3113, 1997 წლის 17 ნოემბერი.

⁸ მუხლი 40, საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31402?publication=13>> [15.10.2022].

2000 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის შეთანხმების (კონკორდიუმის)“ პროექტის შემუშავების სამართლებრივ საფუძვლად პირდაპირ იყო მითითებული „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმა.⁹ დასაბუთებულად შეიძლება მივიჩნიოთ თვალსაზრისი, რომ „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეთანხმება (კონკორდიუმი) სწორედ დღეს მოქმედი კონსტიტუციური შეთანხმებაა (2002 წ), რომლის „კონსტიტუციურობა“ არც 1997 წლის კანონით და არც მის საფუძველზე 2000 წელს მომზადებული შეთანხმების (კონკორდიუმის) პროექტით ყოფილა გათვალისწინებული. აქვე აღვნიშნავთ, რომ სწორედ შეთანხმების (კონკორდიუმის) 2000 წლის პროექტი და მის ირგვლივ გამოთქმული შენიშვნები წარმოადგენს, ამ სტატიის ფარგლებში, ჩვენი ცენტრალური მსჯელობის უმთავრეს საფუძველს და წყაროს, რომელსაც მოგვიანებით კვლავ მივუბრუნდებით.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე მოწესრიგების იდეის განვითარების მომდევნო ეტაპად, საკუთრივ, ხელშეკრულების პროექტზე მუშაობის პერიოდი შეიძლება გამოიყოს. კერძოდ, 1998 წლის 9 იანვარს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ეკლესიის საკუთრების საკითხების მოწესრიგების მიზნით, სათანადო დოკუმენტის შემუშავების რეკომენდაცია მისცა.¹⁰ ამ შემთხვევაში, ორმხრივი ხელშეკრულების საფუძვლად საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილის N183-ე დადგენილება იქნა მითითებული. იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტის თანახმად, იქმნებოდა - „საკონსტიტუციო ხელშეკრულება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის საფუძვლების განსაზღვრისათვის“.¹¹ ქრონოლოგიურად, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დასადები

⁹ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის წერილი საქართველოს სამინისტროებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, დანართი: „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის შეთანხმების (კონკორდიუმის)“ პროექტი და დანართი: განმარტებითი ბარათი „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის შეთანხმების (კონკორდიუმის) პროექტზე“, N45/2, 2000 წლის 14 მარტი.

¹⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის წერილი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, N02.11/91, 1998 14 მაისი.

¹¹ საქართველოს პრეზიდენტი / სახელმწიფო კანცელარია, შემოსული კორესპონდენცია, „საკონსტიტუციო ხელშეკრულება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის საფუძვლების განსაზღვრისათვის“, N86/4, 1998 წლის 1-ლი აპრილი.

ხელშეკრულების სახელწოდებაში გაჩნდა ტერმინი საკონსტიტუციო.¹²

მნიშვნელოვანია, რომ ტერმინი საკონსტიტუციო, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, რეალურად ითვალისწინებდა ხელშეკრულების შესაბამის იერარქიულ მდგომარეობას საქართველოს ნორმატიულ აქტებს შორის. პროექტის 34-ე მუხლი მას უპირატეს იურიდიულ ძალას ანიჭებდა საქართველოს ორგანულ კანონთან, დეკრეტთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან მიმართებით.¹³ საგულისხმოა, რომ მოცემული პროექტი არ ითვალისწინებდა საკონსტიტუციო ხელშეკრულების უპირატეს იურიდიულ ძალას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მიმართ, როგორც ეს დღეს მოქმედი კონსტიტუციური შეთანხმების შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 4) არის დადგენილი.¹⁴

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დასადები ხელშეკრულებისთვის „კონსტიტუციური“ სტატუსის მინიჭების იდეა პირველად 1998 წელს გაჩნდა, თუმცა, მალევე იქნა უარყოფილი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ხელშეკრულების პროექტზე მუშაობის პროცესში მისი სახელწოდება შეიცვალა და მას ჯერ „კონკორდატი“ ეწოდა (1999 წ)¹⁵, მოგვიანებით კი კვლავ - „შეთანხმება (კონკორდიუმი)“¹⁶. ხელშეკრულების ბუნების, სტატუსისა თუ რანგის ძიების ეს პროცესი კიდევ ერთი წელი გაგრძელდა და ოფიციალურად 2000 წლის 8 დეკემბერს დასრულდა, როდესაც საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნდა საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“. ინიცირებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრა საქართველოს კანონმდებლობისთვის სრულიად ახალი ნორმატიული აქტი - „კონსტიტუციური შეთანხმება“.

¹² სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შეთანხმებასთან (ხელშეკრულებასთან) მიმართებით, ტერმინების - „საკონსტიტუციო“ და „კონსტიტუციური“, შესახებ იხ. ვალერი ლორია და სხვა, ადამიანის უფლებები და რელიგია (გამომცემლობა „თობალისი“ 2006) 158-159; იხ. ასევე: დიმიტრი გვეგნავა, ეკლესია-სახელმწიფო ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება (გამომცემელი დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ 2018) 116-117.

¹³ საქართველოს პრეზიდენტი / სახელმწიფო კანცელარია, შემოსული კორესპონდენცია, supra სქოლიო 11.

¹⁴ საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ურთიერთმიმართების შესახებ იხ. კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი 2004) 84-90.

¹⁵ საქართველოს იუსტიციის მინისტრის წერილი საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, N08-22/69, 1999 წლის 18 მარტი.

¹⁶ იხ. სქოლიო 9 supra.

რომლის დადების მიზანიც ამ ორ სუბიექტს შორის ურთიერთობის კონსტიტუციურ დონეზე მოწესრიგება იყო.¹⁷

აქ მოხმობილი წყაროების მიზანია, ქრონოლოგიურად აღწეროს ის პროცესი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის „ხელშეკრულების“ იდეა „კონსტიტუციურ შეთანხმებად“ გარდაიქმნა. ამგვარად, ჩვენ ცხადად წარმოვაჩინეთ წინამდებარე სტატიის ცენტრალური მსჯელობისთვის აუცილებელი წინამძღვრების ორი ფაქტი. პირველი, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მომწესრიგებელ და ამ უკანასკნელის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ აქტად თავიდანვე ჩაფიქრებული იყო ორმხრივი ხელშეკრულება (ეკლესიის შესახებ სპეციალური კანონის იდეამ მხოლოდ მცირე დროით და ხელშეკრულების იდეის პარალელურად, პრინციპული დომინირების გარეშე, იარსება). მეორე, ხელშეკრულების (შეთანხმების, კონკორდატის ან კონკორდიუმის) სამართლებრივი რანგი არც საწყის და არც პროექტების აქტიური განხილვების პერიოდში („საკონსტიტუციო ხელშეკრულების“ სუსტი და ხანმოკლე ეპიზოდის გარდა) ყოფილა „კონსტიტუციური“, მსგავსი სტატუსი მან მხოლოდ ამ პროცესის დასკვნით ეტაპზე შეიძინა. შესაბამისად, ჩვენი მიზანია, პასუხი გავცეთ კითხვას - არსებითად რამ განაპირობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ხელშეკრულებისთვის „კონსტიტუციური“ სტატუსის მინიჭება?

II. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დასადები შეთანხმებისთვის „კონსტიტუციური“ სტატუსის მინიჭების ფორმალური არგუმენტები

2001 წლის 30 მარტს, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვისას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დასადები შეთანხმებისთვის „კონსტიტუციური“ სტატუსის მინიჭებას სახელმწიფო შემდეგი საფუძვლებით ასაბუთებდა:

„[...] რატომ ეწოდება ამ შეთანხმებას კონსტიტუციური? კონსტიტუციური ეწოდება იმდენად, რამდენადაც ამ შეთანხმების დადება და სუბიექტთა წრე მხოლოდ კონსტიტუციით არის განსაზღვრული და მხოლოდ კონსტიტუცია განსაზღვრავს, ასე ვთქვათ, მისი დადების წესს, აგრეთვე სუბიექტთა წრეს და, მაშასადამე, ეს კონსტიტუციური შეთანხმების ინსტიტუტი გამოიყენება მხოლოდ ამ შემთხვევაში და არა სხვა, ასე ვთქვათ, ანალოგიური

¹⁷ საქართველოს რესპუბლიკა (2000 წლის 8 დეკემბერი) 3.

ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. [...] მოგეხსენებათ, რომ ორ დამოუკიდებელ სუბიექტს შორის ურთიერთობის განსაზღვრის ყველაზე უფრო ოპტიმალურ ფორმას შეთანხმება წარმოადგენს. [...] რადგანაც შეთანხმების დროს მხარეები გამოსატყვევებელი თანხმებით ავტონომიურ ნებას და თავად ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ ამ მოსაწესრიგებელი საკითხების გადაწყვეტის წესს. კიდევ ამ ფორმის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს არ მიეცემა საშუალება, ცალმხრივად საკანონმდებლო აქტების [...] მიღებით შეცვალოს ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობა. [...] რაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელთაც სამართლებრივი აქტი აწესრიგებს, მით უფრო მეტი მაღალი და მაღალი იურიდიული ძალის აქტით უნდა იქნეს იგი მოწესრიგებული და, ამავე დროს, აქვე არის დამცავი მექანიზმი, რომ აი ესე ადვილი არ გახდეს კონსტიტუციურ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა.“¹⁸

საქართველოს პარლამენტის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, პროფ. ჯონი ხეცურიანის გამოსვლიდან ამ ვრცელი ამონარიდის მოხმობის მიზანი, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სახელმწიფოს ოფიციალური პოზიციისა და ფორმალური არგუმენტების ნათლად წარმოჩენაა. საგულისხმოა, რომ პროფ. ხეცურიანმა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული შეთანხმების „კონსტიტუციურობის“ ზემოთ ციტირებული საფუძვლები არაერთ საავტორო ნაშრომში დაასაბუთა.¹⁹ რაც უფლებას გვანიჭებს, მათ შესახებ ვიმსჯელოთ არა მხოლოდ, როგორც საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მიერ გაცხადებული სახელმწიფოს პოლიტიკური ხედვის, არამედ, ასევე, როგორც, პირადად, პროფ. ხეცურიანის აკადემიური თვალსაზრისის შესახებ.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ხელშეკრულების „კონსტიტუციურობის“ დასაბუთებლად პროფ. ხეცურიანის მიერ საქართველოს პარლამენტისა და აკადემიური სივრცისთვის შეთავაზებულ ვრცელ არგუმენტაციას, ჩვენ ორ ნაწილად დავაჯგუფებთ. პირველი, არგუმენტები, რომლებიც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მოწესრიგებისა და ამ უკანასკნელის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით,

¹⁸ საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 30 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი (სცსა, ფ. N1165, ან 8) 5-7.

¹⁹ ჯონი ხეცურიანი, „სახელმწიფო და ეკლესია“ (2001) 1 ადამიანი და კონსტიტუცია 9-13; ჯონი ხეცურიანი, „ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები“ (2002) 2 ადამიანი და კონსტიტუცია 9-15; ჯონი ხეცურიანი, „კონსტიტუციური შეთანხმება და რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის ზოგიერთი საკითხი საქართველოში“, წიგნში ჯონი ხეცურიანი, ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში (გამომცემლობა „ფავორიტი პრინტი“ 2011) 48-90; ჯონი ხეცურიანი, სახელმწიფო და ეკლესია. ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები (გამომცემლობა „ფავორიტი პრინტი“ 2013).

სახელშეკრულებო და არა საკანონმდებლო მოწესრიგებას უჭერს მხარს და მეორე, საკუთრივ ხელშეკრულების (შეთანხმების) „კონსტიტუციური“ სტატუსის მხარდამჭერი არგუმენტები.

1. სახელშეკრულებო მონესრიგების უპირატესობა

სახელშეკრულებო მოწესრიგების უპირატესობის იდეის მხარდამჭერი არგუმენტები შესაძლოა ასე შეჯამდეს: ხელშეკრულება ორ დამოუკიდებელ სუბიექტს შორის ურთიერთობის მოწესრიგების ყველაზე ოპტიმალური სამართლებრივი მექანიზმია, რადგან ის თითოეულ ხელშეკრულს მხარეს, მეორე მხარის მიერ შეთანხმებული პირობების ცალმხრივად შეცვლის რისკისგან აზღვევს. ზოგადი მნიშვნელობით ეს გულისხმობს, რომ ხელშეკრულების დადების შემდეგ, არც სახელმწიფოს და არც ეკლესიას ექნება რაიმე სახის სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც ერთ-ერთ მათგანს შეთანხმებული პირობების ცალმხრივად შეცვლის შესაძლებლობას მიანიჭებს. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ასეთ სამართლებრივ ინსტრუმენტზე უარის თქმა არსებითად მხოლოდ სახელმწიფოს მოუწია, რადგან ეკლესია მსგავს შესაძლებლობას ისედაც არ ფლობდა. ეკლესიის ამ ცალმხრივ უპირატესობაზე პირდაპირ მიუთითებს პროფ. ხეცურიანი: „ამ ფორმის უპირატესობა ჩვეულებრივ საკანონმდებლო რეგულირებასთან შედარებით ისაა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია შეთანხმებით და მოკლებულია შესაძლებლობას, საკანონმდებლო ნოვაციებით ცალმხრივად შეცვალოს ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობა“.²⁰ გარდა იმისა, რომ მსგავსი მიდგომა შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტისთვის დემოკრატიული გზით მინიჭებული საკანონმდებლო ძალაუფლების მიმართ წინასწარ უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს, ის ასევე ღიად ტოვებს კითხვას, თუ რატომ იმსახურებს ეს საკანონმდებლო ინსტიტუტი უნდობლობას მხოლოდ ერთი რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის საქმეში და არა ასევე ყველა რელიგიასთან მიმართებით? ვფიქრობთ, ეს კითხვა საკმარისად რიტორიკულია იმისთვის, რომ მასზე პასუხის ძიება გართულდეს.

მეორე მხრივ, რიგი საკითხების სახელშეკრულებო მოწესრიგება არსებითად ათმობინებს საქართველოს პარლამენტს კონსტიტუციით მინიჭებულ საკანონმდებლო ძალაუფლებას. მაგალითად, ეკლესიისთვის კონსტიტუციური შეთანხმებით (მუხლი 6) გათვალისწინებული საგადასახადო გათავისუფლების ცალმხრივად გაუქმების სამართლებრივი მექანიზმი სახელმწიფოს პრაქტიკულად არ გააჩნია. საქართველოს

²⁰ ხეცურიანი, supra სქოლიო 19 (2013), 16.

კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 67), გადასახადებისგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით, რაც ამ სფეროში სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს ექსკლუზიური ძალაუფლების კონსტიტუციურ საფუძველს წარმოადგენს. თუმცა საქართველოს პარლამენტი მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას.²¹ შესაბამისად, კანონმდებელი ვალდებულია, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ყოველთვის გაითვალისწინოს ის საგადასახადო გათავისუფლება, რაც ეკლესიას კონსტიტუციური შეთანხმებით აქვს მინიჭებული. ამგვარად, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სახელშეკრულებო მოწესრიგებამ იმ ფორმით, როგორც ის მოქმედი კონსტიტუციური შეთანხმებით არის განსაზღვრული, სახელმწიფოს გაუმართლებლად შეუკვეცა კონსტიტუციური ძალაუფლება სულ მცირე ორი მიმართულებით - პირველი, გადასახადების დადგენისა და გადასახადებისგან გათავისუფლების ექსკლუზიური უფლებამოსილების და მეორე, საკუთრივ კანონშემოქმედებითი საქმიანობის ექსკლუზიური უფლებამოსილების მიმართულებით. ეს უკიდურესად მნიშვნელოვანი საკითხია და მას უფრო დეტალურად მომავალში, დამოუკიდებელი სტატიის ფარგლებში დავუბრუნდებით.

ზოგადად, ურთიერთობის სახელშეკრულებო მოწესრიგება, რამდენადაც ეს ხელშემკვრელი მხარეების დამოუკიდებლობას, თავისუფალ ნებას და თანასწორობის საფუძვლებს ემყარება, მართლაც შეიძლება მიიჩნეოდეს საკანონმდებლო რეგულირებაზე „უკეთეს“ დემოკრატიულ სამართლებრივ მექანიზმად. თუმცა მოქმედი კონსტიტუციური შეთანხმება ცხადყოფს, რომ, როდესაც ხელშეკრულებას კონსტიტუციური სტატუსი ენიჭება, ის არა მხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის ვალდებულებისგან თავისუფლდება, არამედ, ასევე საფრთხეს უქმნის, თუ პირდაპირ არ ეწინააღმდეგება, საკუთრივ კონსტიტუციურ ნორმებსა და პრინციპებს. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, ჩვენი კრიტიკის ობიექტი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის არა იმდენად „სახელშეკრულებო“ მოწესრიგების იდეაა, რამდენადაც მისი „კონსტიტუციური“ სტატუსი, არსებითად კი, ამ ორის ერთობლიობა.

²¹ მუხლი 7, საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=37>> [15.10.2022].

2. ხელშეკრულებისთვის „კონსტიტუციური“ სტატუსის მინიჭების აუცილებლობა

ხელშეკრულებისთვის „კონსტიტუციური“ სტატუსის მინიჭების აუცილებლობა და შესაბამისი არგუმენტები, რეალურად, მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდა, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მიღწეულ იქნა პოლიტიკური შეთანხმება ურთიერთობის კონსტიტუციის დონეზე მოწესრიგების შესახებ. ზოგადი არგუმენტი ასე ჟღერდა: სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მნიშვნელობა იმდენად მაღალია, რომ ის მხოლოდ კონსტიტუციის რანგის სამართლებრივი აქტით შეიძლება მოწესრიგდეს. ხოლო, უფრო პირდაპირი არგუმენტის თანახმად, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის „კონსტიტუციური შეთანხმების“ დადება განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ ამ ხელშეკრულების სუბიექტები, მისი დადების შესაძლებლობა და შესაბამისი პროცედურები განსაზღვრული იყო კონსტიტუციით.²²

უპირველეს ყოვლისა, მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ, მთლიანად არ უარვყოფთ ზოგად არგუმენტს ურთიერთობის მნიშვნელობისა და მისი მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტის რანგის ურთიერთკავშირის შესახებ. მართლაც, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, როგორც ადამიანის საყოველთაო და ფუნდამენტური უფლება, სწორედ კონსტიტუციური უზრუნველყოფის საგანია. თავისმხრივ, ამ უფლების კონსტიტუციური გარანტიები ყოველთვის მოიცავს მის კოლექტიურ განზომილებას. თუმცა ეს, როგორც წესი, ზოგად, საყოველთაო და თანასწორ გარანტიებს გულისხმობს, რაც, თავისთავად, ვერ გაუტოლდება კონკრეტული რელიგიური გაერთიანების ინსტიტუციური გარანტიების საკონსტიტუციო უზრუნველყოფის ვალდებულებას. შესაბამისად, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების, როგორც უმნიშვნელოვანესი ღირებულების კონსტიტუციით უზრუნველყოფის ფაქტიდან, პირდაპირ არ გამომდინარეობს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტისთვის კონსტიტუციური რანგის მინიჭების აუცილებლობა.²³

რაც შეეხება, მეორე - „პირდაპირ“ არგუმენტს, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის „კონსტიტუციური

²² შეად. წყაროები მე-19 და მე-20 სეკილიებს შორის.

²³ საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებისა და საკუთრივ მისი „კონსტიტუციურობის“ საკითხის კრიტიკისთვის იხ.: Comments on the draft of the Constitutional Agreement between the State of Georgia and the Orthodox Church of Georgia (by Mr Antonis Manitakis, Commission Expert). VENICE COMMISSION. CDL (2001) 64. 28.06.2001; იხ. ასევე: Comments on the draft Constitutional Agreement between the State of Georgia and the Apostle Autocephalous Orthodox Church of Georgia (by Mr Hans-Heinrich VOGEL, Member, Sweden). VENICE COMMISSION. CDL (2001) 63. 28.06.2001.

შეთანხმების“ დადების იდეის წარმოშობისას საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული არ ყოფილა მისი დადების შესაძლებლობა ან პროცედურები. ეს პირობები საქართველოს კონსტიტუციაში მხოლოდ 2001 წლის 30 მარტის ცვლილებების შედეგად გაჩნდა. ნიშანდობლივია, რომ მათზე, როგორც არა უკვე არსებულ, არამედ, როგორც მომავალში შესაქმნელ პირობებზე, გვიანდელ ნაშრომებში პირდაპირ მიუთითებს პროფ. ხეცურიანიც.²⁴ შესაბამისად ცხადია, რომ ეკლესიასთან „კონსტიტუციური“ რანგის ხელშეკრულების დადების სავალდებულო პირობებს კონსტიტუცია კი არ აყალიბებდა, როგორც ეს ზემოთ ციტირებული საპარლამენტო მოხსენებისას გაჟღერდა, არამედ პირიქით, ისინი მხოლოდ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მიღწეული პოლიტიკური შეთანხმების გასამყარებლად შეიქმნა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიები²⁵ იმ პერიოდში თავისთავად უკვე წარმოადგენდა მყარ საფუძველს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობისა და ამ უკანასკნელისთვის იმგვარი სამართლებრივი სტატუსის უზრუნველსაყოფად, რაც სრულ შესაბამისობაში იქნებოდა საყოველთაოდ აღიარებულ თანამედროვე დემოკრატიულ სტანდარტებთან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სხვებთან ერთად, ეს უკანასკნელი ფორმალური არგუმენტიც შეიძლება სამართლიანად მივიჩნიოთ, არასაკმარისად სარწმუნოდ. ამდენად, ერთადერთი ლეგიტიმური მიზანი, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შეთანხმების „კონსტიტუციურობას“ საფუძვლად უდევს, ეკლესიის სამართლებრივ მდგომარეობაზე საკანონმდებლო ორგანოს კონსტიტუციური ძალაუფლების გავლენის მაქსიმალური არიდებაა.

III. შეთანხმების „კონსტიტუციური“ სტატუსი, როგორც სახელმწიფოს საკანონმდებლო ძალაუფლების არიდების მექანიზმი

მოცემულ თავში, ჩვენ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დასადები შეთანხმების ერთ-ერთი პროექტის საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებში განხილვის მაგალითზე, წარმოვადგენთ წინამდებარე

²⁴ შეად. ხეცურიანი, supra სქოლიო 19 (2011) 58, (2013) 17.

²⁵ მუხლები 9 და 19, საქართველოს კონსტიტუციის 2001 წლის 30 მარტამდე მოქმედი რედაქცია <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=5>> [15.10.2022].

სტატიის ცენტრალური თეზისის - სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული შეთანხმებისთვის „კონსტიტუციური“ სტატუსის მინიჭებით, ამ სამართლებრივი აქტისთვის და მის მიერ მოწესრიგებული ურთიერთობისთვის სახელმწიფოს საკანონმდებლო ძალაუფლების არიდების, მყარ არგუმენტებს.

2000 წლის 14 მარტს საქართველოს სამინისტროებსა და სახელმწიფო დეპარტამენტებს დაეგზავნათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის შეთანხმების (კონკორდიუმის)“ პროექტი (რომელიც შედგებოდა 12 თავისა და 50 მუხლისგან) მასზე მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით.²⁶ აღსანიშნავია, რომ კორესპონდენციაზე თანდართული „განმარტებითი ბარათის“ თანახმად, შეთანხმებას „კონსტიტუციური“ სტატუსი არ ენიჭებოდა, რაზეც ცხადად მეტყველებს, სახელმწიფოს მხრიდან, ეკლესიასთან ურთიერთობის საფუძვლად, საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მითითება. თუმცა იქვე აღნიშნული იყო, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ამ სახის ნორმატიული აქტი გათვალისწინებული არ იყო, რაც პროექტის მოწონების შემთხვევაში, გამოიწვევდა შესაბამის ცვლილებებს საქართველოს საკანონმდებლო აქტებში საქართველოს კონსტიტუციაზე პირდაპირი მითითების გარეშე. გარდა ამისა, „კონკორდიუმის“ პროექტის პრეამბულით გათვალისწინებული იყო შეთანხმების შესაბამისობა რელიგიის სფეროში ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან (კონვენციებთან, პაქტებთან, შეთანხმებებთან და სხვ.).

საპასუხო კორესპონდენციებში ჩამოყალიბებული კრიტიკული შენიშვნებიდან ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ მათზე, რომელთა შინაარსიც შეთანხმების (იდეის და კონკრეტული ნორმების) ეროვნულ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაზე მიუთითებს. კერძოდ, შესაბამისი შენიშვნები ასე ჟღერს:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - „პროექტის განმარტებით ბარათში ფორმულირებულ დებულებასთან დაკავშირებით, თითქოს წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის მომზადების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 1997 წლის 12 ივნისის კანონი „კულტურის შესახებ“ (მე-40 მუხლის 1 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი). აღსანიშნავია, რომ ეს პუნქტი ითვალისწინებს „კულტურის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის ნორმატიული აქტების

²⁶ იხ. სქოლიო 10 supra.

მიღებას, რომელთა შორის მოხსენიებულია შეთანხმება (კონკორდიუმი) საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. კანონის ეს დებულება არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს სპეციალურ კანონმდებლობას, კერძოდ, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელშიც ნორმატიული აქტების ამომწურავი ჩამონათვალია მოცემული და ნორმატიული აქტების კლასიფიკაციისას სხვა აქტებს შორის გათვალისწინებულია მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება“.²⁷

საქართველოს კულტურის სამინისტრო - „ზოგადად პროექტი გადასამუშავებელია „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად“.²⁸

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო - „[...] რაც შეეხება საქართველოს საპატრიარქოზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებების გავრცელებას, იგი სავსებით დასაბუთებული არ არის (საპატრიარქოს სტატუსი არ შეესაბამება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და სხვა დანარჩენი მუხლები). [...] [მე-11] მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვით, საქართველოს სასულიერო პირების საეკლესიო სამსახური გათანაბრებულია საჯარო სამსახურთან, ასევე არ შეესაბამება საქართველოს კანონს „საჯარო სამსახურის შესახებ“.“²⁹

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - „პროექტიდან ამოსაღებია 37-ე მუხლი³⁰. ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, აკრძალულია არასაგადასახადო კანონმდებლობით ისეთი საკითხების დარეგულირება, რომელიც დაკავშირებულია გადასახადებით დაბეგვრასთან“.³¹

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო - „26-ე მუხლის მე-2 პუნქტში მიგვაჩნია, რომ კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე ტაძრების რესტავრაციის პროექტებს საპატრიარქო არც ნებართვას უნდა აძლევდეს და არც უნდა ამტკიცებდეს. აქ შეიძლება

²⁷ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის წერილი საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს, N3-17/256, 2000 წლის 4 აპრილი.

²⁸ საქართველოს კულტურის მინისტრის წერილი საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს, N01/887-19, 2000 წლის 1 ივნისი.

²⁹ საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილის წერილი საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს, N3/1-2/11, 2000 წლის 30 მარტი.

³⁰ შეთანხმების (კონკორდიუმის) პროექტის 37-ე მუხლი: „საქართველოს საპატრიარქო (მასში შემავალი ეპარქიები, ეკლესიები, სასულიერო სასწავლებლები) და მისი მიერ შექმნილი საწარმოები გათავისუფლებულია ქონებისა და მიწის გადასახადებისგან.“

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის წერილი საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს, N13-02/76/435, 2000 წლის 12 აპრილი.

საუბარი იყოს მხოლოდ შეთანხმებაზე [...]. [...] პროექტში მოცემული ვარიანტი პირდაპირ ეწინააღმდეგება „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონს“ და „კულტურის შესახებ კანონს“.³²

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი - „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის შეთანხმების (კონკორდატის) პროექტის მუხლი 41 ეწინააღმდეგება მოქმედ კანონს „ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ“ (02.05.95), რომლის მუხლი 4-ის მიხედვით, „დაუშვებელია სახელმწიფო საკუთრების ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის გასხვისება“.³³

ეს მცირე წყაროც კი ნათლად მეტყველებს იმ სამართლებრივ რეალობაზე, რომელმაც ხელშეკრულების იდეის ავტორები კონკრეტული არჩევანის წინაშე დააყენა. კერძოდ, მათ ან შემუშავებული პროექტი - ნორმატიული აქტის სახე და მისი თითოეული ნორმა, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა მოეყვანათ ან რაიმე მექანიზმით უნდა დაეძლიათ ამ უკანასკნელის პირველზე გავლენა. ცხადია, პირველი გზა ურთულესი, ხანგრძლივი და მეტწილად უშედეგო იქნებოდა, რაზეც თავად კონსტიტუციური შეთანხმების პროექტებზე მუშაობის მრავალწლიანი პროცესიც მეტყველებს. ხოლო, მეორე გზა, 2001 წლის 30 მარტამდე მოქმედი კანონმდებლობის პირობებში, უბრალოდ, არ არსებობდა. სწორედ ამ რეალობის წინააღმდეგ და მის შესაცვლელად ჩნდება „კონსტიტუციური შეთანხმების სრულიად ახალი ინსტიტუტი ქართულ სამართალში“.

ამგვარად, სრულიად ცხადია, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებულ შეთანხმებას „კონსტიტუციური“ რანგი არა ურთიერთობის მნიშვნელობიდან გამომდინარე მიენიჭა, როგორც ამას სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ფორმალური არგუმენტები ამტკიცებს, არამედ ეკლესიის სამართლებრივი სტატუსისა და სახელმწიფოსთან მისი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტის კონსტიტუციური საკანონმდებლო ძალაუფლებისგან მაქსიმალური გათავისუფლების მიზნით. ამ ფაქტის სრულფასოვანი შეფასებისთვის უნდა ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება, საწყის ეტაპზე მხოლოდ სახელმწიფოს საკანონმდებლო ძალაუფლების თავიდან არიდების ტაქტიკურ მექანიზმს წარმოადგენდა, თუმცა, იმ ფორმით, როგორც ის მოქმედი კონსტიტუციური შეთანხმების პირობებში ჩამოყალიბდა, ზედმიწევნით

³² საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის წერილი საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს, N08-14/309, 2000 წლის 11 აპრილი.

³³ საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს, N01-11/42, 2000 წლის 22 მარტი.

დაემთხვა ეკლესიის იდეურ სწრაფვას სახელმწიფოსთან სამართლებრივ-პოლიტიკური პარალელიზმის დაფუძნებისკენ და მისი განხორციელების ყველაზე ხელსაყრელ კონსტიტუციურ მოდელად იქცა. საგულისხმოა, რომ შეთანხმების „კონსტიტუციური“ სტატუსისა და მისი მოქმედების ოცნლიანი პერიოდის საერთო გამოცდილების გარდა, ამ მოდელზე ასევე პირდაპირ მიუთითებს კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის დეფინიცია, რომელიც ეკლესიას ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტად – სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად აღიარებს, რაც მას, რეალურად, სახელმწიფოს ტოლფას კონსტიტუციურ ინსტიტუტად აქცევს.

IV. დასკვნა

აქ წარმოდგენილი წყაროების, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების შეჯამება, ვფიქრობთ, საკმარისად ცხადად ადასტურებს ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული თეზისის მართებულობას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული „კონსტიტუციური შეთანხმება“ ჩვენთვის მრავალმხრივ მიუღებელია, წინამდებარე სტატია მხოლოდ მისთვის „კონსტიტუციური“ რანგის მინიჭების კრიტიკას ისახავს მიზნად. კერძოდ, ჩვენ, ერთი მხრივ, ვცადეთ გაგვებათილებინა ის ფორმალური არგუმენტები, რაც სახელმწიფომ ამ იდეის მხარდასაჭერად წარმოადგინა (მეორე თავი) და მეორე მხრივ, დაგვესაბუთებინა ამ იდეის საფუძვლად მდებარე ჩვენ მიერ მიგნებული რეალური მიზეზი (მესამე თავი). ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია, დასკვნის სახით, ორი ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხი გამოვყოთ:

პირველი, ამ აქტისთვის „კონსტიტუციური“ სტატუსის მინიჭება, რეალურად არა მისი საშუალებით მოწესრიგებული ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარეობს, არამედ შეთანხმების (ხელშეკრულების) პროექტებში გამოვლენილი პრინციპული საკანონმდებლო წინააღმდეგობებისა და შეუსაბამობების პროექტის უცვლელად დაძლევის ტაქტიკურ მიზანს ემსახურება. როგორც ამას, ზემოთ მოხმობილი „კონკორდიუმის“ პროექტზე გამოთქმული შენიშვნები ცხადყოფს. თუკი მას იერარქიულად უფრო ქვემდგომი სტატუსი ექნებოდა მისი შეცვლა ავტომატურად გახდებოდა სავალდებულო იერარქიულად უფრო ზემდგომი ნორმატიული აქტების ცვლილებების კვალდაკვალ - კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპის შესაბამისად. „კონსტიტუციური“ რანგი კი პირიქით, კონსტიტუციის ქვემდგომ მთელ ეროვნულ კანონმდებლობას ავალდებულებს, თავად შეესაბამებოდეს

კონსტიტუციურ შეთანხმებას. ამგვარად, მოქმედი კონსტიტუციური შეთანხმების ცალმხრივად გადახედვის ერთადერთი გზა კონსტიტუციაში იმ სახის ცვლილებების შეტანაა, რომელთანაც კონსტიტუციურ შეთანხმებას შესაბამისობის პირდაპირი ვალდებულება წარმოემოხა. თუმცა კონსტიტუციის ბუნება და სტრუქტურა ამას ფაქტობრივად გამორიცხავს, რადგან მისი ტექსტი არ მოიცავს იმგვარ დეტალიზებულ ნორმებს, როგორც კონსტიტუციურ შეთანხმებაშია მოცემული (მაგალითად, ზემოთ განხილული გადასახადებისგან გათავისუფლების საკითხი და სხვ.).

და მეორე, ერთმნიშვნელოვნად პრაგმატული საწყისის მიუხედავად, კონსტიტუციური შეთანხმება არსებითად ასახავს ეკლესიის იდეურ სწრაფვას სახელმწიფოს თანასწორი კონსტიტუციური ლეგიტიმაციის - სამართლებრივ-პოლიტიკური პარალელიზმის მოპოვებისკენ და მისგან მაქსიმალური თავისუფლების გარანტირებით, ამ იდეის განხორციელების ყველაზე ხელსაყრელ მოდელს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ იმ ფორმალურ არგუმენტს, რომ კონსტიტუციური შეთანხმების პირობებში, სახელმწიფო მოკლებულია შესაძლებლობას, საკანონმდებლო მექანიზმებით ცალმხრივად შეცვალოს - „გააუარესოს“, ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობა. თუმცა ოცწლიანი გამოცდილების ფონზე, ეს არგუმენტი რეალურად შებრუნებული პერსპექტივით უფრო დასაბუთდა. მართლაც, 2002 წელს ეკლესიამ მარჯვედ გამოიყენა მის მიმართ იმ პერიოდში არსებული უპრეცედენტო პოლიტიკური კონსენსუსი და სახელმწიფოსთან იმგვარ სამართლებრივ ურთიერთობაში შევიდა, რომელიც რიგი ფუნდამენტური შეუსაბამობებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, დღეს სახელმწიფოს მიერ, საკუთარი ექსკლუზიური საკანონმდებლო ძალაუფლების მიუხედავად, ცალმხრივად მარტივად ვეღარ შეიცვლება - „გამოსწორდება“.

კომლის საკუთრების საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების მნიშვნელობა და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი

აბსტრაქტი

კომლის საკუთრების მოწესრიგების საკითხს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მხოლოდ ერთი მუხლი ეთმობა, ხოლო დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან დღემდე გადაუჭრელ პრობლემას, რომელიც მესაკუთრეთა უფლებრივი მდგომარეობის ნაკლს წარმოაჩენს, საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების არაერთი გადაწყვეტილება ეხმიანება. საკითხი, თუ რატომ დაკარგა კომლის საკუთრებამ ფუნქცია, როგორც წესი, კანონმდებელს უნდა ეკვლია, მაგრამ საერთო სასამართლოების პრაქტიკამ ვერ დაფარა პრობლემის ის მასშტაბი, რაც რეალურად არსებობდა. მნიშვნელოვანია ნორმის სწორი განმარტება, მაგრამ, მაშინ, როდესაც კანონმდებელი აუქმებს კომლის მომწესრიგებელ ნორმებს, პრობლემა არა მოგვარებად, არამედ განგრძობად ხასიათს იძენს.

I. შესავალი

მიწის რეგისტრაციის მიმდინარე რეფორმის მიზანს იმ სირთულეების აღმოფხვრა წარმოადგენს, რომელსაც მიწის ნაკვეთის მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში მრავალი წელი აწყდებოდნენ.¹ 2022 წლიდან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მკაფიოდ გამოხატავს ადმინისტრაციული ორგანოს ნებას - მიწის რეგისტრაციის აუცილებლობის შესახებ, შემდგომში მესაკუთრეთა საკუთრების უფლების დაცვისა და სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად,

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრი. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის მკვლევარი [irakli.leonidze@tsu.ge]

** სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწე [giorgi.chikwiladse@gmail.com]

¹ შეად. ბესარიონ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში (საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრის გამოცემა 2005) 34.

კანონმდებელმა მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმასთან შესაბამისობისთვის სამოქალაქო კოდექსის რამდენიმე ნორმა ახალი რედაქციით ჩამოაყალიბა და გაუქმებული ნორმის შინაარსი ასახა ახალ ნორმაში,² რათა პროცესი *Prior in tempore* [დროში პირველი] წარმართულიყო. ცვლილება შევიდა სხვა ნორმატიულ აქტებში, მაგრამ ჩნდება შეკითხვა, რადგან გამარტივდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია, რატომ დაობენ სასამართლოში კომლის წევრი და არაწევრი პირები? მიწის ნაკვეთების გადაფარვის, არასწორი ნახაზით, შეცვლილი ფართობით და არასრული საკომლო ჩანაწერით დარეგისტრირების, გარეპერიმეტრისა და მომიჯნავე ნაკვეთთან მისასვლელი გზების მითვისების, სამკვიდროს თვითნებურად დაუფლების და სხვა მრავალი კერძო მესაკუთრული სურვილი რომ დამახასიათებელია ჩვენი მოქალაქეებისთვის ამ საკითხს არავინ უარყოფს, თუმცა მსგავსი შემთხვევები რეესტრის მონაცემთა სიმცდარისა და არასრულყოფილების პრეზუმფციას არ უნდა ქმნიდეს.³ გასათვალისწინებელია კომლის წევრი და არაწევრი მემკვიდრეების საკუთრების უფლების დაცვა მედიაციის საშუალებით, რაც გულისხმობს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენებას რთულ სამართლებრივ შემთხვევათა გადასაწყვეტად.⁴ აღსანიშნავია, რომ კანონმდებელს არ უცდია კომლის სამართლებრივი რეგულირების დახვეწა, იგი წლების განმავლობაში კომლის წევრების ბუნებრივ გარდაცვალებას მოელოდა, როგორც კომლის სამართლებრივი ფორმის ერთგვარ აღსასრულს.⁵ კანონმდებლის მოლოდინი არ გამართლდა, შესაბამისად, საქართველოს ეროვნული სასამართლოები, დღემდე და, სავარაუდოდ, მომავალშიც განიხილავენ დავებს კომლის ცოცხლად დარჩენილ წევრებსა და კომლის არაწევრ მემკვიდრეებს, ასევე საკომლო მიწის ნაკვეთების სხვა მფლობელებს შორის.⁶

² მუხლი 1, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. 25 ივნისი, 2019 წელი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4851-III, 02.07.2019.

³ მუხლი 312, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 26 ივნისი, 1997. პარლამენტის უწყებანი, 31, 24.07.1997.

⁴ შეად. ირაკლი ლეონიძე, „ნოტარიუსი მედიატორი საჯარო და კერძო სამართლის სისტემათა ზღვარზე“ (2021) 2(1) თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები 109.

⁵ შეად.: Authors, ‘State Property Management in the Republic of Kazakhstan’ (2016) 5(19) Journal of Advanced Research in Law and Economics 1180-1190; Jordan Gans-Morse, Property Rights in Post-Soviet Russia: Violence, Corruption, and the Demand for Law (Cambridge University Press 2017) 20; Paul Babie, ‘Ukraine’s Transition from Soviet to Post-Soviet Law: Property as a Lesson in Failed Regulation’ (2016) 3(1) Journal of Ukrainian Studies 5.

⁶ პრობლემის მასშტაბი მოქალაქეთა რაოდენობის შესაბამისად იცვლება, თუმცა გადატვირთულობა, როგორც შედეგი, დგება მოქალაქეთა რაოდენობის მიუხედავად. შეად. Robert Heuser, ‘The Role of the Courts in Settling Disputes between the Society and the Government in China’ (2003) 49 Journal of China Perspectives 6.

კვლევის მიზანია კომლის საკუთრების სისტემური კვლევა, გარკვევა იმისა, თუ როგორ გადაიქცა კანონმდებლობის ხარვეზი საკონსტიტუციო სასამართლოს გამოწვევად. კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებულია ისტორიული, ნორმატიული, შედარების და ანალიტიკური კვლევის მეთოდები.

II. კომლის საკუთრების მომწესრიგებელი ნორმები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513¹ მუხლი ერთადერთია კოდექსში, რომელიც აწესრიგებს კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდროს გახსნას და გონივრულია, რომ აღნიშნული ნორმით დაცულია კომლის წევრი და არაწევრი პირების უფლებები.⁷ ნორმა აერთიანებს სამ ნაწილს. აქედან პირველი და მეორე ფორმალურ შესაბამისობას ადგენს, ხოლო მესამე, სამართლებრივ შინაარსს ავრცელებს მასზე. გასათვალისწინებელია 1513-ე მუხლის დათქმა და მოქმედების სფერო. ორივე ნორმა გამოიყენება მიწის სამართლის მომწესრიგებელ სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად.⁸

აღნიშნული ნორმა წარმოადგენს კანონმდებლის მიერ წარსულში განუხორციელებელი და არასრულად განხორციელებული კანონშემოქმედების გაგრძელებას/შედეგს, რომელიც დროით გამყოფად 2019 წლის 1 აგვისტოს ადგენს. დაირღვა თუ არა კომლის წევრთა უფლებები ამ თარიღის დაწესებით, სავარაუდოა, რომ არავის გამოუკვლევია, არც ის დაუდგენიათ რა რაოდენობის კომლი არსებობს საქართველოს მასშტაბით და რამდენი პირი [კომლის წევრი] ირიცხება მასში [ასევე, წარმოუდგენელი იქნებოდა კომლის არაწევრი მემკვიდრეების წინასწარი რაოდენობის დაანგარიშება და, სამომავლოდ, სამემკვიდრეო დავების წარმოშობის რისკის გათვალისწინება]. კანონმდებელი ბრძენია,⁹ თუმცა განსაზღვრება: თუ იგი აწესრიგებს საკითხს, მანვე უნდა დაიცვას ამ საკითხის ადრესატთა უფლებრივი მდგომარეობა,¹⁰ მივიწყებული აღმოჩნდა. შესაბამისად, კომლის საკუთრების მოწესრიგების ამოცანა და რეგისტრაციის მიზანი დაინტერესებული პირის უფლების დაცვის საშუალებებს დასცილდა.¹¹

⁷ შეად. ნინო მესხიშვილი, ქონების კეთილსინდისიერი შექმნა არაუფლებამოსილი პირისაგან (კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2018) 23-25.

⁸ შეად. Article 1.109 და 6.590, Civil Code of the Republic of Lithuania. 18 July, 2000. XI-1254.

⁹ საწინააღმდეგო მტკიცება წიგნში: მარინა გარიშვილი, შესავალი სამართლის ფილოსოფიაში - ლექციების კურსი (თსუ-ის გამომცემლობა 2010) 33. მითითებულია: „ბრძენ კაცს კანონი არაფერში სჭირდება, ბრძენი ადამიანისა და კეთილი სულისათვის, სამშობლო - მთელი სამყარო.“

¹⁰ ზოიძე, supra სქოლიო 1, გვერდი 34.

¹¹ ისტორიული წარმოშობის საკითხისთვის იხ.: John N. Hazard, 'Soviet Property Law' (1945) 4(30) Cornell Law Review 467; Peter B. Maggs, 'The Security of Individually-Owned Property under Soviet Law' (1961) 4 Duke Law Journal 526-527; Kimura Hiroshi, Personal Property and Private Property (Hokkaido

კომლის მომწესრიგებელი ნორმების კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: ა) ნორმათა მოქმედება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 80-იანი წლების მიწურულს, ბ) ნორმათა მოქმედება დამოუკიდებლობის მოპოვებიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე, გ) ნორმათა მოქმედება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან კომლში წევრის ჩაწერის და ამოწერის შესაძლებლობის გაუქმებამდე, დ) ნორმათა მოქმედება კომლში წევრის ჩაწერის და ამოწერის შესაძლებლობის გაუქმებიდან 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე, ე) ნორმათა მოქმედება 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებიდან დღემდე.

დღეს არსებული მდგომარეობით, დაუშვებელია კომლში წევრის ჩაწერა, წევრის კომლიდან ამოწერა ან მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ დამოუკიდებლად მონაცემის შესწორება.¹² საკომლო ჩანაწერის სისწორეს, მხარეთა მიერ სადავოდ მიჩნევის შემთხვევაში, განიხილავენ საქართველოს საერთო სასამართლოები. კანონმდებელმა კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდროს გახსნის საკითხისთვის განსაზღვრა ზღვარი 2019 წლის 1 აგვისტომდე და მის შემდეგ, რითაც დაადგინა კომლის სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესი და კომლის წევრის გარდაცვალების ფაქტის ახალი კრიტერიუმი, რომელიც თავისი ფორმით უპირისპირდება კომლის ცოცხლად დარჩენილ წევრებს შორის საოჯახო ურთიერთობების შენარჩუნების ინტერესს და დროში აჩქარებს კომლის წევრი და არაწევრი პირების კერძო მესაკუთრული ინტერესის გამოვლენას 2019 წლის 1 აგვისტოს შემდეგ.¹³ კომლის მომწესრიგებელი ნორმები არ არის აღჭურვილი კომლის მესაკუთრეთა ქონების ეფექტიანი და თანაბარი დაცვის ფუნქციით. უფლებრივი დაუცველობა იგრძნობოდა 1993 და 1996 წლის საკანონმდებლო აქტების მიღებისას და მის შემდეგაც. ადგილობრივ დონეზე მუნიციპალური და სარეგისტრაციო ორგანოები არაერთგვაროვნად [არასრულად] ახდენდნენ მიწის აღიარების ან საკომლო ჩანაწერის წარმოებასა და უფლების რეგისტრაციას.

კანონმდებელმა თავისი გადაწყვეტილებით, კვლავ რისკის ქვეშ დააყენა ის მრავალწლიანი სოციალური ურთიერთობა, რომელსაც პატივს სცემდნენ კომლის წევრი და არაწევრი პირები/მემკვიდრეები, ხოლო ახალი ნორმატიული დღის წესრიგით, კანონმდებელი არა კომლის წევრთა გარდაცვალების [რაც ადრეულ პრაქტიკას წარმოადგენდა], არამედ კომლის წევრი და არაწევრი პირების სასამართლო დავის შედეგის მოლოდინის რეჟიმში აღმოჩნდა. მოლოდინის რეჟიმში

University Collection of Scholarly and Academic Papers 1970) 66-68.

¹² ეკატერინე ლაფაჩი, უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე (თსუ-ის გამომცემლობა 2016), 47.

¹³ თამარ ზარანდია, სანივთო სამართალი (მერიდიანი 2019), 196.

მყოფი კანონმდებელი და მარეგისტრირებელი ორგანო არათანაბარი მოპყრობითა და არსებითად არაერთგვაროვანი უარყოფითი შედეგის მქონე წარმოებით არღვევენ კომლის მესაკუთრეთა კონსტიტუციურ უფლებებს.¹⁴ გასათვალისწინებელია, რომ სანოტარო ნორმები არ შეესაბამება იმ პრობლემის გადაწყვეტის მზაობას, რომელსაც ამ ნაშრომში განვიხილავთ.¹⁵ შაბლონური და ვინრო-პროცედურული ნორმები არ მოიცავს კერძოსამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელ შემთხვევებზე რეაგირების საჭიროებას¹⁶ და დაინტერესებული პირების განსაკუთრებული საჭიროებების შეფასებას.¹⁷

კომლის საკუთრებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ არსებული კანონიერი მოლოდინი ამ ორგანოს ახალი ხედვისა და საქმისწარმოების დამკვიდრების საფუძველზე, საფრთხის წინაშეა.¹⁸ მოქალაქეებისთვის სიახლედ ქცეული სამართლებრივი მოთხოვნები [სარეგისტრაციო მომსახურება], საერთოდ არ წარმოადგენს უფლებრივი მდგომარეობის მოწესრიგებისა და დაცვის ნოვაციას.¹⁹

სასურველია, რომ კომლის საკუთრების მომწესრიგებელი ნორმები კომლის წევრი და არაწევრი პირების იურიდიული ინტერესის თანაბარი შეფასებით განიმარტოს [რაც გულისხმობს, რომ „საზოგადოების სასარგებლოდ მიღებული კანონები კარგად უნდა განიმარტოს“²⁰] და არა პრინციპით: *Prior in tempore, potior in iure*.²¹ გამოიკვეთა გამოწვევა, რომელიც კომლის მესაკუთრეებს, სასამართლოში დავის გზით, უფლების დაცვისკენ მოუწოდებს და არა მარეგისტრირებელი ორგანოსთვის მიმართვის საშუალებით.²²

¹⁴ ბესარიონ ზოიძე, „ღირებულებათა კონსტიტუციურსამართლებრივი წესრიგი, როგორც ძირითადი უფლებების შეზღუდვის საფუძველი კოვიდპანდემიის პირობებში (საქართველოს მაგალითზე)“ (2021) 2 თანამედროვე შრომის სამართლის მიმოხილვა 70.

¹⁵ დავით სუხიტაშვილი, სანოტარო სამართალი (გამომცემელი თბილისი [გ. გ.], 2012) 191-193.

¹⁶ რიხარდ ბოკი, „ზოგიერთი მოსაზრება ნოტარიატის მომავალზე“ (2022) 2 შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1-2.

¹⁷ შეად. მიხეილ ბიჭია, „მეუღლეა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დადგენის თავისებურებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით“ (2019) 1(61) მართლმსაჯულება და კანონი 85.

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/14/879 „საქართველოს მოქალაქე ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 8 სექტემბერი, ნაწილი I. პარაგრაფი 6.

¹⁹ შეად. Antanas Maziliauskas and others, ‘Economic Incentives in Land Reclamation Sector in Lithuania’ (2007) 11 Journal of Water and Land Development 18.

²⁰ მითითებულია: Statuta pro publico commodo late interpretatur წიგნში გიორგი ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი (გამომცემელი „ბონა კაუზა“ 2005) 189.

²¹ შეად. Diana Mizaraite and others, Forest Land Ownership Change in Lithuania (European Forest Institute Central-East and South-East European Regional Office - University of Natural Resources and Life Sciences 2015) 7-8.

²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-684-1014-07, 2008 წლის 31 იანვარი.

უნდა შეფასდეს ისიც, რომ კომლის ცოცხლად დარჩენილი და არაწევრი პირების ჯგუფებად დაყოფა პირობითია და საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მაშინ, როდესაც საკომლო ჩანაწერი არსებითად ხარვეზიანი, არასრული და მცდარია ან კომლის ყველა წევრი გარდაცვლილია. დროთა განმავლობაში კომლის საკუთრების არაჯეროვანმა რეგულირებამ წარმოშვა ყოფით-სოციალური შედეგი, როცა კომლში აღარ რჩება ცოცხლად დარჩენილი წევრი, რადგან კომლიდან ამოწერა და ჩაწერა დაუშვებელია, საკომლო ჩანაწერი არამართლზომიერად ზღუდავს კომლის მესაკუთრეთა იურიდიულ ინტერესს [ქმნის არაბუნებრივ მოლოდინს იმის შესახებ, თუ ვინ გარდაიცვლება ყველაზე ბოლოს ან უკვე, 2019 წლის 1 აგვისტოს შემდეგ პირველი, რაც საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის დარგისთვის, როგორც წესი არაბუნებრივია].²³

მართალია, მიწის რეგისტრაცია მნიშვნელოვანი მოვლენაა სახელმწიფოსთვის,²⁴ მაგრამ მიუღებელია მისი არსის დამახინჯება იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფოს მიწის ფონდი არ არის საყოველთაოდ აღრიცხული და სამოქალაქო სამართლის კანონთა სისტემა ფორმალურად ნაკლებად ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით.²⁵ მიმდინარე რეფორმით არათუ გამარტივდა მესაკუთრეთა უფლებრივი მდგომარეობა, არამედ დაჩქარდა საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების არამართლზომიერი ხელყოფის საფრთხეთა გამოვლენა. დროსა და სივრცეში დაკარგული კომლის საკუთრება კანონმდებლობის ხარვეზიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების გამოწვევად გადაიქცა,²⁶ ხოლო კომლის წევრი და არაწევრი პირების საკუთრებითი ინტერესი წინასწარ განუჭვრეტელ, ბუნდოვან და შესაძლო ხარვეზიან საკომლო ჩანაწერს დაეფუძნა.²⁷ „თავსმოხვეული“ შედეგის პრევენციის ერთადერთი საშუალება სასამართლო დავაა.²⁸ მეტად

²³ შეად. Sjef van Erp, *European and National Property Law: Osmosis or Growing Antagonism?* (Europa Law Publishing 2006) 9.

²⁴ მონიკა გაბუნია, საკუთრების სოციალური ფუნქცია მიწაზე საკუთრების უფლების განხორციელების კონტექსტში (დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამოცემლობა 2016) 6.

²⁵ მუხლი 5, საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, 23 ოქტომბერი, 2008 წელი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 28, 30.10.2008.

²⁶ ავტორის შენიშვნა: იგულისხმება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №1/4/258 „საქართველოს მოქალაქე დინა ფოფხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2005 წლის 22 თებერვალი.

²⁷ ირაკლი ლეონიძე, „სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების თავისებურება ქართულ სამართალში და კანონისმიერი მემკვიდრის დაცვის საკანონმდებლო გარანტიები“ (2020) დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადეული სპეციალური გამოცემა 14-16.

²⁸ შეად. Paul Martens, *Conference of European Constitutional Courts XIIth Congress: The Relations between the Constitutional Courts and the other National Courts, Including the Interference in this Area of the Action of the European Courts* (Report of the Constitutional Court of the Federal Republic of Germany 2002) 34.

გაუარესდა კომლის წევრებს შორის არსებული საოჯახო ურთიერთობები და გაიზარდა კომლის არაწევრ პირთა არამართლზომიერი ჩარევის შემთხვევები კომლის საოჯახო-სამეურნეო ურთიერთობებში.

III. კომლის საკუთრების უზენაესობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ არის განმარტებული კომლი. საკითხავია, რატომ ივიწყებს კანონმდებელი თავისი მოქალაქეების საკუთრებით და მემკვიდრეობით ინტერესებს კომლთან დაკავშირებით. საქართველოს საერთო სასამართლოების პირველი და მეორე ინსტანციები²⁹ კომლს ერთპიროვნულად, არაბუნებრივად და სხვადასხვაგვარად განმარტავენ, ისე, თითქოს ცოცხლად დარჩენილ წევრს ან არაწევრ მემკვიდრეს კომლის ქონებაზე კონსტიტუციური უფლება ან ინტერესი არც კი ჰქონდეს. ე.ი. კომლის წევრი და არაწევრი პირები დროსა და სივრცეში დაიკარგნენ.³⁰

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად, „ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.“³¹ კომლის საკუთრება, როგორც წესი, შედგება უძრავი და მოძრავი ქონებისგან. საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში კომლზე რიცხული ქონება განსხვავებულია იქ არსებული მიწის ფონდის, დამოუკიდებლობის პერიოდამდე და შემდგომ დამკვიდრებული სოციალური ჩვეულებების საერთო თანაფარდობის გათვალისწინებით.³² ამიტომ, კვლევის მიზნებისთვის, კომლი - სამართლებრივი ფორმისა და შინაარსის დაცვით, სწორად უნდა განვმარტოთ. მიუხედავად იმისა, თუ რა მნიშვნელობით გამოიყენება ეს ტერმინი კერძო სამართალში, კომლს, რომელსაც ამ ნაშრომის ფარგლებში განვიხილავთ, არ ახასიათებს შევსების ფუნქცია და წარმოადგენს უძრავ მდგომარეობაში მყოფ / დაურეგისტრირებელ ან/ და კომლის ბოლო ან რომელიმე წევრის სახელზე [საკომლო ჩანაწერში]

²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-7-2019, 2020 წლის 11 ივნისი.

³⁰ დამატებით იხ. რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (გამომცემლობა მერიდიანი 2015) 410.

³¹ მუხლი 147, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 26 ივნისი, 1997. პარლამენტის უწყებანი, 31, 24.07.1997.

³² ალექო ნაჭყებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013) (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება 2014) 83.

აღრიცხულ სოციალურსამართლებრივ მოცემულობას, რაც აერთიანებს ქონებრივ სიკეთეებს: მიწის ნაკვეთებსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებს, სოფლად და ქალაქად [ქალაქების გაფართოებამ მოიცვა სოფლად არსებული კომლექსები].

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში...“. კონსტიტუციურ ჩანაწერში არ არის მითითებული კომლი, იმ ფონზე, როდესაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ არსებობს მოძველებული და დაურეგისტრირებელი სამართლებრივი ჩანაწერის ფორმით, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სადაც საკომლო ჩანაწერი, როგორც წესი, უფლების დამდგენ ერთადერთ დოკუმენტს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური ჩანაწერი ეწინააღმდეგება იმ სოციალურ რეალობას, რომელშიც ნორმატიულ წესრიგს ადგენს.³³

ამ ჩანაწერის სისრულისთვის მნიშვნელოვანია კომლის საკუთრების შეფასება იმ პირობით, რომ იგი სრულად მოექცეს დათქმაში: საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში.³⁴ წინააღმდეგ შემთხვევაში, კომლის შემადგენელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, გარკვეულ მიზეზთა და ფაქტობრივ გარემოებათა გამო, შეიძლება, რომ მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში მოექცეს. ამ შემთხვევაში, კომლის წევრი და არაწევრი მემკვიდრეების საკუთრების უფლების დაცვა აღარ იქნება კანონმდებლის, საჯარო რეესტრისა და საერთო სასამართლოების საერთო გამოწვევა, არამედ გადაიქცევა კომლის წევრი ან არაწევრი პირის მტკიცების ტვირთად.³⁵

კომლის საკუთრების შემადგენლობის შესახებ საინტერესო განმარტება გვხვდება საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში. ცნებათა დამახინჯება და აღრევა ერთ-ერთი გამოწვევაა, როდესაც საქმის განმხილველი სასამართლო, მხარეთა იურიდიული ინტერესის

³³ დამატებით იხ. ბესარიონ ზოიძე, „ძირითადი უფლებების გავლენა კერძო ავტონომიაზე: კერძო ავტონომიის გაფართოება თუ შეზღუდვა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა)“ წიგნში თამარ ზარანდია და ევგენია კურზინსკი-სინგერ (რედ.), კერძო ავტონომია, როგორც კერძო სამართლის ფუძემდებლური პრინციპი (თსუ-ის გამომცემლობა 2020) 101.

³⁴ გიორგი ხუბუა და კობა ყალიჩავა, ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო (გამომცემლობა „პეტიტი“ 2018) 235-236.

³⁵ შეად. რომან შენგელია, „სამემკვიდრეოსამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვის მექანიზმის სრულყოფის აუცილებლობა“ (2022) 1-2(57-58) ცხოვრება და კანონი 95.

საწინააღმდეგოდ, განმარტავს კომლის სამართლებრივ რეგულირებას ადრე და დღეს მოქმედი საკანონმდებლო მდგომარეობით. განმარტებები საინტერესოა ქონების ცნების თვალსაზრისით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 11 ივნისის №ას-7-2019 საქმეზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ წარმოდგენილი იყო საკოლმეურნეო კომლი, რომლის გაუქმების შემდგომ კომლის ქონება თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნოდათ მოსარჩელეს და მოპასუხეს [მოსარჩელისა და მოპასუხის მამები იყვნენ ძმები, რომლებიც ერთ კომლში ირიცხებოდნენ].³⁶ ამ შემთხვევაში, კომლის შემადგენლობა განიმარტა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით და მასზე ადრე არსებული [ჩანაწერით დადასტურებადი] შენობით, თუმცა სასამართლომ თავი ისე შეიზღუდა საქმეზე წარმოდგენილი სამართლებრივი გარემოებით, რომ კომლის ქონებაზე მხარეთა უფლებრივი მდგომარეობა არ გამოუკვლევიან. პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს დაეყრდნო და მისგან საერთოდ გამორიცხა მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი.

სააპელაციო პალატამ შეცვალა პირველი ინსტანციის სამართლებრივი მსჯელობა კომლის არსებობის შესახებ და დაადგინა, რომ ეს იყო არა საკოლმეურნეო კომლი, არამედ მუშა-მოსამსახურის კომლი და ქონება წარმოადგენდა მოსარჩელისა და მოპასუხის თანასაკუთრებას, თუმცა, რადგანაც კომლის კუთვნილი ნაგებობა აღარ არსებობდა მიწის ნაკვეთზე, ხოლო, საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული კომლის წევრთა მიერ, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა. სასამართლომ უარყო მხარეთა უფლებრივი მდგომარეობა კომლზე და განსაზღვრა შემდეგი: სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელე ვერ გახდებოდა კომლის ქონების მესაკუთრე.³⁷

სააპელაციო პალატის მსჯელობა პირდაპირ და უხეშად ხელყოფს კომლის მესაკუთრეთა უფლებებს. აღნიშნული ერთმანეთს უპირისპირებს კანონმდებლის მიერ საკითხის მოწესრიგების მიზანსა და მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის ფუნქციას, შემდგომში სახელმწიფო/საჯარო და კერძო ინტერესს. ამ მსჯელობის თანახმად, ჩნდება არამართლზომიერი წარმოდგენა, რომ სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-7-2019, 2020 წლის 11 ივნისი.

³⁷ *ibid.*

მასშტაბით, დაურეგისტრირებელი ფორმით არსებული კომლის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები სახელმწიფოს საკუთრებაში აღმოჩნდება, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კომლის საკუთრებები, რომლებიც მოქალაქეთა მიერ ფიზიკურად ვერ განიკარგება და აღნიშნულ, დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებზე განადგურებულია შენობა-ნაგებობები.

საქართველოს უზენაესი სასამართლო გაემიჯნა სააპელაციო პალატის მსჯელობას კომლის სამართლებრივი ფორმის და კომლის წევრი/არაწევრი პირების უფლებრივი მდგომარეობის გამორიცხვის შესახებ. საკასაციო სასამართლომ განსაზღვრა: ა) კომლის სწორად განმარტების აუცილებლობა და გამოსაყენებელი ნორმები, ბ) კომლის ქონების განუყოფლობა კომლის წევრთა უფლებრივი მდგომარეობისგან, გ) გამოსაყენებელი ნორმისთვის კონკრეტული შემთხვევის მისადაგებისა და კომლის მესაკუთრეთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის განსაკუთრებული საჭიროებები.

განხილული გადაწყვეტილება ადასტურებს, თუ რა პრობლემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ კომლის მესაკუთრეები. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ უარყოფილი მესაკუთრეები დავას სასამართლოში აგრძელებენ,³⁸ სადაც დგება საკითხი იმის შესახებ, რომ ისინი არ შეიძლება იყვნენ იმ კომლის ქონების მესაკუთრეები, სადაც ნახევარ საუკუნეზე მეტია ცხოვრობენ. საკუთრების შემადგენლობა: ქონება და მასზე არსებული უფლებები, ხშირად, საერთო სასამართლოების მიერ არასწორად განიხილება და ვნებს მესაკუთრეთა უფლებრივ მდგომარეობას. მარეგისტრირებელი ორგანო და ნოტარიუსი კი არ არის ორიენტირებული კომლის მესაკუთრეთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე. ცალსახაა ის საკითხი, თუ რამდენად რთულია სასამართლოს მიერ მესაკუთრეთა განსაკუთრებული საჭიროების აღქმა და შეფასება.³⁹

³⁸ თამარ ზარანდია, „უძრავი ნივთების კეთილსინდისიერი შეძენა არაუფლებამოსილი გამსხვისებლისაგან ქართულ სასამართლო პრაქტიკაში“ წიგნში ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სსოვნისადმი მიძღვნილი კრებული - „ქართული სამართლის აქტუალური საკითხები“ (2014) 72-73.

³⁹ ავტორის შენიშვნა: საკომლო დავების განხილვის სამოქალაქო საპროცესო ბუნების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს. განვიხილოთ ერთ-ერთი სანიმუშო გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლომ 2021 წლის 24 თებერვლის №ას-186-2019 საქმეზე შეაჯერა კომლის იმგვარი განმარტების საკითხი, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 15131 მუხლის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს: „კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად, ქონება, რომელიც კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ წარმოადგენს კომლის ქონებას და არის იმ პირთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომლებიც კომლის წევრებს წარმოადგენენ. აღნიშნულ ქონებაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი.“ განმარტებას თავისი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის გაუქმების შემდგომ 15131 მუხლში აისახა.

კომლის ქონებამ შეიძინა სახასიათო და ნეგატიური ფორმის მქონე სოციალურ-სამართლებრივი განსაზღვრებები, როგორცაა: დაუზუსტებელი, დაურეგისტრირებელი, უფუნქციო და სადავო.⁴⁰ რთული და მწვავე საოჯახო-სამემკვიდრეო კონფლიქტების დასარეგულირებლად არ კმარა საჯარო რეესტრისთვის განცხადებით მიმართვა. კანონმდებელმა უნდა გაიხსენოს, რომ საქართველო არის სოციალური სახელმწიფო,⁴¹ რომელიც „ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე.“⁴² კომლთან დაკავშირებით, ყველაფერი პირიქითაა, რისი ნათელი მაგალითი, სწორედ კომლის ქონების და მასზე საკუთრების უფლების მოპოვების არაეფექტური და არაჯეროვანი რეგულირების საკითხია.⁴³ კომლის ქონება არ ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის დანაწესს, თუმცა აწესებს განსხვავებულ დათქმებს ამ ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვისთვის.⁴⁴ მისასაღმებელია მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის მიმდინარეობა და მიღწეული შედეგები, მაგრამ ამ რეფორმის ფარგლებში კომლის მესაკუთრეთა განსაკუთრებული საჭიროებებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული.⁴⁵ არაერთგვაროვან საქმისწარმოებას თან სდევს არასწორი სწავლებები კომლის ქონების რეგისტრაციის შესახებ,⁴⁶ რაც კომლის მესაკუთრეების უფლებრივ მდგომარეობას აკნინებს.⁴⁷ მიუღებელია მსგავსი ფორმით საქართველოს მოქალაქეთა საკუთრებითი ინტერესის უარყოფა. კანონმდებელმა, მარეგისტრირებელმა ორგანომ და ნოტარიუსმა საზოგადოების სასიკეთოდ მიღებული კანონები კარგად უნდა განმარტონ.⁴⁸

⁴⁰ შეად. თამარ ზარანდია, „საკუთრების ცნება და მისი ექსკლუზიური ხასიათი შედარებით-სამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით“ (2008) 5 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები 758-759.

⁴¹ მუხლი 5, პუნქტი 1, საქართველოს კონსტიტუცია, 24 აგვისტო, 1995. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24.08.1995.

⁴² *ibid*, პუნქტი 2.

⁴³ დამატებით იხ. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი / წიგნი მეხუთე /, საოჯახო სამართალი. მემკვიდრეობის სამართალი. სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი (გამომცემლობა „სამართალი“ 2000) 378-379.

⁴⁴ ნანა ჭილაძე, „ძირითადი უფლებები დემოკრატიულ სახელმწიფოში და ქართული გამოწვევები“ წიგნში თამარ ზარანდია და ანა თოხაძე (რედ.), ევროპის უსაფრთხოება და თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო (საქართველოს მაგალითი) (გამომცემლობა სამშობლო 2021) 188-189.

⁴⁵ შეად. ქეთევან მესხიშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის კომენტარი წიგნში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი - რჩეული მუხლები (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება 2020) 71.

⁴⁶ შეად. Katherine Verdery, 'The Property Regime of Socialism' (2004) 2(1) Conservation & Society 190-191.

⁴⁷ Louise I Shelley, Privatization and Crime: The Post-Soviet Experience (The National Council for Soviet and East European Research 1995) 2-5; Zvi Lerman and others, Land Policies and Evolving Farm Structures in Transition Countries (World Bank Research 2002) 83-84.

⁴⁸ ავტორის შენიშვნა: ფაქტობრივი ფლობით კომლის სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენა,

IV. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი კომლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი შესაძლოა დაიყოს ორ ნაწილად: საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და საქმეები, სადაც კომლის შესახებ პირდაპირი ან არაპირდაპირი განმარტება ჩამოყალიბდა. მნიშვნელოვანია მეორე შემთხვევა, რადგან პირველი, თავისთავად, მოიცავს საკუთრების უფლების გაუმიჯნავ და ერთიან სფეროს, სადაც კომლის საკუთრება ფორმის განურჩევლად მოიაზრება.

2005 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებაში პირველად აღინიშნა, რომ „განმწესრიგებელ სხდომაზე და საქმის არსებითად განხილვისათვის მომზადების პერიოდში გამოიკვეთა სადავო ნორმით – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლით („სამკვიდროს გახსნა კომლში“) გათვალისწინებული ურთიერთობების საკანონმდებლო მოწესრიგების სრულყოფის საჭიროება.“⁴⁹ აღნიშნულ განმარტებას, სარჩელის არსებითად განხილვის დაწყებამდე, წინ უძღოდა ცნობა მოსარჩელის გარდაცვალების შესახებ, ხოლო დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.⁵⁰ ვინ იცის, რამდენად ძირეული საკანონმდებლო ცვლილებების გამომწვევი შესაძლოა ყოფილიყო ამ საქმის მსვლელობა, თუმცა შექმნილ გარემოებათა გამო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეწყვიტა სამართალწარმოება მოქალაქე დინა ფოფხაძის კონსტიტუციურ სარჩელზე. 2005 წლის შემდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის კონსტიტუციურობა საკუთრების უფლებასთან მიმართებით არასდროს განხილულა და არც კომლის საკუთრების უფლება შეფასებულა ასე ცალსახად.

ქართულ სამართალში სასამართლო, სანოტარო და სამედიაციო პრაქტიკის საგანია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში თავმოყრილია ამ საკითხთან დაკავშირებული სამოსამართლო ცოდნა, თუმცა ეს არ არის საკმარისი არსებულ პრობლემათა აღმოსაფხვრელად. ფაქტია, რომ ფაქტობრივი ფლობით, კომლის სამკვიდროს მიღების საკითხი დღემდე აქტუალური და პრობლემურია.

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №1/4/258 „საქართველოს მოქალაქე დინა ფოფხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2005 წლის 22 თებერვალი.

⁵⁰ მუხლი 1323, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 26 ივნისი, 1997. პარლამენტის უწყებანი, 31, 24.07.1997, 2005 წლის 25 თებერვლის მდგომარეობით, „კომლში კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან“. ნორმის დისპოზიცია არ შეცვლილა, სანამ საერთოდ არ გაუქმდა აღნიშნული ნორმა 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კომლის შესახებ არაპირდაპირი შეფასებითი მსჯელობა 2012 წლიდან განაახლა საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 11 პუნქტის სიტყვების „უცხოელი და“ კონსტიტუციურობის შეფასებისას სასამართლომ განმარტა ნორმის დისპოზიცია და „უცხოელის“ ვალდებულება,⁵¹ რომ „მის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე საკუთრების წარმოშობიდან 6 თვის ვადაში გაასხვისოს საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან იურიდიულ პირზე.“⁵² გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კომლი ამ შემთხვევაში არ გულისხმობს იმ სამართლებრივ ფორმას, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი ითვალისწინებდა. 2021 წლის მდგომარეობით, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონი ძალადაკარგულია, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი გაუქმებული.

2013 წელს საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ აღინიშნა, რომ „საკუთრებაში გადასაცემ მიწის ნაკვეთებს ფიზიკური პირების გარკვეული კატეგორიისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, კანონი, სხვა დანიშნულების მიწებთან ერთად, ფიზიკური პირებისათვის საკუთრებაში გადასაცემ მიწის ნაკვეთებში მოიაზრებს კომლის სარგებლობაში საცხოვრებლად დაკავებულ და სხვა მინიმალური საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით დაკავებულ მიწებს.“⁵³ სასამართლომ განმარტება დააფუძნა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის სადავოდ მიჩნეული ნორმების მიზანს, რომელსაც ისახავდა კანონმდებელი, როდესაც ადგენდა მიწის აღიარების კომისიების საქმისწარმოების ფარგლებში უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების შესაძლებლობას, რის საფუძველზეც, მოქალაქეს შეეძლო უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. კომლის გაგება ამ შემთხვევაში

⁵¹ დამატებით იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/563 „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2014 წლის 24 ივნისი, ნაწილი II. პარაგრაფი 5.

⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/512 „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2012 წლის 26 ივნისი, ნაწილი II. პარაგრაფი 73.

⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/522,553 „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2013 წლის 27 დეკემბერი, ნაწილი II. პარაგრაფი 26.

ორაზროვანია, რადგან არ იკვეთება ტერმინის სამართლებრივი დანიშნულება და ის გაერთიანებულია მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების ძირითად სფეროში.⁵⁴

კონსტიტუციურ სარჩელში საქმეზე „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქე პროკოპი სავვიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, მოსარჩელემ „საკუთარი ხელით აშენებული და საკომლო წიგნის მიხედვით მის სახელზე რიცხული სახლისა და საკარმიდამო ნაკვეთის დარეგისტრირების მიზნით მიმართა საქართველოს საჯარო რეესტრს, თუმცა, საბუთების ჩაბარებაზე მიიღო ზეპირსიტყვიერი უარი სადავო ნორმაზე მითითებით.“⁵⁵ სადავო ნორმას წარმოადგენდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 33 პუნქტი. აღნიშნული საქმის მსვლელობა წარიმართა №1267 და №1268 კონსტიტუციური სარჩელების განხილვით. სასამართლომ დამატებით გამოიკვლია ქრონქვისტის საქმესთან მიმართებით დამდგარი შედეგები და უცხოელის მიერ მიწის ნაკვეთის კომლზე გასხვისების არაკონსტიტუციურობა.⁵⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, არსებითად განსახილველად არ იქნა მიღებული №1267 და №1268 კონსტიტუციური სარჩელები („საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).⁵⁷ შესაბამისად, კონსტიტუციურ სარჩელში დაფიქსირებული ცნობა იმის შესახებ, რომ მოსარჩელის უფლება საკომლო ჩანაწერის მიხედვით დადასტურებულიყო, უარყოფილ იქნა. აქ გასათვალისწინებელია საქმეზე არსებული სხვა სამართლებრივი გარემოებები, თუმცა მოცემულობა, რომ კომლის მესაკუთრეთა განსაკუთრებული საჭიროებები მივიწყებულია, ნამდვილად ცხადი და აღქმადია. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვამდე და შემდგომ, საკომლო წიგნის მიხედვით, კომლის საკუთრება მოსარჩელის სახელზე იყო აღრიცხული, თუმცა საჯარო რეესტრის მიერ საბუთების ჩაბარებაზე „ზეპირსიტყვიერი“ უარით და სადავო ნორმაზე მითითებით, უგულებელყოფილ იქნა კომლის წევრის განსაკუთრებული საჭიროება. მსგავსი მოთხოვნა საჯარო რეესტრისთვის საქართველოს მოქალაქეს რომ წარედგინა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ

⁵⁴ შეად. Authors, Real Property Cadastre in Baltic Countries (Estonian University of Life Sciences, Latvia University of Agriculture, Aleksandras Stulginskis University 2012) 151-153.

⁵⁵ იხ. კონსტიტუციური სარჩელი №1267.

⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №3/10/1267,1268 „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2018 წლის 19 ოქტომბერი.

⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №3/10/1267,1268 „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2018 წლის 7 დეკემბერი.

რეესტრი „გეპირსიტყვიერ“ უარს განაცხადებდა. მაშინ, როდესაც კომლის რეგულირებასთან დაკავშირებული ნორმები წლების განმავლობაში უცვლელია, უცნაურია საჯარო რეესტრის მიერ არათანაბარი მოპყრობის გამართლების კონსტიტუციური საფუძვლებიც კი.⁵⁸

აღსანიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების - ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის, მაია კოპალეიშვილის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილებაზე, სადაც სადავო ნორმის არაერთგვაროვანი განმარტების მაგალითად მოხმობილ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩუქების ხელშეკრულების ბათილობის შესახებ.⁵⁹ ჩუქების ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა კომლის საკუთრება [ქონება], რომელიც გამჩუქებლის მიერ ერთპიროვნულად განიკარგა კომლის სხვა წევრების უფლებრივი ინტერესის საზიანოდ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების აზრით, ამ შემთხვევაში „სასამართლომ ჩათვალა, რომ არაკეთილსინდისიერი გარიგება, რომელიც ოჯახის წევრებს შორის იყო დადებული, მოცემულ შემთხვევაში, არღვევდა 54-ე მუხლით გათვალისწინებულ საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმებს. თუმცა, სასამართლოს არ განუმარტავს „საჯარო წესრიგისა“ და „ზნეობის“ ნორმების შინაარსი. ასევე უცნობია, მოცემულ შემთხვევაში, „საჯარო წესრიგი“ და „ზნეობა“ იდენტური შინაარსით უნდა იქნეს თუ არა გაგებული.“⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების გამოხმაურება თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობაზე განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, რომელიც ემსახურება კომლის მესაკუთრეების განსაკუთრებული საჭიროებების გამოკვეთასა და შეფასებას.

კიდევ ერთ კონსტიტუციურ სარჩელში საქმეზე „არჩილ ფულარიანი ქალაქ ბაღდათის გამგეობის წინააღმდეგ“ მოსარჩელემ მიუთითა, რომ ბაღდათის საკრებულო არ იყო უფლებამოსილი, საკუთრებაში გადაეცა ფიზიკური პირისთვის „ბაღდათის კინოს“ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი, რადგან აღნიშნული ფიზიკური პირი არ იყო

⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ევა გოცირიძის, მერაბ ტურავას და მანანა კობახიძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2018 წლის 7 დეკემბრის №3/10/1267,1268 განჩინებასთან დაკავშირებით. პარაგრაფი 2.1.

⁵⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/3321-14, 2015 წლის 8 აპრილი.

⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების - ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის, მაია კოპალეიშვილის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილებაზე. პარაგრაფი 89.

კომლად რეგისტრირებული და არ ფლობდა მიწის ნაკვეთს კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებში. საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად №1431 კონსტიტუციური სარჩელი („არჩილ ფულარიანი ქალაქ ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ“).⁶¹ განჩინებაში არ ასახულა რაიმე დათქმა ან მსჯელობა კომლის საკუთრების შესახებ [არ მომხდარა საკომლო ჩანაწერის ნამდვილობის გამოკვლევა], არამედ საკითხი კომლის აღნიშვნის გარეშე დაუკავშირდა მიწის რეფორმის მიმდინარეობას.⁶²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო კონსტიტუციური სარჩელი №1454 („ქეთევან ლაპიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).⁶³ კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნული პრობლემები შეეხებოდა: ა) კომლის უკანასკნელი წევრის გარდაცვალების საკითხს, ბ) კომლის არაწევრი, თუმცა კომლის უკანასკნელი წევრის სხვადასხვა რიგის მემკვიდრის მიერ კომლის საკუთრების მიღების შესაძლებლობას, გ) სამკვიდროს მიღების ვადებს, რიგითობასა და ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების გამოწვევებს.

ჩნდება წარმოდგენა, რომ სასამართლო თავს არიდებს კომლის საკუთრების პრობლემების განხილვას იმ მასშტაბით, რაც აუცილებელია კომლის მესაკუთრეთა უფლებების დასაცავად. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოების ფუნქციებს ვერ განახორციელებს, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში მსგავსი შინაარსის სხვა კონსტიტუციურ სარჩელებზე გაცემული უარი შემაშფოთებელია. ამ შეხედულებით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, არათუ კომლის მესაკუთრეთა განსაკუთრებული საჭიროებები,⁶⁴ არამედ ყველა იმ პირთა საკუთრების უფლება, რომელიც უგულებელყოფილია ნორმის ერთგვარი ინტერპრეტაციით.⁶⁵

კომლის მესაკუთრეთა უფლებების შეზღუდვა იძენს უკონტროლო ხასიათს და ვნებს საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციურ

⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №1/7/1431 „არჩილ ფულარიანი ქალაქ ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ“, 2020 წლის 30 აპრილი.

⁶² შეად. საკითხის სამოქალაქო საპროცესო ბუნების განსაზღვრისთვის: ეკატერინე გასიტაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის კომენტარი წიგნში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი – რჩეული მუხლები (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება 2020), 181–182.

⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №1/11/1454 „ქეთევან ლაპიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2020 წლის 30 აპრილი.

⁶⁴ კონსტიტუციური სარჩელი №1455 (გოგი გვიდიანი, ბადრი გვიდიანი, ბიძინა გვიდიანი და ჯამლათ გვიდიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).

⁶⁵ შეად. ნიკა არევაძე, „სოციალური სახელმწიფოს პრინციპი: საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სოციალურ საკითხებზე“ (2021) 2 საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი 188–189.

უფლებებს. კანონმდებლის მიერ ისე ხდება მიწის სამართლის საკითხთან დაკავშირებული კანონმდებლობის ცვლილება, რომ საერთოდ არ არის გათვალისწინებული კომლის მესაკუთრეთა უფლებები. მაგალითად, №1627 კონსტიტუციურ სარჩელში საუბარია იმ საკანონმდებლო ცვლილების შესახებ, რომელმაც არამართლზომიერად შეზღუდა კომლის წევრთა უფლებები, რადგან „2021 წლის 1 იანვრიდან, განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებამ გამოიწვია აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციების გაუქმება და სახელმწიფო ტყე, უკვე აღარ ექვემდებარება პრივატიზებას, გარდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემის შემთხვევისა.“⁶⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს, რომ კანონმდებელი, მარეგისტრირებელი ორგანო და სასამართლოები არ არიან მზად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ მიწის საკუთრების საკითხის დასარეგულირებლად, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი სწორედ საკომლო ჩანაწერია. ეს იმ ფონზე, როდესაც საქართველოს იმ ტერიტორიაზე, სადაც სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება, მიმდინარეობს კომლის მესაკუთრეთა წინააღმდეგ ინსტიტუციური გალაშქრება და კომლის სამართლებრივი ფორმის აღმოფხვრის მიზანმიმართული მცდელობა, ცნებათა დამახინჯებით, ნორმის არასწორი ინტერპრეტაციით და უფლებრივად შემზღუდველი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებით.

V. ლიეტუვის მიწის რეგისტრაციის რეფორმა და კერძო საკუთრების აღდგენის კონსეფცია

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ლიეტუვის სახელმწიფომ შეძლო ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და, მთელ ტერიტორიაზე, კონსტიტუციური წესწყობილების დამყარება.⁶⁷ კანონმდებლის თავდაპირველი ჩანაფიქრი ისტორიული სამართლიანობის აღდგენას გულისხმობდა, რადგან ლიეტუვის დამოუკიდებლობის ისტორია, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, აერთიანებდა კერძო საკუთრების კონსტიტუციურ

⁶⁶ კონსტიტუციური სარჩელი №1627 (საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).

⁶⁷ Claes Levinsson, 'The Long Shadow of History: Post-Soviet Border Disputes-The Case of Estonia, Latvia, and Russia' (2006) 5(2) Journal of Partnership for Peace Consortium of Defense Academies and Security Studies Institutes Connections 98.

მნიშვნელობას და საკუთრების უფლების დოკუმენტურ სინამდვილეს,⁶⁸ თუმცა ახალ რეალობაში საკუთრების ფორმის აღდგენას არ უნდა გამოეწვია პოსტ-საბჭოთა სოციალისტური საკუთრების შემადგენლობის/ქონების განადგურება. ფორმის მისადაგებით, კანონმდებელმა დაიცვა სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის ქონება და მხოლოდ მის ნაწილზე გაავრცელა ფიზიკურ პირთა კერძო ინტერესი. ლიეტუვის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს აგროკულტურული დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაწილი ადრე ფიზიკურ პირთა უშუალო მფლობელობაში იყო, ხოლო დიდი ნაწილი – საკოლმეურნეო გაერთიანებაში.

საკანონმდებლო დონეზე განსახორციელებელი მოქმედებები წინასწარ დაიგეგმა, რათა წინმსწრებად რომელიმე რეგულირების შემოღებას მოქალაქეთა უფლებები არ შეეზღუდა.⁶⁹ კანონმდებლის უმთავრესი ამოცანა აგროკულტურული მეურნეობების შენარჩუნება და სოციალისტური ფორმის სამართლებრივი გარდაქმნა იყო. დამოუკიდებლობის პირველ წლებში ყველაზე მეტად იგრძნობოდა კონტროლის აუსცილებლობა, რადგან მოქალაქეთა უფლებრივი თვითგამორკვევა, ჯერ კიდევ, არ იყო დასრულებული. ამ პროცესში სახელმწიფოს განვითარებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საკუთრებები ისე უნდა გარდაქმნილიყო, რომ ახალ მესაკუთრეებს გაეგრძელებინათ საწარმოს ან სხვა ობიექტების ფუნქციონირება.

ლიეტუვის კონსტიტუციით, დადგინდა საკუთრების უფლების ნორმატიული ცნებები⁷⁰ და ამ ცნებათა განმარტებისთვის ჩამოყალიბდა უფრო მეტად კონკრეტული დათქმები სხვადასხვა აქტში. სახელმწიფომ მაქსიმალურად შეზღუდა დროში, პირველი, უფლებაში უპირატესი პრინციპის მოქმედება და უფლებრივი თანაბრობის პრინციპს დაუჭირა მხარი. მართალია, აგროკულტურული მეურნეობები და საწარმოები სამართლებრივი გარდაქმნის მოლოდინში დროებით აჩერებდნენ ფუნქციონირებას, თუმცა მათი ქონება ახალი მესაკუთრის გამოჩენამდე არ მიტაცებულა და დასაქმებული პირები აგრძელებდნენ ქონების მოვლას.⁷¹ საკუთრების აღდგენის კონცეფცია დაეფუძნა მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ქრონოლოგიურ განხილვას, შემდგომში: პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური ნიშნის მქონე განსაზღვრებებს.

⁶⁸ Vytautas Pakalniškis, 'The Doctrine of Property Law and the Civil Code of the Republic of Lithuania' (2004) 42(50) Jurisprudencija 56-57.

⁶⁹ Valentinas Mikelenas, National Report: Lithuania (Supreme Court of Lithuania 2008) 3-4.

⁷⁰ Article 23, Constitution of the Republic of Lithuania. 25 October, 1992.

⁷¹ William Valetta, Completing the Transition: Lithuania Nears the End of Its Land Restitution and Reform Programme (Fao Legal Papers №11, 2000) 1-8.

ცხადია, სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული ახალი სამართლებრივი ფორმა ეკონომიკური მნიშვნელობის შინაარსს მოიცავდა, რადგან ის პროდუქცია, რომელიც გარდაქმნილ საწარმოებს უნდა მიეღოთ, შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო იმ ბაზრის სტანდარტებთან, რომლებიც მის რეალიზაციას განახორციელებდნენ. სახელმწიფომ მხარი დაუჭირა მოქალაქეებისა და მოქალაქეთა გაერთიანების ინიციატივებს შესაბამისი ვალდებულებით მიეღოთ საკოლმეურნეო მიწები და საწარმოები.⁷² საკოლმეურნეო მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრებაში გადაცემით, მიწის ნაკვეთი ინარჩუნებდა აგროკულტურულ მნიშვნელობას. ამიტომ, ევროპულ გაერთიანებებში განწევრიანების სწრაფვას ხელი შეუწყო ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების ფართო დისკრეციამ მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც მოსახლეობის კეთილდღეობისა და კეთილგანწყობილების ხარისხზეც აისახა.

სამართლებრივი ფორმის გარდაქმნის წარმატება ისტორიული სინამდვილით იყო გამოწვეული, რადგან ამ გარდაქმნით, აღნიშნული ქონება, გარკვეულწილად, მეორე მსოფლიო ომამდე არსებულ სამართლებრივ რეჟიმს დაუბრუნდა და სოციალისტური საკუთრების ფორმა არასდროს ყოფილა მესაკუთრეთა უფლებრივი მდგომარეობის პირველწყარო.⁷³ სამართლებრივი ფორმის გარდაქმნის პროცესში სოციალისტური საკუთრება იყო პროცესის ნაწილი, რომლის შემადგენელი ქონება და ღირებულება არ შემცირებულა, არამედ გადაიქცა სამოქალაქო ბრუნვის საგნად.

ლიეტუვის მიწის რეგისტრაციის რეფორმა არასდროს დასცილებია საკუთრების უფლების კონსტიტუციურ სფეროს და წარმოადგენდა ამ უფლების უზრუნველყოფის გარანტიას.⁷⁴ სამოქალაქო ბრუნვაში აღმოჩენილი მიწის ნაკვეთების ფუნქციური დატვირთვა მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა. შესაბამისად, რეფორმა მიმდინარეობდა საერთო შინაარსით, თუმცა დროის სხვადასხვა მონაკვეთში. ამ ფორმით, ყოველი შემდგომი პირი, რომელიც იძენდა მმართველობით უფლებამოსილებას, აგრძელებდა წარსულში დაწყებულ რეფორმას ისე, რომ არ ცვლიდა რეფორმის შინაარსს და ძირითად მიზნებს. რის გამოც საკადრო ცვლილებები უარყოფითად არ აისახა მოქალაქეთა უფლებრივ მდგომარეობაზე. მოქალაქეებს შეეძლოთ, მფლობელობაში ჰქონოდათ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთები იქამდე, სანამ სახელმწიფო არ

⁷² World Data Atlas, 'Lithuania - Agricultural Area Organic' <<https://knoema.com/atlas/Lithuania/topics/Land-Use>> [14.07.2022].

⁷³ Jolanta Valčiukienė and others, 'Changes of Land Users in Interwar Lithuania' (2015) 2 Journal Baltic Surveying 2, 13.

⁷⁴ Giedre Leimontaite, Land Consolidation in Lithuania (Fao Legal Papers 2006) 1-3.

უმრუნველყოფდა ეფექტური სარეგისტრაციო პოლიტიკის შემუშავებას.⁷⁵

ეკონომიკური მნიშვნელობის გაძლიერებით სამართლებრივი ფორმის ჩამოყალიბებას საზოგადო ინტერესი დაუკავშირდა, რომელიც არ ყოფილა კერძო მესაკუთრული ინტერესის მსგავსი მოვლენა და იგი მიზნად არ ისახავდა სახელმწიფო ქონების მიტაცებას. სახელმწიფოს კეთილ ნებას, აღედგინა საკუთრების ფორმები სამოქალაქო სამართალში, გარკვეული დრო დასჭირდა იმისთვის, რომ ლიეტუვის სამოქალაქო კოდექსში ფუძემდებლური ნორმების დამკვიდრებიდან სარეგისტრაციო პროცესამდე საკითხის ეკონომიკური დანიშნულება არ შეცვლილიყო.⁷⁶ აღნიშნული წარმოადგენდა ერთგვარ მოწოდებას საკუთრება ეკონომიკური განვითარებისთვის და არ ატარებდა მხოლოდ საკუთრების გადაცემის ვიწრო მიზანს. მიწის შესახებ მიღებული ნორმატიული აქტები სახელმწიფოს კონსტიტუციური ჩანაწერისა და სამოქალაქო კოდექსის დანაწესის პრაქტიკული განხორციელების საშუალებებს ადგენდა. თავიდანვე სწორად შემუშავებულმა სტრატეგიამ განაპირობა მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის სისტემატიზაცია და გადაჯგუფება ახალ სამართლებრივ რეალობასთან მიმართებით.⁷⁷ სახელმწიფომ ადრეულად დაიწყო საკადასტრო აზომვითი მონაცემების სრულყოფა.⁷⁸

კანონმდებლის ჩანაფიქრის განხორციელებას ხელი შეუწყო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არსებითად თანაბარმნიშვნელოვანი პრაქტიკის განვითარებამ,⁷⁹ ცნებათა განმარტება მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის მხარდაჭერას დაუკავშირდა. საკონსტიტუციო სასამართლომ ობიექტურად განმარტა მიზეზშედეგობრივი კავშირი ძველსა და ახალ რეგულირებას შორის.⁸⁰ შეფასების საგანს წარმოადგენდა არა მხოლოდ საკუთრების უფლება, არამედ მიწის რეფორმის მიმდინარეობა დროის სხვადასხვა მონაკვეთში და მისი კონსტიტუციურობა. განვიხილოთ რამდენიმე გადამწყვეტილება.

⁷⁵ Authors, Spatiotemporal Patterns of Land-Use Changes in Lithuania (2021) <<https://www.mdpi.com/2073-445X/10/6/619/htm>> [14.07.2022].

⁷⁶ William Valletta, 'The Hesitant Privatization of Lithuanian Land' (1994) 18(1) Fordham International Law Journal 214-217.

⁷⁷ Petruyte, 'Elements of Land Cadastre in Lithuania' (1998) 24(1) Geodesy and Cartography 37; Real Property Law and Procedure in the European Union General Report Final Version (European University Institute (EUI) Florence/European Private Law Forum Deutsches Notarinstitut 2005) 9.

⁷⁸ Aniceta Šapoliene, Agricultural Surveys and Censuses in Lithuania (Statistics Lithuania) 2-5 <<http://www.stats.gov.cn/english/icas/papers/P020071114297505163007.pdf>> [14.07.2022].

⁷⁹ Irmantas Jarukaitis, Lithuanian Experience in the Field of Restoration of Property Rights to Former Owners (Round Table Organised with Financial Support from the Human Rights Trust Fund) 2.

⁸⁰ Egidijus Jarašiūnas, Ernestas Spruogis, Problems of Legislative Omission in Constitutional Jurisprudence (The Constitutional Court of the Republic of Lithuania, Prepared for the XIVth Congress of the Conference of European Constitutional Courts 2007) 25.

1994 წლის 27 მაისის №12/93 გადაწყვეტილებით⁸¹ დადგინდა სახელმწიფო საკუთრების ფიქცია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. კერძო საკუთრება, რომელიც მოქალაქეებს 1940 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების მიერ უკანონოდ ჩამოერთვათ, ლიეტუვის დამოუკიდებლობისთანავე მიჩნეულ იქნა სახელმწიფოს მიერ პირობით კონტროლირებად და დე-ფაქტო საკუთრებად იქამდე, სანამ ამ ქონებაზე არ აღდგებოდა კერძო მესაკუთრის უფლება, შესაბამისი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე. სასამართლომ განსაზღვრა საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული მოქმედებების უარყოფითი შედეგები კერძო მესაკუთრეთა უფლებრივი შეზღუდვის ტრილში, მათ შორის, იძულებითი კოლექტივიზაციისა და ჩამორთმეული საკუთრების სხვა დანიშნულებით გამოყენების მიზნით.

გადაწყვეტილებამ წარმოშვა შეკითხვები კერძო საკუთრების აღდგენის კონცეფციის სრული და ნაწილობრივი ხასიათის შესახებ. თავიდანვე ცალსახა იყო, რომ საკუთრების ფორმათა სრულად აღდგენა ვერ განხორციელდებოდა, რადგან 1940 წლიდან, დამოუკიდებლობის აღდგენამდე, მოქალაქეთათვის ჩამორთმეული კერძო საკუთრების მახასიათებლები შეიცვალა ან სრულად განადგურდა მათი ნაწილი და გაერთიანდა საკუთრების სხვა ფორმაში, რომლის ფუნქციონირების მოშლა სახელმწიფოსა და მოქალაქეთა იმჟამინდელ კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახებოდა.

ქართულ რეალობას თუ შევადარებთ, ჩვენს შემთხვევაში ბალანსის დაცვა არ მომხდარა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების გადასვლა მოქალაქეთა კერძო საკუთრებაში, ხშირად საკუთრების მიტაცების ფორმას იღებდა, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებამ, საქართველოს მოქალაქეებს საშუალება მისცა, ეკონომიკურად გაძლიერებულიყვნენ იმ თვალსაზრისით, რომ საკუთრებაში მიეღოთ გარკვეული ფართობისა და დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რათა გამოეყენებინათ აღნიშნული სურვილისამებრ ან ექციათ იგი სამოქალაქო ბრუნვაში მიქცეულ ხელშეკრულების საგნად.

1994 წლის 15 ივნისის №11-1993/9-1994 და 1994 წლის 19 ოქტომბრის №10/1994 გადაწყვეტილებებში⁸² აღინიშნა, რომ საკუთრების აღდგენა იყო ნაწილობრივი და არა სრული, რაც გულისხმობდა მოქალაქეთა

⁸¹ Constitutional Court of the Republic of Lithuania, Case No. 12/93, 27 May 1994 Ruling on the Restoration of Ownership Rights to Land.

⁸² Constitutional Court of the Republic of Lithuania, Case No. 11-1993/9-1994, 15 June 1994 Ruling on the Restoration of Citizens' Ownership Rights to Residential Houses. Constitutional Court of the Republic of Lithuania, Case No. 10/1994, 19 October 1994 Ruling on the Restoration of the Ownership Rights to Residential Houses.

მიმართვის დახარისხებასა და შეფასებას კერძო საკუთრების აღდგენის დასაშვებობის ნაწილში. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა ლიეტუვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლები საკუთრების აღდგენის საკითხისთვის, კონკრეტულად კი, 1991 წლისთვის სახელმწიფო ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი 1940 წელს, ოკუპაციის შედეგად ჩამორთმეული კერძო საკუთრებების სრულად აღდგენასა და თავდაპირველი მესაკუთრეებისთვის გადაცემის უზრუნველყოფაზე. პასუხისმგებლობის საკითხისა და ბალანსის დაცვის აუცილებლობის განმარტებამ შეაჩერა მოქალაქეთა დაპირისპირების საფრთხეები. 1991 წლისთვის გარკვეულ მუნიციპალიტეტებში აგროკულტურული დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთების ფართობი და გადანაწილება 1940 წელთან შედარებით რადიკალურად იყო შეცვლილი, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებში ცვლილება არ შეინიშნებოდა. შესაბამისად, მიწის რეფორმა და საკუთრების აღდგენის კონცეფცია ამ მუნიციპალიტეტებში განსხვავებული სიხშირით განხორციელდა, თუმცა ფორმატი მთელი ქვეყნის მასშტაბით იყო საერთო.

ქართულ რეალობაში მოქალაქეთა შორის დაპირისპირების შედეგები დღემდე აღიქმება როგორც მწვავე კონფლიქტი, რადგან ჩამოყალიბდა ისეთი მოვლენა, როგორცაა მიწის ნაკვეთთა ზედდება. ეს პრობლემა მხოლოდ საამომავლო საკითხის სისრულის ნაკლს არ მიემართება. ცალსახაა, რომ მოქალაქეები გარკვეული მიზნით, მაინც ცდილობენ, ამ შესაძლებლობის გამოყენებით შთანთქან საზღვრები და მომიჯნავე ტერიტორიები სრულად ან ნაწილობრივ. ამიტომ მუნიციპალიტეტების მიხედვით, მიწის ნაკვეთების გადანაწილების შედარება, სხვადასხვა წლების მიხედვით, დღემდე პრობლემურია.⁸³ თუ ლიეტუვაში შესადარებელი წლები 1940 წლის საწყისითა და 1991 წლით სასრულით განისაზღვრებოდა, ქართულ რეალობაში ეს პერსპექტივა ჯერ კიდევ 1921 წლიდან აითვლება, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების მიერ იძულებით ჩამორთმეული საკუთრებების შეფასება არათანაბრად, მიკერძოებულად ან საერთოდ არ ხორციელდება. საამომავლო საკითხთან მიმართებით შეინიშნება კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და მათი მიკერძოებულობა იმ პირის მიმართ, ვინც სარგებლობს ამ მომსახურებით. ნოტარიუსის მომეტებული ფორმალიზმი კი სანოტარო მედიაციას უუნარო პროცესად აქცევს. კიდევ ერთ გადაწყვეტილებაში⁸⁴ სასამართლომ განსაზღვრა მოქალაქეობის საკითხის მიმართება კერძო საკუთრების

⁸³ გიორგი გოგიაშვილი, „კონსტიტუცია და სამოქალაქო სამართალი: რამდენად ექვემდებარება კერძო სამართალი საკონსტიტუციო კონტროლს?“ (2019) 2(62) მართლმსაჯულება და კანონი 21-22.

⁸⁴ Constitutional Court of the Republic of Lithuania, Case No. 40/03; 45/03-36/04, 13 March 2013 Ruling on the Interpretation of the Provisions of the Constitutional Court's Rulings of 30 December 2003 and 13 November 2006 Related to Citizenship Issues.

აღდგენის პროცესში მონაწილეობისთვის. ეს დათქმა მნიშვნელოვანია, რადგან 1940 წლიდან 1991 წლამდე და შემდგომ, ლიეტუვასთან შემხებლობა მრავალ მოქალაქესა თუ წარსულში მოქალაქეობის მქონე პირს გააჩნდა.

2021 წლის 28 სექტემბრის №2-A/2021 გადაწყვეტილებიდან⁸⁵ ირკვევა, რომ საკუთრების აღდგენის კონცეფციასთან ერთად, შემუშავდა აგროკულტურული მნიშვნელობის მქონე მიწის ნაკვეთების მართვის სტრატეგია, როგორც სარეგისტრაციო, ისე აგრალური დანიშნულების შენარჩუნების თვალსაზრისით. ქართულ რეალობაში, რეესტრი ფორმალურად ახორციელებს დანიშნულების მითითებას, თუმცა არავინ იკვლევს მიწის ნაკვეთის აგროკულტურულ მნიშვნელობას,⁸⁶ რისკებსა⁸⁷ და საფრთხეებს ნაკვეთის მოსავლიანობასთან ან დანიშნულების შეცვლასთან დაკავშირებით.⁸⁸ კომლის ფუნქციონირება წარსულში კი, სწორედ მასში შემავალი მიწის ნაკვეთის მოსავლიანობას / სამეურნეო დამუშავებას ეფუძნებოდა.⁸⁹

VI. მედიაცია კომლის მისაკუთრება უფლების დაცვის საკითხისთვის

კომლის მისაკუთრება უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებად მედიაცია რომ მივიჩნიოთ, კანონმდებლის მიერ უნდა შემუშავდეს მედიაციის შესაბამისი გარემოს შერჩევისა და რთულ სოციალურ ურთიერთობათა [კონფლიქტის] სამართლებრივი გადაწყვეტის სტრატეგია,⁹⁰ რათა შემდგომში დაიწყოს ფართო მასშტაბიანი მიზნობრივი სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება მუნიციპალიტეტების მიხედვით,⁹¹ სადაც კომლის საკუთ-

⁸⁵ Constitutional Court of the Republic of Lithuania, Case No. 2-A/2021, 28 September 2021 Ruling on the Legal Remedy for the Protection of the Pre-emption Right to Acquire Private Agricultural Land.

⁸⁶ არკადიუს ვუდარსკი და ლადო სირდაძე, „რეესტრების ჯუნგლები 21-ე საუკუნეში“ (2020) 6 შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 25-27.

⁸⁷ დამატებით იხ. ქეთევან კვინიკაძე, „უძრავ ქონებაზე საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენისას ყოფილი და ახალი მესაკუთრის ინტერესთა კონფლიქტი“ (2015) 5(48) მართლმსაჯულება და კანონი 75-76.

⁸⁸ შეად. თამარ ხავთასი, „საკუთრების უფლება საგანგებო მდგომარეობის დროს“ (2020) 1 საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი სპეციალური გამოცემა 137-138.

⁸⁹ დამატებით იხ. თენგიზ ურუშაძე და სხვები, ნიადაგმცოდნეობა (გამომცემლობა: „მოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ 2011) 86.

⁹⁰ შეად. ირაკლი ყანდაშვილი, „მედიაცია - ნოვატია ქართულ სამართლებრივ სივრცეში და ადამიანის უფლებათა რეალიზაციის ეფექტური მექანიზმი“ (2022) 2 იუსტიცია 101-102.

⁹¹ ხუბუა, ყალიჩავა, supra სქოლიო 34, 233-239; ეკატერინე ნინუა, „მიწის რეფორმის ზოგიერთი სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები“ (2015) კონფერენციის მოხსენებათა კრებული: თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები 2-5.

რეგები ჯერ კიდევ დაურეგისტრირებელია და მხარეთა შორის არსებობს დავა ან სადავო ურთიერთობის ჩამოყალიბების საფრთხე.⁹²

მედიაციის მნიშვნელობა აქტუალურია მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის უდავო წარმოებით დადგენის პროცესში,⁹³ მათ შორის, საგულისხმოა კომლის წევრი და არაწევრი მემკვიდრეების საკუთრების უფლების დაცვა მედიაციის საშუალებით. ორმხრივი და მრავალმხრივი ინტერესის მქონე შეთანხმების მისაღწევად შესაძლებელია, კრიტიკულად შეფასდეს საკომლო საარქივო ცნობის ისტორიული, სოციალური და სამართლებრივი ფუნქცია მიწის სისტემური რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ახალი ეტაპის განხორციელების პროცესში. მხარეთა დავის შემთხვევაში, მედიაცია სასურველია, რომ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წევრთა რეესტრში რეგისტრირებულმა მედიატორმა წარმართოს და არა ნოტარიუსმა, რომელსაც შესაძლოა, გაუჭირდეს მედიაციის პრინციპების და ნორმების მისადაგება რთულ სამართლებრივ შემთხვევასთან.⁹⁴ სანოტარო მედიაციის სავალდებულო ფორმით გამოყენება ადასტურებს,⁹⁵ რომ ნოტარიუსები, როგორც წესი, ვერ არეგულირებენ ისეთ შემთხვევებს, როცა კომლის მესაკუთრეები სხვადასხვა მოთხოვნით უპირისპირდებიან ერთმანეთს და შემდგომში სამედიაციო საქმე სასამართლოს გადაეცემა.⁹⁶ მედიატორი ნოტარიუსის მოქმედებები განპირობებულია პასუხისმგებლობის დადგომის არაჯეროვანი წინასწარგანწყობით,⁹⁷ რის გამოც სანოტარო მედიაცია მკაცრად ფორმალიზებული და უშედეგოა.⁹⁸

მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდნენ საკუთრების უფლების ადრესატები, კომლის წევრი ან არაწევრი პირის ნიშნით, რომელთაც უნდა ისარგებლონ

⁹² საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდი, „დაირეგისტრირე მიწა მარტივად და გახდი მესაკუთრე“ <<https://napr.gov.ge/p/1579>> [14.07.2022].

⁹³ შეად. გიორგი ხუბუა და ლადო სირდაძე, „სამართლის ტექნოლოგიები (ლიგალტექი) საქართველოში, მათი გამოყენება კერძო კომპანიებსა და საჯარო უწყებებში“ (2022) 7 შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9-10.

⁹⁴ შეად. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს დემოკრატიული განვითარების სოციალურ-დემოკრატიული და საოჯახო პოლიტიკა (გამომცემლობა „პოლიგრაფი“ 2010) 48.

⁹⁵ მუხლი 18, საქართველოს კანონი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“. 3 ივნისი, 2016. სსმ, 17/06/2016.

⁹⁶ ნინო ხარბიტონაშვილი, „მედიაცია ქართულ ნოტარიატში“ (2019) დავის ალტერნატიული გადაწყვეტა 2018-2019 სპეციალური გამოცემა 21; რიხარდ ბოკი, „გერმანული ნოტარიატის სისტემა“ (2020) 8 შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 6-8.

⁹⁷ მუხლი 4, საქართველოს იუსტიციის მინისტრის №71-ე ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. 31 მარტი, 2010. სსმ, 33, 31/03/2010.

⁹⁸ შეად. ირაკლი ლეონიძე და მარიამ ნუცუბიძე, „სანოტარო მედიაციის ინსტიტუტის თავისებურება ქართულ სამართალში და მისი განვითარების პერსპექტივა“ (2019) დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, 2018-2019 სპეციალური გამოცემა 82.

მედიაციით ან საჭიროებენ დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტას. ესენი არიან:

- კომლის ცოცხლად დარჩენილი ბოლო წევრი;
- კომლის წევრი კანონისმიერი მემკვიდრე;
- კომლის წევრი ანდერძისმიერი მემკვიდრე;
- კომლის წევრი სამემკვიდრეო სტატუსის არმქონე პირი;
- კომლის არაწევრი კანონისმიერი მემკვიდრე;
- კომლის არაწევრი ანდერძისმიერი მემკვიდრე;
- კომლის არაწევრი სამემკვიდრეო სტატუსის არმქონე პირი.

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმა-საშუალებების კლასიფიკაციისთვის შესაძლებელია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მისადაგება.⁹⁹ მედიაციის უპირატესობა, დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმებთან შედარებით, გულისხმობს კომლის რეგულირებასთან დაკავშირებულ სადავო-სამართლებრივ საკითხთა გადაწყვეტის ახლებურ მოდელს, რომლის სიახლე ქართულ სამართალში სამედიაციო კანონმდებლობისა და პრაქტიკის დამკვიდრებაში გამოიხატება. მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში კი მედიაცია უკვე მიიჩნევა შედარებით უპირატესად დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმთა შორის.¹⁰⁰

დროსა და სივრცეში დაკარგული კომლის მესაკუთრეების ან მათი მემკვიდრეების რეალობაში დასაბრუნებლად მედიაცია უალტერნატივოა. შესაბამისად, მოდავე მხარეთა შორის დამოკიდებულების გაუარესების სოციალური მოვლენის ფარგლებში ურთიერთობის ხასიათის შესწავლასთან ერთად, იურიდიული შედეგების გარკვევის საკითხი ყოველთვის არ გულისხმობს სოციუმში დამკვიდრებული ნორმების უარყოფას და, დაუსაბუთებელი მოთხოვნების წამოყენებით, მდგომარეობის დამძიმებას.¹⁰¹ მედიაციის საშუალებით მხარეთა თვითგამორკვევა, ხშირად, მხარეთათვის საკითხში გარკვევის მიზანსაც ისახავს.¹⁰²

⁹⁹ იხ. საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ვებგვერდი, „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ 2021 წლის სექტემბერ - დეკემბრის აქტივობების შესახებ საინფორმაციო ბიულეტენი“ <<https://mediators.ge/ka/article/sainformacio-biuleteni/329>> [14.07.2022].

¹⁰⁰ ნათია ჩიტაშვილი, „ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა“ (2016) 2 სამართლის ჟურნალი 29.

¹⁰¹ შეად. ქეთევან ქოჩაშვილი, მფლობელობა, როგორც საკუთრების პრეზუმფციის საფუძველი (თსუ-ის გამომცემლობა, 2012) 86.

¹⁰² მიხეილ ბიჭია, „მედიაციის გამოყენების მნიშვნელობა ბიზნესდავებში პანდემიის დროს“ (2021) 3 სამართლის მაცნე 14-15; ალექსანდრე წულაძე, სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში (თსუ-ის გამომცემლობა, 2016) 15-16.

მედიაცია დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმების სრულყოფის საშუალებაა. ამითაა საინტერესო კომლის რეგულირების შემთხვევა, რომლის მიმართ დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმის წარმართველი პირები ეფექტური წარმოების სტანდარტს ვერ ან არ ამკვიდრებენ,¹⁰³ ხოლო მედიაციის ინსტიტუტის ფუნქციონირებით და სამედიაციო უფლებამოსილებათა შეთავსებითა თუ გაზიარებით, შესაძლებელი გახდა მოქალაქეზე ორიენტირებული მმართველობითი და საორგანიზაციო წარმოების დამკვიდრება.

VII. დასკვნა

ათწლეულების განმავლობაში, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო კომლის საკუთრების ეფექტიანი რეგულირება. კომლის მესაკუთრეების უფლებების დასაცავად საკმარისი არ აღმოჩნდა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ამ საკითხის განხილვა უპერსპექტივოდ წარიმართა. სწორედ ამიტომ არის ეს საკითხი გამოწვევა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, რომელსაც ჯერ კიდევ 2005 წელს ჰქონდა შესაძლებლობა, დაეფიქსირებინა მკაფიო შეხედულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის ნაკლოვანებასთან დაკავშირებით. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა დროსა და სივრცეში დაკარგული კომლის საკუთრების სისტემური მიმოხილვა. კვლევის შედეგად დადგინდა კომლის საკუთრებასთან დაკავშირებული რთული სამართლებრივი შემთხვევების სწორი შეფასებისა და სამართლიანი გადაწყვეტის აუცილებლობა საქართველოს მოქალაქეთა საოჯახო და სამემკვიდრეო ურთიერთობების გაჯანსაღებისთვის.

საბოლოოდ, კვლევის საფუძველზე, ჩამოყალიბდა შემდეგი დასკვნები:

1. პრობლემურია კომლის შემადგენლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მართვა, რიცხული ქონების ფართობი, მდებარეობა და ფიზიკურ პირზე რეგისტრაციის საკითხი. გამოწვევები და ნაკლოვანებები რაც თან ახლავს ამ პროცესს, როგორც სახელმწიფოს ისე მოქალაქეთა დაინტერესებისა თუ მოქმედებების თვალსაზრისით ქმნის კომლის მესაკუთრეთა უფლებრივი მდგომარეობის ხელყოფის სოციალურ-სამართლებრივ მდგომარეობას.

¹⁰³ ავტორის შენიშვნა: კანონმდებლის გააქტიურება პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, ცალკეულ შემთხვევაში, განპირობებულია კონკრეტული პრეცედენტით. ამ ფორმით გააქტიურებული კანონმდებელი ნაჩქარევი და გაუთვალისწინებელი სამართლებრივი შედეგის მქონე მოქმედებებით ხასიათდება, რაც გამოიხატება ახალ საკანონმდებლო დღის წესრიგში. დამატებით იხ. ეკატერინე ნინუა, „სამკვიდროს მიღების ზოგიერთი თავისებურებები“ (2018) 2(58) მართლმსაჯულება და კანონი 117-118.

2. სოფლად არსებული სასოფლო-სამეურნეო აგროკულტურა მოიშალა მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფომ კომლი, როგორც შინაარსისა და ფუნქციისგან დაცლილი გარემოება ისე აღიქვა და არა მოქალაქეთა სოციალური თანაცხოვრების საშუალებით ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა.

3. ფაქტი რომ 2022 წლიდან მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო, კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს, თუ რა გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ საქართველოს მოქალაქეები და სახელმწიფო, როცა სიტყვა „მთელი ქვეყანა“, ამ რეფორმის მიზნებისთვის გულისხმობს „საქართველოს 59 მუნიციპალიტეტში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიისა და თვითმმართველი ქალაქებისა: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) საამზომვლო და სარეგისტრაციო საქმიანობების განხორციელებას.“¹⁰⁴ ზოგადად კი, დადებით მოლოდინს თან უნდა ახლდეს რეალური შედეგები და მხარდაჭერის გამოხატვის წინასწარგანწყობა, რათა ეს რეფორმა, ისევე როგორც მისი წინამორბედი, არ გადაიქცეს დაუსრულებელ პროცესად.

4. კანონმდებელს სურს, რომ დროსა და სივრცეში დაკარგული კომლის საკუთრების რეგულირება დაუქვემდებაროს მიწის სისტემური რეგისტრაციის მიმდინარეობას და ამ ფორმით დააკმაყოფილოს კომლის წევრი და არაწევრი მემკვიდრეების, შემდგომში მესაკუთრეთა ინტერესი. სასურველი იქნებოდა, მკაფიოდ აღნიშნულიყო საქართველოს მოქალაქეთა ის პრობლემები, რისი აღმოხვრის მიზანსაც განახორციელებდა ეს რეფორმა წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიულ არეალში. დაჩქარებული რეგისტრაცია არ უნდა იყოს თვითმიზანი, საკითხის არსი მოქალაქეთა საკუთრების უფლების დაცვაში მდგომარეობს და არა რეგისტრაციის ფაქტით მის უგულებელყოფაში.

5. საჯარო რეესტრის, ნოტარიატისა და სასამართლოს ფუნქცია თავის სრულყოფილებას მიაღწევს მაშინ, როდესაც მოქალაქეებს პრობლემის გადასაჭრელად, უპირობოდ, სასამართლო დავა აღარ დასჭირდებათ.¹⁰⁵

¹⁰⁴ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდი, „მიწის სისტემური რეგისტრაცია“ <<https://napr.gov.ge/p/2063>> [14.07.2022].

¹⁰⁵ დამატებით იხ. სუხიტაშვილი, supra სქოლიო 20, 31.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიმოხილვა

აბსტრაქტი

„საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“ აგრძელებს მკითხველთათვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი პრაქტიკის მიმოხილვის შეთავაზებას. მიმდინარე გამოცემისათვის გამოსაქვეყნებლად შეირჩა საკონსტიტუციო სასამართლოს სამი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ჟურნალის რედაქცია იმედს იტოვებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა აამაღლებს სამართლებრივი დისკუსიის დონეს სასამართლოს საქმიანობის მიმართ.

2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება

2021 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“ (კონსტიტუციური წარდგინება №1478).

საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული საკითხი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სადავო ნორმების ნაწილი ადგენდა ბრალდებულის ვალდებულებას, ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე იმ შემთხვევაში თუ სასამართლოში ჩვენების მიცემას გადაწყვეტს. საქმეზე აგრეთვე სადავო იყო საპროცესო ნორმა, რომელიც გამორიცხავდა სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ, მხარეების შეთანხმების გარეშე, კითხვის დასმის შესაძლებლობას.

პირველ დავის საგანთან დაკავშირებით კონსტიტუციური წარდგინების ავტორი მიუთითებდა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, ჩვენების მიცემამდე სავალდებულო ფიცის დადებისა და სიმართლის თქმის ვალდებულების დაკისრების გზით, ბრალდებულს დუმილის უფლებით სარგებლობასა და ცრუ ჩვენების მიცემას შორის არჩევანის წინაშე აყენებდა. კერძოდ, წარდგინების ავტორის პოზიციით, ცრუ ჩვენების მიმართ სსსკ-ით განსაზღვრულ მკაცრ სანქციებს მსუსხავი ეფექტი აქვთ და უბიძგებენ ბრალდებულს, ისარგებლოს დუმილის

უფლებით, როდესაც არჩევანის გაკეთება დანაშაულის აღიარებასა და ცრუ ჩვენების მიცემას შორის უწევს. კონსტიტუციური წარდგინების ავტორი მეორე დავის საგანთან მიმართებით აგრეთვე განმარტავდა, რომ სისხლის სამართლის საქმის თაობაზე შეფასების განმახორციელებელი და საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები პირი მოსამართლეა, რომელიც ადგენს და აფასებს საქმის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს. ამდენად, კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით, მოსამართლეს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, მხარეთა თანხმობისგან დამოუკიდებლად, დაესვა დამაზუსტებელი კითხვები, რომლებიც აუსილებელი იქნებოდა ბუნდოვანების გასაფანტად, კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში, პირველ რიგში, განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტში მოხსენიებული ტერმინი „მოწმე“ მოიაზრებს, მათ შორის, ბრალდებულს, რომელიც საკუთარი თავის დაცვის სასარგებლოდ ჩვენების მიცემას გადაწყვეტს. ამდენად, დაცვის მხარის მიერ მოწმეების გამოძახებისა და დაკითხვის უფლება, მათ შორის, გულისხმობს, ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემას. ამ გზით, ბრალდებულს ეძლევა შესაძლებლობა, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს წინაშე წარადგინოს მოვლენათა განვითარების თავისი ვერსია, გავლენა იქონიოს საქმის მიმდინარეობის პროცესსა და საბოლოო შედეგებზე.

აღნიშნულის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით გარანტირებული თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია დაკავშირებულია ბრალდებულის ნების თავისუფლების პატივისცემასთან, შეინარჩუნოს დუმილის უფლება. შესაბამისად, დასახელებული კონსტიტუციური გარანტია ემსახურება პირისათვის დუმილისა და ჩვენების მიცემის უფლებებს შორის არჩევანის თავისუფლების გარანტირებას. ხსენებული უფლების შეზღუდვას ვერ გამოიწვევს რეგულირება, რომლის ფარგლებშიც არ ხორციელდება პირის ნებელობით ელემენტებზე ზემოქმედება მისგან მტკიცებულების/ჩვენების მოპოვების მიზნით. საკონსტიტუციო სასამართლომ მიმოიხილა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რელევანტური ნორმები და აღნიშნა, რომ ბრალდებული, საკუთარი სტატუსისა და უფლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მოწმეთა სხვა კატეგორიისაგან განსხვავებით, გათავისუფლებულია, მათ შორის, ჩვენების სასამართლოში მიცემის ვალდებულებისაგან. ამდენად, სასამართლოში ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა და იგი თავისუფალი ნების საფუძველზე

განხორციელებულ აქტს წარმოადგენს. ამ მხრივ, ბრალდებულს გააჩნია თავისუფალი არჩევანი – გამოიყენოს დუმილის უფლება და ისარგებლოს თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიით ან საკუთარი დაცვის სასარგებლოდ მისცეს ჩვენება. ამასთან, იმ დათქმით, რომ დუმილის შენარჩუნების სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება, შეფასებულ იქნეს ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ ბრალდებულს ბუნებრივად შეიძლება ჰქონდეს სასამართლოსთვის ფაქტების არასწორად მიწოდების ინტერესი. მის მიერ ჩვენების მიცემისას ფიცის დადების სავალდებულო პროცედურა და ცრუ ჩვენებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გაფრთხილება კი ემსახურება, მათ შორის, სწორედ ბრალდებული მოწმის მხრიდან სასამართლოსათვის მხოლოდ სიმართლის შემცველი ინფორმაციის მიწოდებისა და, ამ გზით, ჩვენების სანდოობის სამართლებრივ უზრუნველყოფას. პასუხისმგებლობის საფრთხის გარეშე ჩვენების მიცემის შესაძლებლობა შეამცირებს ბრალდებულის ჩვენების სანდოობას, რაც არც მართლმსაჯულების განხორციელებას დაეხმარება და, ამავედროულად, მნიშვნელოვნად დააზარალებს უდანაშაულო ბრალდებულის მიერ თავის დაცვის შესაძლებლობას. ამგვარად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ბრალდებულს არ გააჩნია ცრუ ჩვენების მიცემის კონსტიტუციური უფლება. სამართლებრივი სისტემა კი, რომელიც ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემის შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ სიმართლის თქმის პირობით, არ ზღუდავს თვითინკრიმინაციისგან დაცვის კონსტიტუციურ პრივილეგიას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველი გადაწყვეტილებით ასევე შეაფასა მოსამართლისათვის კითხვის დასმის შეზღუდვის კონსტიტუციურობა და იგი შეუთავსებლად მიიჩნია სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან. გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ მოსამართლეთა მიერ კითხვის დასმის შესაძლებლობის შეზღუდვა იმ მოტივით, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოება სხდომაზე არ გამოვლინდეს, არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების მოთხოვნას არ წარმოადგენს, არამედ არსებითად ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის მიზნებს. კერძოდ, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ინტერესი არ შეიძლება, დამოკიდებული იყოს მხოლოდ მხარეთა სურვილზე ან მათ კომპეტენციაზე. კონკრეტულ საქმეზე სამართლიანი და ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელების გარანტიას ინდივიდუალური მოსამართლე (ან ნაფიცი მსაჯულების სასამართლო) ქმნის. საქმის განმხილველი სასამართლოს პასუხობამ და ხელოვნურმა ბოჭვამ

შესაძლოა, გამოიწვიოს უსამართლობა – უდანაშაულო პირის მსჯავრდება ან დამნაშავე პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება. ამ მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საჭიროა, მოსამართლეს გააჩნდეს შესაძლებლობა, სხდომაზე ყოველმხრივ და სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, რომელიც აუცილებელია შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისა და საქმეზე ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. ამისათვის კი მას უნდა ჰქონდეს კითხვების დასმის შესაძლებლობა, როდესაც ბუნდოვანია დანაშაულად მიჩნეული ქმედების შემადგენლობა, მოწმის, ექსპერტის ან სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის მიერ მიცემული ჩვენება გაურკვეველი, დამაბნეველი ან/და ურთიერთსაპირისპიროა, ან როდესაც შეკითხვის დასმის საჭიროება მოსამართლის მიერ მოვლენათა თანმიმდევრობის დადგენისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების იდენტიფიცირების აუცილებლობით არის განპირობებული და სხვა.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული უფლება მიუკერძოებელ სასამართლოზე და მიუთითა, რომ სასამართლოს მიუკერძოებლობის მოთხოვნა ვრცელდება არა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, არამედ იმ პროცესზე, რომლის მეშვეობითაც და რომლის შედეგადაც მიიღება აღნიშნული გადაწყვეტილება. ამ პროცესში სასამართლო არა მხოლოდ ვალდებულია, იყოს მიუკერძოებელი, არამედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის გარეგნულ გამოვლინებასაც. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლემ კითხვების დასმის უფლებამოსილება უნდა განახორციელოს გონივრული სამოსამართლო თვითშეზღუდვის პირობებში. უმთავრესი მიჯნა და ძირითადი პრინციპი, რომელიც უნდა ზღუდავდეს მოსამართლისათვის ხსენებული უფლებამოსილების გამოყენებას, არის ის, რომ მისი ფუნქცია მდგომარეობს სასამართლო სხდომაზე წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში, სიცხადის წახალისებასა და არა ახალი მტკიცებულების შექმნაში. ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ შეკითხვის დასმა არ უნდა განხორციელდეს იმგვარი ენითა და ტერმინოლოგიით, ტონით, ჟესტიკულაციით, ქცევით ან ფორმითა და ინტენსივობით, რომ წარმოშვას მოსამართლის მიკერძოებულობის გონივრული ეჭვი. ამ პირობების დაცვით კი მოსამართლის მიერ კითხვის დასმა სამართლიანი განხილვის კონსტიტუციური მოთხოვნის განუყოფელი ნაწილია და საქმის სრულყოფილი გამოკვლევის, ჭეშმარიტების დადგენისკენ მიმართულ ისეთ ქმედებას წარმოადგენს, რომელიც არ ხელყოფს მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის ან/და სასამართლოს მიუკერძოებლობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმის საფუძველზე მოსამართლეს ეზღუდებოდა სამართალწარმოების პროცესში კითხვის, მათ შორის, იმ ფორმით დასმის შესაძლებლობა, რომელიც არ ხელყოფდა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპსა და მოსამართლის მიუკერძოებლობას. მითითებული კი აფერხებდა სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლის დადგენას და ზღუდავდა როგორც ბრალდებულის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, აგრეთვე დაზარალებული მხარისა და სრულიად საზოგადოების ინტერესს სამართლიანი სასამართლოს ფარგლებში, აღსრულებულიყო მართლმსაჯულება. აღნიშნული უფლებების შეზღუდვის შესაძლო ლეგიტიმურ მიზანზე მსჯელობისას კი საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნა, რომ ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ სამართალწარმოება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საქმის სათანადოდ გამოკვლევას, სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მხარის რაიმე ლეგიტიმური ინტერესისაგან მომდინარეობს ან მათ ემსახურება და რამენაირად თავსებადია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების კონსტიტუციურ მოთხოვნებთან. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა თვითმიზნურად და მართლმსაჯულების ინტერესებთან შეუთავსებლად მიიჩნია.

2022 წლის 24 ივნისის №3/5/1341, 1660 გადაწყვეტილება

2022 წლის 24 ივნისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“ (კონსტიტუციური წარდგინებები №1341 და №1660).

წარდგინებებით სადავოდ იყო გამხდარი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმა, რომელიც განსაზღვრავდა დაკავებული ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენების წესს. კერძოდ, სადავო ნორმიდან გამომდინარე, დაკავებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდება გირაოს უზრუნველყოფამდე, ყველა შემთხვევაში, იწვევდა ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნას.

წარდგინებების თანახმად, მოსამართლე არ იყო უფლებამოსილი, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური შეფასების შესაბამისად მიეღო გადაწყვეტილება პატიმრობის გამოყენების შესახებ, როდესაც ამას იგი მიზანშეწონილად მიიჩნევდა. იმავდროულად, სადავო ნორმა არ ითვალისწინებდა პატიმრობის შეფარდების მართლზომიერების

შეფასების შესაძლებლობას. აღნიშნული კი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულ თავისუფლების უფლებას. ამგვარად, კონსტიტუციური წარდგინებების ავტორი მიიჩნევდა, რომ სასამართლოს უნდა შეძლებოდა, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში გადაეწყვიტა, საჭირო იყო თუ არა პირის მიმართ გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის ღონისძიების გამოყენება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა რამდენად წარმოადგენდა სადავო რეგულირება გამოძიებისთვის ხელშეშლის თავიდან აცილებისა და მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ლეგიტიმური მიზნის მიღწევის თანაბომიერ საშუალებას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქმედებს პრინციპი ინდივიდის თავისუფლების სასარგებლოდ. აღნიშნული გულისხმობს, რომ პატიმრობის გზით პირის თავისუფლების შეზღუდვა არის არა წესი, არამედ გამონაკლისი. პირის თავისუფლების შეზღუდვა წარმოადგენს უკიდურეს ღონისძიებას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევასა და ვითარებაში, მაშინ, როდესაც აღნიშნული ღონისძიება არის აბსოლუტურად აუცილებელი და ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არ არსებობს სხვა ალტერნატივა.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუცია ერთმანეთისგან მიჯნავს დაკავებასა და პატიმრობას. თავისთავად ის გარემოება, რომ პირი დაკავებულია, a priori, ვერ გახდება პატიმრობის გამართლების საფუძველი ან წინაპირობა. იმავდროულად, პატიმრობის საკითხს, მის საჭიროებასა და აუცილებლობას მოსამართლე დაკავების ფაქტისგან დამოუკიდებლად უნდა განიხილავდეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამოიხატა, რომ პრაქტიკაში შესაძლებელია, არსებობდეს, აღკვეთის ღონისძიების სახით, გირაოს გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომაც, გარკვეული პერიოდი ბრალდებულის მიერ სასამართლოს მხრიდან განსაზღვრული გირაოს გადახდის უზრუნველსაყოფად, გამონაკლის შემთხვევაში, პირის პატიმრობაში დატოვების ობიექტური საჭიროება. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო რეგულირებით, ცალკეულ შემთხვევებში, ინდივიდის ფიზიკური თავისუფლებისა და ხელშეუვალობის უფლება თვითნებურად იზღუდებოდა, რამდენადაც მის საფუძველზე პირი თავისუფლების აღკვეთის/საპატიმრო დაწესებულებაში განაგრძობდა ყოფნას იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არსებობდა თავად თავისუფლების შეზღუდვის აუცილებელი, საგამონაკლისო საფუძველი. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა თეთრინყაროს

რაიონული სასამართლოს პოზიცია და მიიჩნია, რომ გირაოს დაუყოვნებლივ გადახდის უზრუნველსაყოფად პირის პატიმრობაში დატოვების აუცილებლობის თაობაზე მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, არსებული საფრთხეების გათვალისწინებით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმით ხდებოდა ადამიანის თავისუფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ პუნქტი) არათანაბრობიერი შეზღუდვა, რის გამოც არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა მოსამართლის მიერ ბრალდებულის გირაოს შეტანამდე გათავისუფლებას.

2022 წლის 22 დეკემბრის №3/6/813 გადაწყვეტილება

2022 წლის 22 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მელქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №813). აღნიშნულ საქმეზე სადავოდ გამხდარი ნორმა განსაზღვრავდა ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესს და ადგენდა, რომ ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.¹⁰⁶

მოსარჩელე მხარის არგუმენტაციით, სადავო ნორმის საფუძველზე, ამომრჩეველი, რომელიც მოიხსნა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან, რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა ან რომელიც რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე ვერ ხვდებოდა ამომრჩეველთა ერთიან სიაში. ამ კატეგორიის პირების ამომრჩეველთა ერთიან სიაში მოხვედრა დამოკიდებული იყო წინასაარჩევნოდ, საქართველოს საარჩევნო კოდექსის გარდამავალი დებულებებითა და ცესკოს დადგენილებებით, დროებითი, საგამონაკლისო წესის შემუშავებაზე, რომელიც კონკრეტული არჩევნებისათვის დასახელებული კატეგორიის ამომრჩევლებს აძლევდა რეგისტრაციისა და ხმის მიცემის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო ნორმა

¹⁰⁶ დავის საგანი სრულად: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების (2018 წლის 27 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით.

გამორიცხავდა აქტიური საარჩევნო უფლებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობას და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ საარჩევნო უფლებას.

მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის პოზიციით, სადავო ნორმის საფუძველზე, ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების პრინციპად ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილის განსაზღვრა ემსახურებოდა გამართული საარჩევნო სისტემის ადმინისტრირებას. მსგავსი მიდგომა გამორიცხავდა ამომრჩეველთა ნაკადებით მანიპულირებას და, ამ გზით, აზღვევდა არჩევნების გაყალბებისა და ხმათა თანაბრობის პრინციპის დარღვევის რისკებს.

კანონმდებლობის ანალიზის, მოწმეთა ჩვენებებისა და საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სადავო ნორმა ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან გამორიცხავდა მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირთა კატეგორიას. შედეგად, აღნიშნული პირებისათვის საარჩევნო უფლების ხელმისაწვდომობა, ყოველ ჯერზე, დამოკიდებული ხდებოდა წინასაარჩევნოდ დამატებითი და დროებითი საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავებაზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან აქტიური საარჩევნო უფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური მნიშვნელობის უფლებაა სახელმწიფოში წარმომადგენლობითი დემოკრატიული მმართველობის არსებობის გარანტირების თვალსაზრისით, დემოკრატიულ საზოგადოებაში მისი სრულყოფილი რეალიზება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კანონმდებელმა ყველა შესაძლო ზომა უნდა მიიღოს იმისათვის, რომ არჩევნებზე მისვლა და ხმის მიცემით საკუთარი აზრის დაფიქსირება შეეძლოს ყველა იმ პირს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია აქტიური საარჩევნო უფლების მქონე სუბიექტად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც გამორიცხავს ცალკეული ამომრჩევლის, განსაკუთრებით კი, ამომრჩეველთა კონკრეტული კატეგორიის არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას, მომეტებული სიფრთხილით უნდა იქნეს შერჩეული და უნდა დაექვემდებაროს მკაცრ კონსტიტუციურსამართლებრივ შემოწმებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო რეგულაცია ემსახურებოდა იმ ღირებული საჯარო ლეგიტიმური მიზნების მიღწევას, რომელიც მოპასუხე მხარის მხრიდან იქნა დასახელებული, ხოლო შემზღუდველი ღონისძიება წარმოადგენდა აღნიშნული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის გამოსაძევ და აუცილებელ საშუალებას.

ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმით დაწესებული ინტენსიური შეზღუდვა, რომელიც გამორიცხავდა რეგისტრაციის არმქონე ან მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული პირების მოხვედრას ამომრჩეველთა ერთიან სიაში, ადგენდა არასამართლიან ბალანსს საარჩევნო პროცესის გამართული ადმინისტრირების უზრუნველყოფისა და აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობის სათანადო გარანტირების ინტერესებს შორის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საარჩევნო ადმინისტრირების გართულებაზე აპელირების პარალელურად, კანონმდებელს, დაურეგისტრირებელი ან მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული ამომრჩევლების ხმის მიცემის უფლების უზრუნველსაყოფად, თავად ჰქონდა დამკვიდრებული განსახილველი საკითხის დროებითი, თუმცა მუდმივად განახლებადი, გარდამავალი დებულებებით მოწესრიგების ერთგვაროვანი პრაქტიკა, რაც ნათლად მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ საარჩევნო კოდექსის ძირითადი დებულებებით აღნიშნული კატეგორიის პირებისთვის ამომრჩეველთა ერთიან სიაში დარეგისტრირების ზოგადი წესისაგან თუნდაც განსხვავებული, მაგრამ მყარი და არაერთჯერადი მექანიზმის შემუშავება გამართული საარჩევნო პროცესის ადმინისტრირების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ცესკოსთვის არ წარმოშობდა აუწვევლ ტვირთს.

ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის პოზიცია რეგისტრაციის წახალისების მიზნით ამომრჩეველთა ერთიან სიაში მოხვედრის საგამონაკლისო წესის საარჩევნო კოდექსის გარდამავალი დებულებებით მოწესრიგებასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ, ერთი მხრივ, არ დასტურდებოდა რაციონალური კავშირი პირის რეგისტრაციის წახალისებასა და ამომრჩეველთა ერთიან სიაში მოხვედრის საგამონაკლისო წესის გარდამავალი დებულებებით მოწესრიგებას შორის, ხოლო, მეორე მხრივ, აქტიური საარჩევნო უფლების უაღრესად დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გაუმართლებელი იყო საარჩევნო უფლების მსგავსი ინტენსივობით შეზღუდვა, განყენებულად, მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მისამართის მითითებით რეგისტრაციის წახალისების მოტივით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება (2018 წლის 27 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლთან მიმართებით.